საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№15 (486)
24 აპრილი - 7 მაისი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 8 მაისს**

## პანკისი-თბილისი: რატომ უშვებს ხელისუფლება ამდენ შეცდომას?

2-3



«ადგილობრივების ნაწილი დაჟინებით ირწმუნება, რომ სამუშაოების დაწყება და პოლიციის შემოყვანა მოლაპარაკების დასრულებამდე ხელისუფლების მხრიდან შეთანხმების დარღვევა იყო»

«პანკისის მოსახლეობას ვაჰაბიზაციამ, ისლამის რადიკალიზაციამ შეუქმნა განწყობა, რომ ისინი არ არიან ქართული სახელმწიფოს სივრცეში, არ ექვემდებარებიან კანონებს, ისინი არიან ისლამური, მითიური სახალიფოს შემადგენელი ნაწილი და ემორჩილებიან შარიათის კანონებს. აი, ეს არის პანკისელების მთავარი პრობლემა და არა ის, ჰესი აშენდება თუ არა»



## ვის უპირებს «გადაგდებას» ბახტაძე: ევროკომისრებს თუ ქართველ საზოგადოებას?

9

## სანამ ქართველებს სვეტიცხოველი არ დაგვენგრევია თავზე, როგორც ფრანგებს ნოტრ-დამი, იქნებ მანამდე მოვეგოთ გონს

4



## რატომ უნდა ჭამოს ქართველმა ამერიკელზე 19-ჯერ ნაკლები?

6





14

## როგორ იცავს რუსეთი თავის პოლიტიკურ მოკავშირეებს და როგორ იცავენ საქართველოს «სტრატეგიული პარტნიორები»

## კერსტი კალიულაიდი პირველი მიხვდა, საით უბერავს ცვლილებების ქარი

15



ბალტიისპირელი ძმები გაღიზიანებითა და ეჭვით ადევნებენ თვალს ტალინის მცდელობებს, მოსკოვთან დაამყაროს კონტაქტი

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გადავდეთ ჰესის თემა და შევთანხმდით ასეთ რამეზე — მოსახლეობის 90% რომ დაუჭერს მხარს, მაშინ აშენდება მარტო“, — განაცხადა პანკისის ხეობაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ. ნუთუ ამ დასკვნის გაკეთება ქვების სროლამდე არ შეიძლებოდა? ალბათ, შეიძლებოდა, მაგრამ ეს ტაქტიკური ასპექტია, ხოლო მთავარი, სტრატეგიული პრობლემა, ალბათ, უარყოფით სელექციაშია, რომლის გამო ხელისუფლებაში, ერის საუკეთესო წარმომადგენლების ნაცვლად, უვარგისები ხვდებიან.**

# პანკისი–თბილისი: რატომ უშვებს ხელისუფლება ამდენ შეცდომას?

**21 აპრილს დაიძაბა ვითარება პანკისის ხეობაში, სადაც მოხდა დაპირისპირება პოლიციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რომელიც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აპროტესტებდა. 2012 წლიდან დღემდე ხელისუფლება მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ, წინამორბედისგან განსხვავებით, პოლიციურ ძალას ძალიან ფრთხილად იყენებს, მაგრამ გასულ კვირას აშკარად უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ბათუმში 2017 წლის მარტში და სხვა ანალოგიური კრიზისების დროს ჩავარდნილა. დაშავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და პოლიციელები, დაიწვა შსს-ს მანქანები და სამშენებლო ტექნიკა; შეიძლებოდა თუ არა ყოველივე ამის თავიდან აცილება, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების ადეკვატურობა დღითიდღე მცირდება და მას სხვა ბოლოდროინდელი მოვლენებიც ადასტურებს?**



**ყველაზე დიდ ექვს მომხდართან დაკავშირებით ეკონომიკის ახალი მინისტრის, ნათია თურნავას პოზიცია იწვევს — შსს-ს ოფიციალური განცხადების თანახმად, პოლიცია მშენებლობის ტერიტორიაზე სწორედ ეკონომიკის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე შევიდა. დავა ჰესის მშენებლობაზე საკმაოდ დიდი ხანი გრძელდება. ადგილობრივების ნაწილი დაჟინებით ირწმუნება, რომ სამუშაოების დაწყება და პოლიციის შემოყვანა მოლაპარაკების დასრულებამდე ხელისუფლების მხრიდან შეთანხმების დარღვევა იყო**

ყველაზე დიდ ეჭვს მომხდართან დაკავშირებით ეკონომიკის ახალი მინისტრის, **ნათია თურნავას,** პოზიცია იწვევს — შსს-ს ოფიციალური განცხადების თანახმად, პოლიცია მშენებლობის ტერიტორიაზე სწორედ ეკონომიკის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე შევიდა. დავა ჰესის მშენებლობაზე საკმაოდ დიდი ხანი გრძელდება. ადგილობრივების ნაწილი დაჟინებით ირწმუნება, რომ სამუშაოების დაწყება და პოლიციის შემოყვანა მოლაპარაკების დასრულებამდე ხელისუფლების მხრიდან შეთანხმების დარღვევა იყო.

21 აპრილს პანკისის მოვლენების კვალობაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: **„დაუყოვნებლივ გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, რომელსაც აშკარა ინტერესთა კონფლიქტი აქვს ბიზნესინტერესებსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის და მისი დანიშვნიდან პირველივე დღეებში კრიზისი შექმნა პანკისის ხეობაში“.** ბრალდება ინტერესთა კონფლიქტზე, ცხადია, დეტალების დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ, თუნდაც დროის ფაქტორიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ახალმა მინისტრმა არ გამოიყენა „მშვიდობიანი დარეგულირების“ ყველა რესურსი და, პრაქტიკულად, დანიშვნისთანავე ძალისმიერ სცენარს მიემხრო. იმის პროგნოზირება, რომ მას ესკალაცია მოჰყვებოდა, არც ისე რთული იყო. შესაბამისად, უნდა არსებულიყო რაღაც სერიოზული მოტივი, რომელმაც ფიგურანტს ამ მიმართულებით უბიძგა.

**გიორგი ქობულიას** მინისტრობის პერიოდში თურნავა მოადგილის რანგში სწორედ ენერგეტიკას კურატორობდა. საინტერესოა, რომ მინისტრის მოადგილე ის როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილისა და ივანიშვილის მმართველობის წლებშიც იყო. თუმცა განხილულ კონტექსტში, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის წლების განმავლობაში **ძმები ბეჟუაშვილების** „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“ მმართველი საბჭოს წევრი იყო და მასში შემავალ „საქართველოს საერთაშორისო ენერგოკორპორაციაშიც“ მოღვაწეობდა. ამავე კორპორაციის გენერალური დირექტორი 2010-12 წლებში პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე** გახლდათ. საინტერესოა, რომ 2012-ში ორივემ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საკმაოდ დიდი თანხა შესწირა, ბახტაძემ — 20 ათასი, თურნავამ კი — 35 ათასი. დღევანდელი მთავრობა ბეჟუაშვილების კადრების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. მაგალითად, ბახტაძემ დანიშვნისთანავე შექმნა ახალი სტრუქტურა — პრემიერმინისტრის აპარატი და მის ხელმძღვანელად ბეჟუაშვილების კუთვნილი „საქართველოს მედია ჰოლდინგის“ ყოფილი ხელმძღვანელი **გიორგი ჭოლაძე** დანიშნა. სხვათა შორის, შპს „ფერი“, რომელმაც 21 აპრილს (კვირას, ბზობას) დაიწყო ჰიდროელექტროსადგურ „ხადორი-3“-ის მშენებლობა, რაც კინაღამ სისხლისღვრით დასრულდა, იყო „სააქციო საზოგადოება დარიალი ენერჯის“ მთავარი აქციონერი, რომლის დირექტორი ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი **ზურაბ ალავიძე** გახლდათ (ცნობილი „ნაც-შემწირველი“ — 35 ათასი ლარი). მაგრამ მთავარი პრობლემა, ალბათ, არა მაღალჩინოსნების წარსულია, არამედ ის, რომ მსხვილი, ოლიგარქიული ტიპის ბიზნესიდან მოსულმა კადრებმა აღმასრულებელ სტრუქტურებს, მათ შორის ძალოვან ორგანოებს, შეიძლება შეხედონ, როგორც ლობირების ინსტრუმენტს და შესაბამისად გამოიყენონ.

ამავე თემაზე თურნავას წინამორბედის, გიორგი ქობულიას გადადგომაზეც მსჯელობდნენ. სოცქსელებში, ალბათ, ათასჯერ დაწერეს: „ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა“, ვინაიდან მინისტრის გადადგომის ფორმა საზოგადოებას აშკარად არ მოეწონა, ისევე, როგორც პრემიერმინისტრის ბუნდოვანი კომენტარი — მან თითქოს შეაქო ქობულია და თან გააკრიტიკა. თვითონ ქობულიას არაფერი განუმარტავს და არც თურნავას წარდგენას დასწრებია, რასაც შეიძლება მხოლოდ ორი ახსნა ჰქონდეს — არ აინტერესებს, რას იფიქრებს მასზე საზოგადოება, და მასთან ურთიერთობის მიღებული ფორმების დაცვა არ სურს; ან კიდევ — არ შეუძლია ახსნას, რა მოხდა — შიშის ან სხვა ფაქტორის გამო. საბოლოო ჯამში, ისე გამოვიდა, თითქოს ხელისუფლებამ უთხრა ამომრჩევლებს: „ვისაც გვინდა — მოვხსნით, ვისაც გვინდა — დავნიშნავთ, თქვენი რა საქმეა“. ინფორმაციის ნაკლებობის გამო ფართოდ გავრცელდა კონსპიროლოგიური ვერსიები, რომელთა თანახმად ქობულია ივანიშვილთან დაახლოებული პირების ბიზნესინტერესებს შეეწირა. ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, პოლიტიკური თამაშის დღევანდელი წესები მოსახლეობას სწორედ ასეთი დასკვნისკენ უბიძგებს. „მინისტრი-ლობისტი“ საქართველოში აღიქმება, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა და არა გამონაკლისი, ეჭვები თურნავას მიმართ ესოდენ ფართოდ ამიტომ გავრცელდა. მისი უწყების პოზიცია კვლავ ხისტია. „სამინისტროს პოზიციაა, რომ ის ჰესები, რომლებიც უნდა აშენდეს, უნდა აშენდეს“, — განაცხადა თურნავას მოადგილე **გიორგი ჩიქოვანმა** უკვე მას შემდეგ, რაც პანკისის ხეობაში დაპირისპირება მოხდა. სავარაუდოდ, სწორედ ასეთი მიდგომიდან გამომდინარეობდა მშენებლობის განახლებისა და პოლიციის გამოყენების გადაწყვეტილება მოლაპარაკებისა და სასამართლოს დასრულებამდე (ადგილობრივები ჰესისთვის ნებართვის გაცემას ასაჩივრებენ).

ალბათ, გულუბრყვილო იქნება მსჯელობა იმაზე, რატომ გვევლინება ხელისუფლება მსგავს სიტუაციებში მსხვილი ბიზნესის ინტერესების მსახურად, რადგან არადემოკრატიული ოლიგარქიული სისტემის პირობებში ეს მისი „ბუნებრივი მდგომარეობაა“. საინტერესოა სხვა რამ: **რატომ ირჩევს ხელისუფლება ესოდენ სულელურ ტაქტიკას?** „კლასიკურ მაგალითად“, ალბათ, კანაფის კულტივირების კანონპროექტი უნდა ჩავთვალოთ. საპარლამენტო უმრავლესობამ **ირაკლი კობახიძის** მეთაურობით ივანიშვილს წყალში ჩაუყარა მოსამზადებელი სამუშაო, არჩევნების წინ კონსერვატიული ელექტორატის დიდი ნაწილი გადაიმტერა და საბოლოოდ ნულოვანი შედეგი მიიღო. შეგვიძლია გავიხსენოთ მოსამართლეების პრობლემაც — ირაკლი კობახიძის თქმით, (პარტიის) თავმჯდომარის პოზიცია იყო ის, რომ საჭიროა, რა თქმა უნდა, სწრაფი ცვლილებები უზენაეს სასამართლოში“. შედეგი: უდიდესი სკანდალი, ფრაქციის დაშლა, დაპირისპირება არასამთავრობოებთან და „ქართული ოცნების“ იმ ყოფილ მხარდამჭერებთან, რომელთათვის „კლანის“ დატოვება სასამართლოში „წითელ ხაზს“ მიღმა მდებარეობს. საკონსტიტუციო რეფორმა, რეჟიმის გამყარების გარდა, დემოკრატიული ფასადის შელამაზებას ემსახურებოდა. შედეგი: მმართველი პარტია დიქტატში დაადანაშაულეს, კონსტიტუციის შეცვლა მას სრულ იზოლაციაში მოუწია და იმის მტკიცება, რომ ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნა სინამდვილეში პოზიტიური იყო (იმავეს დღესაც, მოსამართლეთა პრობლემის მიმართაც აკეთებს). ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ხელისუფლებამ მდგომარეობა გაიუარესა, ხოლო სასურველ შედეგს სრულად ან ნაწილობრივ ვერ მიაღწია. ნუთუ არ არსებობდა სხვა უფრო გონივრული სცენარი? **„გადავდეთ ჰესის თემა და შევთანხმდით ასეთ რამეზე — მოსახლეობის 90% რომ დაუჭერს მხარს, მაშინ აშენდება მარტო“,** — განაცხადა პანკისის ხეობაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ. **ნუთუ ამ დასკვნის გაკეთება ქვების სროლამდე არ შეიძლებოდა?**

ალბათ, შეიძლებოდა, მაგრამ ეს ტაქტიკური ასპექტია, ხოლო მთავარი, სტრატეგიული პრობლემა, ალბათ, უარყოფით სელექციაშია, რომლის გამო ხელისუფლებაში, ერის საუკეთესო წარმომადგენლების ნაცვლად, უვარგისები ხვდებიან. **ზიგმუნდ ფროიდი** წერდა, რომ ძალაუფლების წყურვილი ნერვული აშლილობის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც იმის გამო ჩნდება, რომ ადამიანი სამყაროს წინაშე შიშს განიცდის და მას აუცილებლად სჭირდება მსხვერპლი, რომელთან ერთად სადომაზოხისტურ წყვილს შექმნის. **ერიხ ფრომი** ამბობდა, რომ „ფსიქოლოგიურ ასპექტში ძალაუფლების წყურვილი ეფუძნება არა ძალას, არამედ სისუსტეს... რაც უფრო ძლიერია ლტოლვა ძალაუფლების მიმართ, მით უფრო ვლინდება ინდივიდის დამოკიდებულება სხვებზე“. დემოკრატიულ სისტემებში გაცილებით დიდია იმის ალბათობა, რომ ამომრჩეველი პათოლოგიური მიდრეკილებების მქონე პირებს ხელისუფლებამდე არ მიუშვებს, მაგრამ დღევანდელ საქართველოში საკადრო გადაწყვეტილებებს ბიძინა ივანიშვილი იღებს და მისთვის, როგორც ჩანს, სავსებით მისაღებია ფსიქოლოგიურად სუსტი და, შესაბამისად, მართული პოლიტიკოსების მოხვედრა ზედა ეშელონში. აქ, სავარაუდოდ, შემდეგი მექანიზმი ირთვება: **ივანიშვილთან ურთიერთობაში „ქართული ოცნების“ ლიდერები დამცირებას განიცდიან, შემდგომ კი მის კომპენსირებას მათზე დაბალი სტატუსის მქონე პირებთან ურთიერთობაში ცდილობენ. მათ, სავარაუდოდ, ჰგონიათ, რომ მართვა მითითებების გაცემასა და „ლეგალიზებულ ძალადობას“ უდრის.** „ქართული ოცნების“ ფრაქციაში მომხდარი განხეთქილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და მისი გარემოცვა დეპუტატებში ხელქვეითებს, ლამის მსახურებს ხედავდნენ, მათთან ურთიერთობაში, ასე ვთქვათ, „ბიძინობდნენ“ და, როგორც ჩანს, არ ესმოდათ, რომ კოლეგების ნაწილს, ისევე, როგორც ამომრჩეველთა უმრავლესობას, არ ხიბლავს მსხვერპლის როლი ფროიდის მიერ ნახსენებ „სადომაზოხისტურ წყვილში“. ალბათ, სწორედ აქედან მოდის პრიმიტიული, ძალმომრეობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რომელსაც სუსტი პიროვნებები და ცუდი პოლიტიკოსები იღებენ — მნიშვნელობა არ აქვს, ჰიდროენერგეტიკას ეხება ეს, საპარლამენტო ფრაქციას თუ საკონსტიტუციო რეფორმას.

**„პანკისში რაც მოხდა, მგონია, რომ დეზინფორმაციის გავრცელების ბრალიც იყო, მაგრამ ჰესების ასე უმისამართოდ მშენებლობის წინააღმდეგი მეც ვარ, რადგან ინვესტორები ადგილობრივ მოსახლეობას არ ასაქმებენ, დენი კი ძვირდება, მოგება ვიღაცის ჯიბეში მიდის და ვაღიაროთ, რომ ბუნებაც ნადგურდება. სახელმწიფო და ხალხი მოგებას ვერ ნახულობს“.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ვითარების ასე დაძაბვას არავინ ელოდა»

## «პანკისელების აგრესია არ იყო ჰესის მშენებლობის დაწყებით გამოწვეული»

**ამა წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში კომპანიებმა „ალაზანი ენერჯიმ” და „ფერიმ” მდინარე ალაზანზე 5,4 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურ “ხადორი-3”-ის მშენებლობა დაიწყეს. პანკისის ხეობის მოსახლეობის ნაწილმა ჰესების მშენებლობა გააპროტესტა, ხოლო სოფელ ბირკიანში პოლიციასა და ადგილობრივებს შორის დაპირისპირება მოხდა. მოსახლეობამ ქვები დაუშინა სამართალდამცველებს და ავტომობილები დაუწვა. პოლიციამ კი ცრემლმდენი აირი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. ხეობაში მომხდარი დაპირისპირების გამო სამედიცინო დახმარება 27 ადამიანს გაუწიეს, მათ შორის — 15 პოლიციელსა და 12 ადგილობრივს. პანკისში დაძაბული ვითარება მას შემდეგ განიმუხტა, როცა იქ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ჩავიდა.**

„ხადორი 3“-ის მშენებლობის დაწყების მცდელობა გასული წლის 29 ივნისსაც იყო, მაგრამ მოსახლეობის პროტესტის გამო სამუშაოები მაშინაც შეჩერდა. ცნობისთვის, პანკისის ხეობაში უკვე ფუნქციონირებს ორი ჰესი — „ხადორი 1“ და „ხადორი 2“. პანკისელები დღესაც აცხადებენ, რომ ჰესის მშენებლობას არ დაუშვებენ. ჰესის მშენებლობა შეჩერებულია. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, სამუშაოები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მოსახლეობის 90% თანახმა იქნება.

საუბარია, ჰიდროელექტროსადგურზე, რომლის სიმძლავრეც 5,4 მგვტ, წლიური გამომუშავება კი 27,5 მილიონი კვტ/სთ-ია. აღსანიშნავია, რომ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ინვესტორები „სამყურაწყალი 2“-ის ჰესის მშენებლობასაც გეგმავენ. ორივე პროექტის ჯამური ინვესტიცია 40 მილიონ აშშ დოლარზე მეტია, ხოლო ორივე ჰესი ჯამურად გამოიმუშავებს 160 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას.

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი ამბობს:** „სამწუხაროდ, წინააღმდეგობა ამ პროექტს თავიდანვე მოჰყვა და მას შემდეგ, წელიწადზე მეტია, მიდის აქტიური კომუნიკაცია, როგორც სახელმწიფოს, ისე ინვესტორის ჩართულობით. თავდაპირველად 35 პოლიციელის გაგზავნა ეფუძნებოდა სწორედ არსებული რისკების ანალიზს, მაგრამ ვიხილეთ გაცილებით მძიმე სურათი. სამართალდამცავების გამოსარკვევია, რა მოხდა და რატომ, თუმცა ცხადია, კანონდარღვევათა სერიას აუცილებლად უნდა მოჰყვეს სამართლებრივი რეაგირება.“

**„მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე:** „პანკისის ხეობა არის ძალიან მცირე და და არ აქვს მნიშვნელობა ჰესის მოცულობას, რადგან ის შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი ნებისმიერ სიტუაციაში. თუ სწორად არ არის შესწავლილი ტერიტორია, არ არის გარკვეული, ზიანის მიყენების შემთხვევაში რა კომპენსაციას მიიღებენ ადგილობრივები, ბუნებრივია, მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს. ნებისმიერი მშენებლობის დროს, პირველ რიგში, საზოგადოების აზრს აქვს უპირატესობა“.



### „მცირე ჰესის შემთხვევაში მდინარე მთლიანად მოექცევა მილში, რაც მის დაშრობას და ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს“

**რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს იქ მოსახლეობა, სადაც ჰესი შენდება? — განმარტება ექსპერტს გარემოს დაცვის საკითხებში — სოფიკო სოხაძეს ვთხოვეთ:**

— მთავრობა ამბობს, რომ პანკისში მცირე ჰესი აშენდება, მაგრამ მაგალითები აჩვენებს, მცირე ჰესების უმეტესობა, როდესაც მდინარე მილში მოექცევა, წყლები იკარგება. ამის მაგალითები გვაქვს. ეს არის დარიალის ხეობის ჰესი, რომელიც მხოლოდ ერთ მეგაბაიტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამ ჰესმა ულამაზესი ხეობა ხრიოკად აქცია, ანალოგიური ვითარებაა ალაზნის ზემო წელზე. მცირე ჰესის შემთხვევაში მდინარე მთლიანად ექცევა მილში, რაც მდინარის დაშრობასა და ეკოლოგიურ კატასტროფას იწვევს. „ხადორჰესი-3“, რომელიც სოფელ ბირკიანში უნდა აშენდეს, ენერგეტიკის სამინისტრო განმარტავს, რომ იქნება „მწვანე ჰესი,“ მოდინებაზე დამოკიდებული. არადა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ მოდინებაზე აშენებული ჰესების შემთხვევაში, წყალი საერთოდ ქრება და ეკოსისტემა იშლება, ბუნებაში წონასწორობა ირღვევა.

დასავლეთ საქართველოში მცირე ჰესების აშენების გამო შარშან გრუნტის წყლებმა ისე დაიწია, ტერიტორია გაუდაბნოვდა. სამწუხაროა, რომ ჰესს განიხილავენ, როგორც ცალკე შემთხვევას და არა მთლიანობაში, ამ საკითხის გადაწყვეტაში გარემოს დაცვის სამსახურებიც უნდა იყვნენ ჩართულნი. საკანონმდებლო ბაზა არ არის შესაბამისობაში მოყვანილი გაეროს კონცეფციასთან, რომელიც არაჩვეულებრივად არის აწყობილი.



### „ხეობაში ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგენი იყვნენ, მაგრამ ვითარების ასე დაძაბვას არავინ ელოდა“

**იყო თუ არა მოლაპარაკებები პანკისის ხეობის მოსახლეობასთან ჰესის აშენების თაობაზე — ამ საკითხზე გვესაუბრება სოფელ დუისის მკვიდრი შორენა ხანგოშვილი:**

— ჰესების მშენებლობის საკითხზე რამდენიმე შეხვედრას დავესწარი, რომლებსაც კომპანიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ინვესტორის მხრიდან წარმოდგენილი იქნა პანკისის ხეობის განვითარების ხელშემწყობი პირობების პაკეტი, რომელიც შეხვედრაზე მყოფი ადგილობრივების ძირითადი ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა. მაგალითად, ჩვენ მივიღეთ მაღალი ძაბვის სადენების გადატანის, წყალმომარაგების მოწესრიგების, განათლების ხელშეწყობის პირობა. ეს ის საკითხებია, რომლებიც ათეულობით წლის განმავლობაში მოსახლეობისთვის პრობლემა იყო. პროექტის თანახმად, ადგილზე უნდა შეიქმნას ისეთი ობიექტები, რომლებზეც, ძირითადად, დასაქმდებიან ადგილობრივები. ხეობაში უმუშევრობა ძირითად პრობლემად რჩება, მოსახლეობის გადინება არის საკმაოდ მაღალი, ახალგაზრდების უმეტესობა უკვე წასულია. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, მისაღებია, რომ ისინი ადგილზე დასაქმდნენ. ხეობაში ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგენი იყვნენ, მაგრამ ვითარების ასე დაძაბვას არავინ ელოდა.



### „შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ის, რაც პანკისში მოხდა, გახარიას წინააღმდეგ იყო მიმართული“

**თუ რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა, რატომ მოიქცნენ ადგილობრივები ასე — ამ თემაზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება:**

— რა პროექტები იყო დაგეგმილი, ვის შეხვდნენ, ვინ მომხრე იყო და ვინ არა, ეს ინფორმაციები საინტერესო არ არის და არც ვინმეს განცხადებას ვენდობი. ვენდობი იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე. პანკისელების მხრიდან წამოვიდა შეუსაბამო აგრესია, რომელიც არ იყო გამოწვეული მშენებლობის დაწყებით, მათი გაღიზიანება პოლიციამ და სპეცრაზმის იქ ყოფნამ გამოიწვია, მათ საქართველოს სახელმწიფოს ცოცხალი ატრიბუტიკა აღიზიანებთ.

პანკისის მოსახლეობას ვაჰაბიზაციამ, ისლამის რადიკალიზაციამ შეუქმნა განწყობა, რომ ისინი არ არიან ქართული სახელმწიფოს სივრცეში, არ ექვემდებარებიან კანონებს, ისინი არიან ისლამური, მითიური სახალიფოს შემადგენელი ნაწილი და ემორჩილებიან შარიათის კანონებს. აი, ეს არის პანკისელების მთავარი პრობლემა და არა ის, ჰესი აშენდება თუ არა.

ალბათ, ყველამ უყურეთ კადრებს, როგორი გაკვირვებული ეკითხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ადგილობრივ მოსახლეობას: 5-მეგავატიანი ჰესის გამო ქვები დაუშინეთ პოლიციელებსო? სწორედ ამის თქმა მსურს მეც, პანკისელების აგრესია არ იყო ჰესის აშენებით გამოწვეული.

**— რა უნდა ქნას ხელისუფლებამ? პანკისი, ფაქტობრივად, უმართავი ხდება, იქ მცხოვრებნი გამუდმებით იმუქრებიან...**

— მიდგომები უნდა შეცვალოს ხელისუფლებამ, სვანებთან სხვანაირად უნდა ვილაპარაკოთ, ხოლო პანკისელებთან სხვანაირად, ეს უნდა დამთავრდეს.

პანკისში მოსახლეობა გაუცხოებულია, რაც ისლამიზაციის ფაქტორით არის გამოწვეული. თუ მიაქციეთ ყურადღება პოლიციასთან შეტაკებისას ერთმა გოგონამ რა თქვა? ჯერ ქვების სროლით იჯერა გული და მერე დაიძახა: „ჩვენ თქვენ გეხმარებოდით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ჯერ ერთი, არაფერში არ გვეხმარებოდნენ, ხელს გვიშლიდნენ უფრო, და მეორეც — **ისინი ხაზს უსვამენ „ჩვენ“, „თქვენ“, რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს თავისად არ მიიჩნევენ და თავს ვალდებულად არ თვლიან, მხარში დაგვიდგნენ.**

**— პანკისელების აგრესია ცუდია, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ იყო პროვოკაციაც, რადგან ბზობის დილას რომელიღაც კომპანიამ სოფელ ბირკიანში ჰესის მშენებლობა დაიწყო...**

— კი, ნამდვილად უცნაურია ასეთი საქციელიც და არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაციაც ყოფილიყო, რომელიც, შესაძლოა, **გიორგი გახარიას** წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიღაცამ მიიწვია შინაგანი ჯარი, მინისტრი შეცდომაში შეიყვანეს და შემდეგ მინისტრს მოუწია ვითარების ჩაცხრობა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს და არა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, გახარიამ დიპლომატის როლი შეასრულა. პირადად მე **შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ის, რაც პანკისში მოხდა, გახარიას წინააღმდეგ იყო მიმართული.**

**— ლაფანყურის სპეცოპერაციისას პანკისელებს 13 მიცვალებული დაუსვენეს და ასეთი აგრესიულები არ ყოფილან...**

— სწორედ მაგის თქმა მინდა. 21 აპრილს პანკისში რაც მოხდა, გადამეტებული აგრესია იყო, რაც გამოიწვია საქართველოს მთავრობის უნიათობამ. რამდენი თვეა, პარლამენტის შენობის წინ ვერ აშალეს კარავი, რომელშიც **მაჩალიკაშვილი** ზის. ქვეყანა უმართავია. **რა უნდა ევროკავშირის დროშას კარავში, თუკი ეს კაცი დაღუპულ შვილს გლოვობს?..**

საქართველო სახელმწიფო აღარ არის.

**პანკისში რაც მოხდა, მგონია, რომ დეზინფორმაციის გავრცელების ბრალიც იყო, მაგრამ ჰესების ასე უმისამართოდ მშენებლობის წინააღმდეგი მეც ვარ, რადგან ინვესტორები ადგილობრივ მოსახლეობას არ ასაქმებენ, დენი კი ძვირდება, მოგება ვიღაცის ჯიბეში მიდის და ვაღიაროთ, რომ ბუნებაც ნადგურდება.** სახელმწიფო და ხალხი მოგებას ვერ ნახულობს. ეს ქვეყნის კოლონიზაციაა, ძარცვაა. ნაცვლად იმისა, რომ „ენგურჰესზე“ ისაუბრონ, „ხუდონჰესის“ აუცილებლობაზე, ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე ისაუბრონ, თქვან, თუ რატომ ეძლევა აფხაზეთს დენი უსასყიდლოდ, სისულელეებს აკეთებენ. აფხაზეთი ოკუპირებულიაო, ვამბობთ და დენს უფასოდ ვაძლევთ, ხარკს ვუხდით?

პანკისზე ვიტყვი კიდევ ერთ რამეს: **საქართველოს სოფლები დაცლილია ახალგაზრდებისგან და, თუ დაკვირვებიხართ, რამდენი ახალგაზრდაა პანკისში? გაძეძგილია ახალგაზრდებით იქაურობა, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ დისკოტეკები აქვთ და დროს ატარებენ, არა, იქ ფული ტრიალებს და ახალგაზრდების იქ ყოფნა აუცილებელია. პანკისში არის საერთაშორისო ვაჰაბიტური მოძრაობა, რომელიც შეიძლება გუშინ „ისლამური სახელმწიფოს“ ფორმით იყო წარმოდგენილი, ხვალ კიდევ სხვა სახელწოდება ექნება. საქართველოს ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს.**

**პანკისის მოსახლეობას ვაჰაბიზაციამ, ისლამის რადიკალიზაციამ შეუქმნა განწყობა, რომ ისინი არ არიან ქართული სახელმწიფოს სივრცეში, არ ექვემდებარებიან კანონებს, ისინი არიან ისლამური, მითიური სახალიფოს შემადგენელი ნაწილი და ემორჩილებიან შარიათის კანონებს. აი, ეს არის პანკისელების მთავარი პრობლემა და არა ის, ჰესი აშენდება თუ არა**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ე.წ. მულტიკულტურიზმის იდეამ კრახი განიცადა, რადგან იმის მაგივრად, რომ მიგრანტები ინტეგრირებულიყვნენ ევროპულ კულტურაში და ევროპელთა ცხოვრების წესი, ტრადიციები მინიმალურად მაინც გაეთავისებინათ, მოხდა პირიქით — ჩამოსულებმა თავიანთი ეროვნულ-რელიგიური ნიშნით ანკლავები შექმნეს ევროპის დიდ ქალაქებში და ახლა იქ აშენებული მეჩეთების მინარეთებიდან უფრო ხშირად და ძალუმად ისმის მუეძინთა სისხლის გამყინავი კივილი, ვიდრე ქრისტიანული ტაძრების ზარების რეკვა.**

# სანამ ქართველებს სვეტიცხოველი არ დაგვნგრევია თავზე, როგორც ფრანგებს ნოტრ-დამი, იქნებ მანამდე მოვეგოთ გონს

**„ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ დროს. წმინდა მამები ამბობენ, რომ ბოლო ჟამიაო. ზოგი იმასაც ამბობს, ბოლო დღეებიაო. ღმერთმა მოგვცეს ძალა და მადლი, რომ ავიტანოთ ეს ბოლო ჟამი და ბოლო დღეები. რთულია, მაგრამ ღმერთი ამოკლებს დროს, ღმერთი ამოკლებს დროს იმისთვის, რომ ნაკლებად დაიტანჯოს ადამიანი, ამიტომ არ უნდა შეგეშინდეთ, არ უნდა შეგვეშინდეს. თქვენ ხედავთ, მთელ მსოფლიოში მღელვარებაა, მთელ მსოფლიოში ეძებენ. რას ეძებენ, თვითონაც არ იციან. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვეძიოთ მადლი ღვთისა“, — ეს არის მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ციტატა ამა წლის 10 თებერვლის საკვირაო ქადაგებიდან, რომელშიც ბევრი რამ პირდაპირ არის ნათქვამი და სურვილის შემთხვევაში ბევრსაც, რომ იტყვიან, სტრიქონებს შორის ამოიკითხავ...**



**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ხომ სიმბოლოა ქრისტიანულ ფესვებზე ამონაყარი დიდი ევროპული ცივილიზაცია-კულტურისა, ისევე, როგორც ლონდონის ანგლიკანური ვესტმინსტერი, კელნის ლუთერანული კათედრალი თუ ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარი? პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისთვის ხანძრის გაჩენა ზეციური მინიშნება ხომ არ არის ევროპისთვის, რომელშიც ე.წ. მულტიკულტურიზმმა გაანადგურა ევროპული და, კონკრეტულად, ფრანგული კულტურა, რომლისგანაც მხოლოდ «მშობელი 1» და «მშობელი 2»-ღა დარჩა?**

მაგალითად, **„თქვენ ხედავთ მთელ მსოფლიოში მღელვარებაა. მთელ მსოფლიოში ეძებენ. რას ეძებენ თვითონაც არ იციან“,** — რა შეიძლება ამოვიკითხოთ ჩვენი ბრძენი პატრიარქის ნათქვამის სტრიქონებს შორის? ის ხომ არა, რომ სრულიად მსოფლიომ (წაიკითხე, ლიბერალურ-„დემოკრატიული“ დასავლეთი, აშშ-ევროპა) უარყო ღმერთის არსებობა და, აქედან გამომდინარე — ზნეობა, ეთიკა, საზოგადოებაში ქცევის ელემენტარული ნორმები? ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასე იყოს — ზემოხსენებულ აშშ-ევროპაში საზოგადოების უმრავლესობა ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობების ერთგული მიმდევარია და, აქედან გამომდინარე, პირიქით — ნეოლიბერასტები უმცირესობაში არიან, მაგრამ მათი (უმრავლესობის) პრობლემა არის ის, რომ დასავლეთის ქვეყნების სახელისუფლო სტრუქტურებში ნეოლიბერალები ჭარბობენ. ირღვევა დემოკრატიის მთავარი პრინციპი — უმცირესობა მართავს უმრავლესობას და არა პირიქით. ყველა ლიბერალი ლგბტ არ არის, მაგრამ ყველა ლგბტ ლიბერალია — ამ სენტენციიდან გამომდინარეა ე.წ. იუვენალური იუსტიცია, ანტიდისკრიმინაციული კანონი, ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინება, გეიაღლუმი და სხვა მრავალი ლიბერასტული „სიკეთე“...

ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ: **ნეოლიბერალური იდეოლოგიის ქვაკუთხედი (თუ ასე თქმა შეიძლება) ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის 4 ძირითადი ფასეულობის უარყოფაა: არა ეროვნებას! არა სამშობლოს! არა ღმერთს! არა სქესს!** ამ ძირითადი უარყოფებიდან მომდინარეობს სხვა პატარ-პატარა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი უარყოფები: არა ოჯახის ინსტიტუტს! არა ისტორიას! არა წინაპართა ხსოვნას! არა უფროს-უმცროსობას! არა ზრდილობასა და სხვა მრავალ ისეთ თვისებას, რომლებითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან. მართლაც, „არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი“, — ჭეშმარიტებას ბრძანებს არქიმანდრიტი **რაფაელი (კარელინი)...**

წინამდებარე წერილის შექმნის კატალიზატორი კათოლიკეთა აღდგომის ვნების კვირაში(!) პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის (ნოტრ-დამის) უცნაურ ვითარებაში დაწვა-განადგურება იყო.

რატომ „უცნაურ ვითარებაში“?

პირველი — ტაძარში ხანძრის გაჩენის მიზეზად უბრალო დაუდევრობის დასახელება, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მოკლე ჩართვის ვერსია, რადგან ცეცხლი სწრაფად და ერთბაშად მოედო სახურავს და არა ნელ-ნელა. მოკლე ჩართვა კი არა, როგორც ერთმა კომენტატორმა აღნიშნა, ბენზინ-ასანთითაც კი პრობლემური იქნებოდა „მოხარშული“ მუხის მორებისთვის ცეცხლის ერთბაშად წაკიდება, არადა, ნოტრ-დამის სახურავი ასანთის კოლოფივით ერთბაშად აალდა. წერილის მთავარი მიზანი სულაც არ არის ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენა — ამას, თუ სურვილი ექნებათ, ადვილად დაადგენენ შესაბამისი ორგანოები. **მე მინდა, მკითხველთან ერთად სხვა რაკურსით შევხედო პარიზში მომხდარ ტრაგედიას. მორწმუნე ადამიანისთვის ხომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ისეთი „შემთხვევითობაც“, როგორიცაა მსოფლიო მნიშვნელობის ტაძრის დაწვა მაინცდამაინც ვნების კვირაში.**

პარიზის ნოტრ-დამი ხომ ის ტაძარია, რომლის ამბიონიდანაც წმინდანად შერაცხეს ორლეანელი ქალწული **ჟანა დ'არკი?** ამავე ტაძარში დაიდგა იმპერატორის გვირგვინი **ნაპოლეონ ბონაპარტემ.** აღარაფერს ვიტყვი **ვიქტორ ჰიუგოს** კვაზიმოდო-ესმერალდაზე, რომანად ქცეულ ლეგენდაზე, რომელმაც ყველა მეტ-ნაკლებად წიგნიერისთვის საცნაური გახადა „ნოტრ-დამ დე პარი“... **ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ხომ სიმბოლოა ქრისტიანულ ფესვებზე ამონაყარი დიდი ევროპული ცივილიზაცია-კულტურისა, ისევე, როგორც ლონდონის ანგლიკანური ვესტმინსტერი, კელნის ლუთერანული კათედრალი თუ ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარი? პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისთვის ხანძრის გაჩენა ზეციური მინიშნება ხომ არ არის ევროპისთვის, რომელშიც ე.წ. მულტიკულტურიზმმა, პრაქტიკულად, გაანადგურა, საზოგადოდ, ევროპული და, კონკრეტულად, ფრანგული კულტურა, რომლისგანაც მხოლოდ „მშობელი 1“ და „მშობელი 2“-ღა დარჩა?**

თავად განსაჯეთ — 2013 წელს პარიზში, ელისეს მინდვრებზე გაიმართა მილიონიანი საპროტესტო მარში, რომლის მონაწილეთა ერთადერთი მოთხოვნა ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის ბავშვთა აყვანის აკრძალვა იყო. საფრანგეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, არათუ დააკმაყოფილა დემონსტრანტთა მოთხოვნა, არამედ ოჯახებით, მცირეწლოვანი ბავშვებით მისული მილიონიანი მარში ცრემლმდენი აირითა და ხელკეტებით დაარბიეს პოლიციელებმა. ამ ფაქტით აღშფოთებულმა ფრანგმა მწერალმა, პუბლიცისტმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწე **დომინიკ ვენერმა** პროტესტის ნიშნად სწორედ ნოტრ-დამის ტაძრის საკურთხეველში მოიკლა თავი. თუმცა, იმ ფრანგებმა, რომლებიც ახლა ცხარე ცრემლით დასტირიან დამწვარ ტაძარს, ეს ფაქტი, რომ იტყვიან, გაატარეს — არანაირი პროტესტი არ გამოუხატავთ. სამაგიეროდ, რომ იტყვიან, ქუდზე კაციო, ისე დაირაზმნენ ფრანგებიცა და მოწვეული სტუმრებიც იმავე ელისეს მინდვრებზე „შარლი ებდოს“ ნაძირლების დასაცავად — ლიბერასტული ევროპის მთავარი ფასეულობა ხომ ე.წ. გამოხატვის თავისუფლებაა?

ცალკე აღნიშვნის თემაა საფრანგეთის ახლანდელი პრეზიდენტი, პირწავარდნილი ლიბერასტი **ემანუელ მაკრონი,** რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებზე წარდგა ლოზუნგით: „არ არსებობს ფრანგული კულტურა, მე ვიცი მრავალეროვნული კულტურა“

ამის გამგონეს უნებურად გამახსენდა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე.** „არ ვიცი, რას ნიშნავს ეროვნული ცნობიერებაო“, რომ ბრძანა, მაგრამ ამაზე, უფრო სწორად საქართველოზე, ქვემოთ.

**ე.წ. მულტიკულტურიზმის იდეამ კრახი განიცადა, რადგან იმის მაგივრად, რომ მიგრანტები ინტეგრირებულიყვნენ ევროპულ კულტურაში და ევროპელთა ცხოვრების წესი, ტრადიციები მინიმალურად მაინც გაეთავისებინათ, მოხდა პირიქით — ჩამოსულებმა თავიანთი ეროვნულ-რელიგიური ნიშნით ანკლავები შექმნეს ევროპის დიდ ქალაქებში და ახლა იქ აშენებული მეჩეთების მინარეთებიდან უფრო ხშირად და ძალუმად ისმის მუეძინთა სისხლის გამყინავი კივილი, ვიდრე ქრისტიანული ტაძრების ზარების რეკვა...** ახლა დროა, საქართველოზე გადმოვერთოთ, რადგან ის, რაც ახლო-მახლო ან ჩვენგან შორს ხდება, მხოლოდ ჩვენი სამშობლოს მიმართ გვაინტერესებს.

წერილზე მუშაობისას სოციალურ ქსელში გადავაწყდი თავზარდამცემ ფოტოს, რომლის არსსაც დიდი ბოდიშით გადმოგცემთ: მარნეულთან მდგარ **მერაბ ბერძენიშვილის** გენიალურ მონუმენტზე „კიდევაც დაიზრდებიან“ ლგბტ პირი ამძვრალა და ერთ-ერთი „მგლის ლეკვის“ ქვის პენისი პირში ჩაუდვია (მკითხველთან კიდევ ერთხელ ბოდიში ამ ამაზრზენი სურათის შეულამაზებლად აღწერისთვის).

„საზიზღარი კომუნისტების“ პერიოდში ქართველი მიქელანჯელოს ქმნილების გახსნისას, მოქანდაკის ოსტატობამ კი არა, ამ მონუმენტის სიუჟეტმა გამაკვირვა — დედა, ბრძოლაში დაცემული მამის ნაცვლად, ახალი ბრძოლებისთვის გზას ულოცავს შვილებს — ამის მოფიქრება არ გინდამეთქი, აღფრთოვანებული ვერ ვიშორებდი ფიქრებს და ახლა ზემოხსენებული ფოტოს ნახვისას ისევ ის კითხვა ამეკვიატა, ოღონდ სხვა კონტექსტში — **ამის მოფიქრება არ გინდა?** დიახ. „ამის“, რადგან ამას, რაზეც ვლაპარაკობ, სახელი არ აქვს. რა აღარ გამიგია **ჰომოსექსუალებზე, მაგრამ მსგავს სიბინძურეს, თახსირობასა და თავხედობას მათგანაც არ ველოდი. დიახ, თავხედობას, რადგან ეს ყოველივე საზოგადოების გამოწვევა, ჩვენთვის სილის გაწვნაა.** ზემოთ დასჯილ-გაფრთხილებულ დასავლეთზე ვისაუბრე, მაგრამ მსგავსი რამ გათახსირებულ და სოდომისტ ევროპაზეც არ მსმენია. **ისევე, როგორც ფრანგებს ნოტრ-დამი, სანამ ქართველებს სვეტიცხოველი არ დაგვნგრევია თავზე, იქნებ მანამდე მოვეგოთ გონს!**

მრავალგზის ნათქვამს კვლავ ვიმეორებ: პოსტსაბჭოთა სივრცეში (მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყნებს ვგულისხმობ) მხოლოდ რუსეთი, ბელარუსი და საქართველოა, სოდომისტებმა რომ ვერ მოახერხეს გეიაღლუმის გამართვა. ბელარუს-რუსეთის შემთხვევაში, გასაგები მიზეზების გამო, ეს „ჯერჯერობით“ სამუდამოს ნიშნავს. რაც შეეხება ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, „ჯერჯერობით“ შეიძლება ამ ზაფხულს დასრულდეს, რადგან, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ქოც-ნაცების ლიბერასტულმა ხელისუფლებამ და ე.წ. არასამთავრობო სექტორმა ოკეანისგაღმელი თუ გამოღმელი პატრონებისგან ბოლო გაფრთხილება მიიღეს — რადაც უნდა დაუჯდეთ, გეიაღლუმი უნდა ჩატარდეს თბილისში და თანაც აუცილებლად 9 აპრილს წამებულთა სისხლით მორწყულ რუსთაველის პროსპექტზე. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიურად ვერ ვცხოვრობ, თავს მაინც მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანად, გნებავთ, გენეტიკურად მართლმადიდებელ ქრისტიანად მივიჩნევ და, აქედან გამომდინარე, ვიმეორებ ზემოთქმულს: **მტკიცედ მწამს, რომ ამქვეყნად არაფერი ხდება უფლის ნების გარეშე! ამიტომ ჩემთვის პარიზის მაგალითი იმის დასტურია, რომ უფლის მრისხანების ზღვარი ამა თუ იმ ქვეყნის ტოტალურ ლგბტ-ზაციაზე გადის...**

18-25 ივნისს თბილისში დაგეგმილია ლგბტ პირების საზეიმო კვირეული. ამ ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას დასავლეთიდან მოწვეული საპატიო პედერასტებიც მიიღებენ. ჩვენმა სამართალდამცველებმა მკაცრი მითითება მიიღეს, — გასაპროტესტებლად გამოსული გეიაღლუმის მოწინააღმდეგენი დააპატიმრონ. ამიტომ, თუ ქუდზე კაცი არ გამოვედით, ადვილად მოგვერევიან და უპატაკებენ დასავლეთს — თბილისის თავზე ლგბტ ჭრელი დროშა ფრიალებს!

ჰოდა, იქ გამოჩნდება, ვინ „დაიცავს საქართველოს“ და „ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული“.

გეიაღლუმჩატარებული ქვეყანა და გაბახებული პატარძალი ერთი და იგივეა...

**დავით მხეიძე**

**„რაც შეეხება მკაფიო გზავნილებს, რომ რუსეთი მზად არის მოქმედებებისთვის, თუ ალიანსი მიუახლოვდება მის საზღვრებს — ეს არის გაფრთხილება ნატოს წევრი თითოეული სახელმწიფოსთვის და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატებისთვის, რომ არც ერთი მიმართულებით — არც პოლიტიკური, არც დიპლომატიური და არც სამხედრო თვალსაზრისით, კომპრომისი არ იქნება. ეს არის გარკვეული თავდაცვითი სიგნალები, რომლებიც დასავლეთს ახსენებს, რომ წითელი ხაზების გადაკვეთის შემთხვევაში კრემლი მზად არის ყველაფრისთვის“.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გივი იუკურიძე: გამორიცხული არ არის, დაძაბულობა კიდევ ერთხელ გადმოიტანონ საქართველოში

**რამდენიმე დღის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე გრუშკომ საინფორმაციო სააგენტო „ტასს“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ოფიციალური მოსკოვი მის წინაშე არსებულ ყველა სახის გამოწვევას, რომლებიც უსაფრთხოებას უკავშირდება, ადეკვატურად უპასუხებს. მისი თქმით, ამჟამად რუსეთი შავ ზღვაში თავისი შეიარაღების მოდერნიზებას აქტიურად ეწევა, რაც იმის შედეგია, რომ მის საზღვრებს ნატო უახლოვდება: „რა თქმა უნდა, ჩვენ ვახორციელებთ ჩვენი ძალებისა და საშუალებების მოდერნიზაციას იმის გათვალისწინებით, რომ ნატოს ინფრასტრუქტურა ჩვენს სანაპიროებს უახლოვდება. ჩვენი ძალისხმევა ადეკვატურია და შეესაბამება რეალურ საჭიროებებს უსაფრთხოების გაძლიერების ჭრილში“.**

## «ჩვენი უსაფრთხოება და თავდაცვის სტრატეგია შეიძლება სწორი, დაბალანსებული პოლიტიკა იყოს»

ალექსანდრე გრუშკოს განმარტებით, კრემლი ყურადღებით აკვირდება ალიანსის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ბულგარეთში, რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც მისი ძალების განლაგებამ რუსეთს, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას: „ყველაფერ ამაზე სათანადო რეაგირებას მოვახდენთ, რათა საიმედოდ უზრუნველვყოთ თავდაცვისა და უსაფრთხოების ჩვენი ინტერესები...“ ბოლოს ისიც დასძინა, რომ კრემლი მზადაა ნებისმიერ საკითხზე მოლაპარაკებისთვის, რომელიც შავი ზღვის რეგიონში დაძაბულობის განმუხტვას ხელს შეუწყობს. მას არ დაუკონკრეტებია, ვისთან ან რა პირობებით შეიძლება ამ პროცესის წარმართვა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცხადებული პროდასავლური პოლიტიკა, რომელიც, უწინარესად, სწორედ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებასა და მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს, რუსეთის მიერ მისი სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ პროცესადაა შეფასებული. ამის გათვალისწინებით კრემლმა უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიმართული იქნება ალიანსის ძალების მიახლოებისკენ რუსეთის საზღვრებთან, ოფიციალური მოსკოვის მხრიდან „შესაბამის რეაგირებას“ გამოიწვევს...

რა საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს ჩვენთვის ამ კონტექსტში ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება და რა შეიძლება იყოს ის პოლიტიკური საფასური, რომლის გადახდაც საქართველოს ამ ნაბიჯების გამო მოუწევს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე.**

**— ბატონო გივი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე მერამდენედ ავრცელებს განცხადებას და გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ ნატო შავ ზღვაში გააქტიურებას გეგმავს. არის მინიშნებები ადეკვატურ მოქმედებაზე, რომელსაც რუსეთის მხრიდან გამოიწვევს ალიანსის შეიარაღებული ძალების გაძლიერება ამ რეგიონში. განვუმარტოთ საზოგადოებას: რას შეიძლება გულისხმობდეს ეს ადეკვატური მოქმედებები და რა საფრთხეებს შეიძლება გულისხმობდეს ეს ჩვენთვის?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცხადებული პოლიტიკა, რომელიც ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვას უკავშირდება, უკვე თავისთავად არის გარკვეული დღის წესრიგის შემქმნელი და განმაპირობებელი ფაქტორი რეგიონში, მაგრამ ერთია საგარეო კურსი და ორიენტაცია, რომელსაც გლობალური პოლიტიკა შეიძლება კარნახობდეს სახელმწიფოს, და მეორე — რამდენად გააზრებულად ხდება ქვეყნის ჩართვა ამ საერთაშორისო პოლიტიკურ კონიუნქტურაში. **ის, რომ რუსეთის საგარეო უწყება უკვე მერამდენედ გამოთქვამს შეშფოთებას ნატოს გააქტიურების გამო შავ ზღვაში და იქ გარკვეულ რეაგირებაზეც იყო საუბარი, უნდა განვიხილოთ არა როგორც ჩვენი ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს, ვთქვათ, ბულგარეთის ან რუმინეთის საშინაო პროცესებში ჩარევა, არამედ როგორც ერთი ზესახელმწიფოს ძალისხმევა, აღკვეთოს და თავიდან აიცილოს მეორე ზესახელმწიფოს მცდელობა, რამე ფორმით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი უსაფრთხოება.** რა თქმა უნდა, ეს მისი პოზიციიდან სწორი და ადეკვატური მიდგომაა, ამიტომ მსგავს განცხადებებს და კიდევ უფრო მკაფიო პოლიტიკურ სიგნალებს კრემლისგან, იმის გათვალისწინებით, რომ ნატო განაგრძობს გააქტიურებას შავი ზღვის აკვატორიაში, მომავალშიც უნდა ველოდოთ. რაც შეეხება მკაფიო გზავნილებს, რომ რუსეთი მზად არის მოქმედებებისთვის, თუ ალიანსი მიაუახლოვდება მის საზღვრებს — ეს არის გაფრთხილება ნატოს წევრი თითოეული სახელმწიფოსთვის და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატებისთვის, რომ არც ერთი მიმართულებით — არც პოლიტიკური, არც დიპლომატიური და არც სამხედრო თვალსაზრისით, კომპრომისი არ იქნება. **ეს არის გარკვეული თავდაცვითი სიგნალები, რომლებიც დასავლეთს შეახსენებს, რომ წითელი ხაზების გადაკვეთის შემთხვევაში კრემლი მზად არის ყველაფრისთვის.** ახლა — რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს ამ ხაზების გადაკვეთას. სამაგალითოდ მოვიყვანოთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები. ყირიმი რუსეთს არ აინტერესებდა არც ეკონომიკურად და არც სხვა თვალსაზრისით, მაგრამ, როგორც კი გაჩნდა საფრთხე, რომ კიევის ევრომაიდნის შემდგომ ახალ ხელისუფლებას შეეწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა სევასტოპოლიდან, კრემლს, პრაქტიკულად, დარჩა ერთადერთი გზა — ჩარეულიყო პროცესებში და დაემყარებინა სრული კონტროლი ნახევარკუნძულზე. მხოლოდ ამ გზით შეძლებდა ის იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც დამანგრეველი იქნებოდა მისი პოზიციებისთვის და რუსეთმა გადადგა ეს ნაბიჯი. ის შევიდა ყირიმში და დაამყარა კონტროლი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მას ეს ძვირი არ დაუჯდა.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ეს ტერიტორია დღემდე არის დოტაციური, ისევე, როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთმა მიიღო ყირიმის მიმართ, იყო არა დროში გაწერილი გეგმა და პოლიტიკური ამოცანა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში მოხდებოდა, არამედ მისი მოწინააღმდეგე ბანაკის მიერ პროვოცირებული პოლიტიკური დივერსიების შედეგად განპირობებული აუცილებლობა, რომლის განუხორციელებლობის შემთხვევაში რუსეთი დაკარგავდა გავლენას შავ ზღვაზე და ამით, უსაფრთხოებასთან ერთად, მისი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური მოთამაშის, ავტორიტეტი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. საერთოდ, ეს პროცესები, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომიც და შემდგომ განვითარებული მოვლენებიც, უნდა განვიხილოთ ორი ზესახელმწიფოს ინტერესთა კონფლიქტის ჭრილში. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება საგარეო ორიენტაციის განსაზღვრასთან, ეფუძნებოდეს მოცემულობის ადეკვატურ ანალიზს. წინააღმდეგ შემთხვევაში, **შეიძლება მივიღოთ ისეთი სურათი, რომ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის უკიდურესად დაძაბულ კონფლიქტში დამარცხებული არ იქნება არც ერთი, არამედ იქნება მესამე, რომელიც ვერ მიიღებს ვერაფერს, გარდა ნგრევისა და უკუსვლისა.**

**— გინდათ, თქვათ, რომ რუსეთსა და ნატოს შორის დაპირისპირების არეალი შეიძლება საქართველო იყოს?**

— ყოველ შემთხვევაში დღეს პროცესების დინამიკა აჩვენებს, რომ დაძაბულობა იზრდება, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ჩვენ ვართ ერთ-ერთი ყველაზე მორჩილი მოკავშირე სახელმწიფო შავი ზღვის ქვეყნებს შორის, ცხადია, გამორიცხული არ არის, დაძაბულობის გადმოტანა კიდევ ერთხელ მოხდეს საქართველოში. ვფიქრობ, რომ **ყველაზე ცუდი ამ პროცესებში მაინც ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინერტულობაა, ანუ ის, რომ საქართველოს ხელისუფლება, პრაქტიკულად, არ თუ ვერ მონაწილეობს ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, როლის განსაზღვრაში. არადა, ფაქტია, ყოველთვის, როცა მატულობს დაძაბულობა, დარტყმის ქვეშ დგება არა ის სახელმწიფო, რომლიდანაც მოდის ეს პოლიტიკა, არამედ ჩვენ და ჩვენისთანა ქვეყნები.** სხვათა შორის, თუ გახსოვთ, ადრე იყო ასეთი სამხედრო-პოლიტიკური ფორმატი „ნატო — რუსეთი“, რომელიც ითვალისწინებდა თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით. დღეს ეს ფორმატი ნოლამდეა დაყვანილი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ პროცესები წკიპზეა. ათას რამეს უნდა ელოდო, ცხადია, მათ შორის დაძაბულობის ესკალაციასაც...

**— ჩვენი შეიარაღებული ძალები მზად არის ამ გამოწვევებისთვის? ამას წინათ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოს აქვს უსაფრთხოების ეფექტიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი მოწინააღმდეგის მაქსიმალურ შეკავებასა და სტაბილურობას. რეალურია ეს განცხადება?**

— როგორც წესი, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობაზე, მომზადებაზე, სტრატეგიასა და ა.შ. მედიაში საჯაროდ საუბარი მიღებული არ არის, იმიტომ, რომ არის გარკვეული საკითხები, რომლებიც დახურულია, მაგრამ კონკრეტულ განცხადებაში, რომელიც თქვენ ახსენეთ, იყო ერთი მომენტი: **მან თქვა, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგია უზრუნველყოფს მოწინააღმდეგის მაქსიმალურად შეკავებას. ეს ჩემთვის, როგორც სამხედროსთვის, ცოტა არ იყოს გაუგებარია. რას ნიშნავს მაქსიმალურად შეკავება?!** რაც შეეხება სტაბილურობის შენარჩუნებას, **როდესაც გამოდის მინისტრი და აკეთებს ასეთ ამბიციურ განცხადებას, ის მაინც უნდა ესმოდეს, რომ ჩვენისთანა მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოს, გნებავთ, ეკონომიკური, გნებავთ, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, დიდი ომებისა და საბრძოლო მოქმედებების წარმოების შესაძლებლობა არ აქვს.** რა თქმა უნდა, ისიც მესმის, რომ მსგავსი განცხადებები ემსახურება გარკვეულ პიარს, რომელიც გათვლილია პოლიტიკურ ქულებზე და არა იმაზე, რეალურად საქმეზე ილაპარაკონ. სხვათა შორის, აქამდე გვესმოდა ასეთი რიტორიკა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდაცვის კუთხით კომპლექსური მომზადება არ მიმდინარეობდა. **დღეს გვესმის, რომ თურმე მოწინააღმდეგის შეკავებაზე არიან ორიენტირებულნი. გეგმა შევადგინეთო, რა გეგმაზეა საუბარი, ჩემთვის გაუგებარია.** კიდევ ვიმეორებ: როგორ კარგადაც უნდა იბრძოლონ ჩვენმა ჯარისკაცებმა და გამოიჩინონ თავდადება, როგორ ზუსტადაც უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები მათმა მეთაურებმა, **ჩვენ არ გვაქვს იმის რესურსი, რომ რომელიმე პოტენციურ მოწინააღმდეგესთან, გნებავთ, თურქეთი ავიღოთ, გნებავთ, ირანი და რუსეთზე ხომ საუბარიც ზედმეტია, საბრძოლო მოქმედებებით რამე წარმატებას მივაღწიოთ. ეს იქნება ჩვენთვის დამღუპველი და დამანგრეველი.** ასე რომ, ნებისმიერი თანამდებობის პირს, რომელიც მსგავს განცხადებას გააკეთებს, ვურჩევ, ჯერ გაიაზროს სათქმელი. ჩვენი უსაფრთხოება და თავდაცვის სტრატეგია შეიძლება სწორი, დაბალანსებული პოლიტიკა იყოს. სხვანაირად უსაფრთხოებაზე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, როგორც გითხარით, ჩვეულებრივი პოლიტიკური რეკლამაა, რომელიც გათვლილია ქულებზე და რეალობასთან კავშირი არ აქვს...

**«ის, რომ რუსეთის საგარეო უწყება უკვე მერამდენედ გამოთქვამს შეშფოთებას ნატოს გააქტიურების გამო შავ ზღვაში და იქ გარკვეულ რეაგირებაზეც იყო საუბარი, უნდა განვიხილოთ არა როგორც ჩვენი ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს, ვთქვათ, ბულგარეთის ან რუმინეთის საშინაო პროცესებში ჩარევა, არამედ როგორც ერთი ზესახელმწიფოს ძალისხმევა, აღკვეთოს და თავიდან აიცილოს მეორე ზესახელმწიფოს მცდელობა, რამე ფორმით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი უსაფრთხოება. რა თქმა უნდა, ეს მისი პოზიციიდან სწორი და ადეკვატური მიდგომაა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## საარსებო მინიმუმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკაში ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმად თვეში 2625 დოლარია დადგენილი. დღევანდელი კურსით რომ ვიანგარიშოთ, დაახლოებით 7 061.25 ლარი გამოდის — ზუსტად 6 700 ლარით მეტი, ვიდრე საქართველოში. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმას, რომ ამერიკაში პროდუქტებზე სხვა ფასია, გადასახადებიც, შესაძლოა, უფრო მაღალი, მაგრამ ხომ ისედაც ცხადია, რომ, რასაც საქართველოში იყიდი 361 ლარად, იმავეს ამერიკაში 7061 ლარი, ანუ 19-ჯერ მეტი დასჭირდება. მაშ, რა გამოდის? ამერიკელი მოქალაქე საქართველოს მოქალაქეზე მეტს ჭამს?**

# რამდენს უნდა ჭამდეს შრომისუნარიანი მამაკაცი დღის განმავლობაში?

# რატომ უნდა ჭამოს ქართველმა ამერიკელზე 19-ჯერ ნაკლები?

**დაახლოებით 4-5 წლის წინათ ვესწრებოდი შეკრებას, რომელზეც ბაღის ბავშვების კვების რაციონს განიხილავდნენ. ზუსტად ციფრები არ მახსოვს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ დედაქალაქის ბაღებში თითო ბავშვზე თანხა უფრო მეტი გამოიყო, ვიდრე რეგიონების ბაღის აღსაზრდელებზე. როცა კითხვა არავინ დასვა, ავდექი და ვიკითხე: ვინ დაადგინა, რომ ბაღში თბილისელი ბავშვი უფრო მეტს ჭამს, ვიდრე, მაგალითად, საგარეჯოელი, ზუგდიდელი, ზესტაფონელი? პასუხი არავინ გამცა, უფრო სწორად, ვიღაცამ მომაძახა: ნეტა შენო... და ეგ იყო. არავის გაუპროტესტებია და ასე დაადგინეს თანხობრივად უფრო მეტი ულუფა თბილისელ ბავშვებზე. როგორც ჩანს, ეს ქართული ნოუ-ჰაუა და ბავშვების შემდეგ ეს მიდგომა დიდებზეც „დატესტეს“.**

თქვენი აზრით, **რამდენს უნდა ჭამდეს შრომისუნარიანი მამაკაცი დღის განმავლობაში?** მოდი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებს მოგაწვდით. მაშ ასე, შრომისუნარიანმა მამაკაცმა დღეში უნდა მიიღოს: 250 გრ ხორბლის პური, 70 გრ ხორბლის ფქვილი, 40 გრ სიმინდის ფქვილი, 20 გრ ლობიო, 10 გრ ბრინჯი, 10 გრ წიწიბურა ან მანანის ბურღული, 15 გრ მაკარონი, 40 გრ ხბოს ხორცი, 10 გრ ღორის ხორცი, 20 გრ შინაური ფრინველის ხორცი, 40 გრ თევზი, 10 გრ ძეხვეული, 150 გრ რძე, 25 გრ მაწონი, 15 გრ ხაჭო, 20 გრ ყველი, 5 გრ ნადუღი, 0,5 ცალი (ანუ ნახევარი) კვერცხი, 12 გრ კარაქი ან ერბო, 7 გრ მარგარინი, 10 გრ მცენარეული ზეთი, 50-50 გრ თესლოვანი, კურკოვანი და სუბტროპიკული ხილი, 50 გრ საზამთრო, ნესვი ან გოგრა, 15 გრ კაკალი, თხილი ან მზესუმზირა, 50 გრ პომიდორი, 25 გრ ხახვი, 7 გრ ნიორი, 10 გრ ბადრიჯანი, 40 გრ კომბოსტო, 15 გრ ჭარხალი, 15 გრ სტაფილო, 150 გრ კარტოფილი, 50 გრ შაქარი, 5 გრ მურაბა ან ჯემი, 5 გრ საკონდიტრო ნაწარმი, 20 გრ სამამულო ღვინო, 2 გრ ჩაი, მარილი... მარილი გემოვნებით, ბატონებო, რადგან მარილის გრაფაში ნული წერია.

უფრო დეტალურად რომ აგიხსნათ, გეტყვით, რომ **სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება მრავლდება შევაჭრების კოეფიციენტზე, რომელიც გაანგარიშებულია ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებისა და შინამეურნეობების (ოჯახის) შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევიდან მიღებულ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით.**

აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865-ს. მიღებული რიცხვი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის მოცემულ თვეში. საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0,7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის.

მოკლედ, ეს ყველაფერი ციფრებში შემდეგნაირად არის ასახული: **საქართველოში ხუთსულიან ოჯახს თვეში 361.10 ლარი უნდა ეყოს ყველაფერში — ჭამაში, სმასა და გადასახადებში.** აბა, რა უფლება გვაქვს, სპეციალისტებსა და ექსპერტებს არ დავუჯეროთ, მაგრამ ხომ იცით, ჟურნალისტებმა როგორი ჩაძიება იციან და ამ თემას ბოლომდე გავყევით. შესადარებლად ამერიკის შეერთებული შტატები ავიღეთ. ეს ქვეყანა იმიტომ შევარჩიეთ, რომ ყველაფრის კეთება ამერიკული სტანდარტებით გვსურს, მათ ვბაძავთ, მათ მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებთ. **ამერიკაში ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმად თვეში 2 625 დოლარია დადგენილი. დღევანდელი კურსით რომ ვიანგარიშოთ, დაახლოებით 7 061.25 ლარი გამოდის — ზუსტად 6 700 ლარით მეტი, ვიდრე საქართველოში.** რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმას, რომ ამერიკაში პროდუქტებზე სხვა ფასია, გადასახადებიც, შესაძლოა, უფრო მაღალი, მაგრამ ხომ ისედაც ცხადია, რომ, **რასაც საქართველოში იყიდი 361 ლარად, იმავეს ამერიკაში 7061 ლარი, ანუ 19-ჯერ მეტი არ დასჭირდება. მაშ, რა გამოდის? ამერიკელი მოქალაქე საქართველოს მოქალაქეზე მეტს ჭამს?** სიმსუქნის პრობლემა კი აქვთ ამერიკელებს, ისინი მსოფლიოში ყველაზე ჭარბწონიანი მოსახლეობის სიაში შედიან, მაგრამ არც ისეთი ჭარბი წონა უნდა ჰქონდეთ, რომ **ქართველებზე 19-ჯერ მეტს მიირთმევდნენ.** სიმართლე ის არის, რომ მათ აქვთ რეალობასთან ახლოს მისული საარსებო მინიმუმი, ანუ იქ რეალურად ითვლიან იმას, რაც სჭირდება კონკრეტულ ადამიანს და არ ანგარიშობენ მილიგრამებში. **რა უბედურებაა დღეში 7 გრ ნიორი და 5 გრ ნადუღი?! ან რომელმა ჭკვიანმა თქვა, რომ საარსებო მინიმუმის მქონენი ხბოს ხორცით იკვებებიან, თანაც ყოველდღიურად?** თუ ვერ ხვდებით, ბატონებო, ჩვენ გეტყვით — ეს დაანგარიშებაც, ჩამოთვლილი პროდუქტებიცა და ფასებიც მოსახლეობის დაცინვაა. ჰო, დაცინვა და მეტი არაფერი! თქვენ დასცინით ადამიანებს, თანაც ოფიციალურად, ქაღალდზე დატანითა და შესაბამისი ცხრილების შედგენით.

შესაძლოა, ვიღაც შემოგვედაოს: რაც შეუძლია სახელმწიფოს, ეს არისო, მაგრამ არა, ბატონებო. ნუ დაარქმევთ ამას საარსებო მინიმუმს, დაარქვით „შეძლებისდაგვარად“ და უფრო გასაგები და მართივი იქნება. აკი თქვა კიდეც **ბიძინა ივანიშვილმა:** ხალხს რომ უჭირს, „ქართული ოცნების“ ბრალი არ არის, რადგან ჩემი გუნდი პრაქტიკულად მაქსიმუმს აკეთებს, მეტის კეთება შეუძლებელიაო. ჰოდა, **თქვით თქვენც: ეს საარსებო მინიმუმი კი არ არის, ის მაქსიმუმია, რომლის მოცემაც შეგვიძლიაო, და მოვეკიდებით გაგებით. ან, დიდი ამბით რომ გვიწერთ, ეს ყველაფერი შრომისუნარიანი მამაკაცისთვის არის გათვლილიო, არ გინახავთ 65 წელს, ანუ საპენსიო ასაკს გადაცილებული შრომისუნარიანი მამაკაცი?** ის მამაკაცი, რომელსაც პენსია 200 ლარი აქვს, ანუ იმდენი, რომ შრომისუნარიანობიდან ნელ-ნელა უნდა გადაკვალიფიცირდეს შრომისუუნარობაზე, რადგან შესაბამისად ვერ გამოიკვებება.



ხშირად გვესმის: თქვენ თუ იცით გამოსავალი, გვითხარითო. ჯერ ერთი, არც ერთი მთავრობა არ უსმენს ხალხს და ეს არის ქართული აქსიომა. მერე იცით, როგორ არის, ბატონებო? ფეხბურთელი მომენტს რომ ვერ გამოიყენებს და გულშემატკივარი სტვენას რომ იწყებს, ხომ გინახავთ? ისიც ხომ გინახავთ, იმ ფეხბურთელს ნამატჩევს რომ უთქვამს, უკეთესად თუ შეგიძლიათ, თქვენ ითამაშეთო? ფეხბურთელს იმიტომ ჰქვია ფეხბურთელი, მაყურებელს კიდევ — მაყურებელი, რომ ერთი მოედანზე იყოს, მეორე — ტრიბუნაზე, ანუ ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს და, თუ არ შეგიძლიათ, იმას კი ნუ გვეუბნებით: მოდი, აბა, შენ გააკეთეო, — ვინც იცის, ის მიუშვით. ახლა იკითხავთ: ვინ იცისო? მცოდნე ბევრია, ძალიან ბევრი. **გიორგი ქობულიას** დარი მცოდნე კი არა, ეკონომიკის მინისტრობა რომ შეტენეთ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), არა, ნამდვილ პროფესიონალებზე ვამბობთ და, რაც მთავარია, ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც ნამუსი აქვთ და სიმართლეს მაინც ეტყვის ხალხს, არ დასცინებს და არ შეეცდება დარწმუნებას, რომ იმ თანხით უნდა იარსებოს, რომელი თანხითაც არსებობა რეალურად შეუძლებელია.

**ის თუ იცით, ხალხს არჩევნების მოსვლა რომ უხარია? დაპირებების გარდა, ამომრჩევლის მოსყიდვა მიდის და ხმას ყიდის ამომრჩეველი, ანუ ყიდის იმას, რაც აქვს და რაც ხელისუფლებას თუ ოპოზიციას სჭირდება. ჭკუაც ისწავლეს და ერთ ხმას ორივე მხარეს ყიდიან, შემდეგ კი არჩევანს ან აკეთებენ, ან არ აკეთებენ... საბოლოო ჯამში, გამარჯვებული იმავე ხალხისგან ასმაგად იღებს დანახარჯს, მაგრამ ამომრჩეველს ეს ნაკლებად ანაღვლებს, იმიტომ, რომ ისინი გადარჩენისთვის იბრძვიან, იმ ერთი თუ ორი კვირის სარჩოსთვის, რომელიც ამოასუნთქებს.** ხანდახან მართლა გვგონია, რომ ხელისუფლებაში მყოფნი ვერ ხვდებიან, რა დღეშია მოსახლეობა და აწ უკვე გათავისუფლებული ქობულიასავით ფიქრობენ, რომ ადამიანები კარგად ცხოვრობენ, უბრალოდ, ამის აღქმა უჭირთ. **დილით ფრანგი მზარეულის (არიან ასეთები თბილისში) გამომცხვარ თბილ კრუასანს რომ წაუსვამთ კარაქს (და ეჭვი გვაქვს, დღიურ ნორმაზე დადგენილი 12 გრამზე მეტს),** მაშინ ძნელად თუ წარმოიდგენთ, რომ იმავე წუთს თქვენს კორპუსთან ახლოს მდგარ ნაგვის ურნაში ვიღაც იქექება, რათა წინა დღით გადაგდებული პურის ნატეხი იპოვოს. რატომ მაინცდამაინც თქვენს კორპუსთან? იმიტომ, რომ პრესტიჟულ უბნებში ცხოვრობთ და იქ ურნებში ქექვა უფრო მომგებიანია, უფრო მეტი საკვები იყრება. ეს ის მწარე რეალობაა, რომელშიც ვცხოვრობთ, მაგრამ **რატომ არ ჩანს ეს რეალობა თქვენი ავტომობილების ან სახლების ფანჯრებიდან, თუ არ გინდათ, რომ დაინახოთ? თუ ხედავთ და სულაც არ გადარდებთ?**

**ბესო ბარბაქაძე**

**დილით ფრანგი მზარეულის (არიან ასეთები თბილისში) გამომცხვარ თბილ კრუასანს რომ წაუსვამთ კარაქს (და ეჭვი გვაქვს, დღიურ ნორმაზე დადგენილ 12 გრამზე მეტს), მაშინ ძნელად თუ წარმოიდგენთ, რომ იმავე წუთს თქვენს კორპუსთან ახლოს მდგარ ნაგვის ურნაში ვიღაც იქექება, რათა წინა დღით გადაგდებული პურის ნატეხი იპოვოს. რატომ მაინცდამაინც თქვენს კორპუსთან? იმიტომ, რომ პრესტიჟულ უბნებში ცხოვრობთ და იქ ურნებში ქექვა უფრო მომგებიანია, უფრო მეტი საკვები იყრება. ეს ის მწარე რეალობაა, რომელშიც ვცხოვრობთ, მაგრამ არ ჩანს ეს რეალობა თქვენი ავტომობილების ან სახლების ფანჯრებიდან თუ არ გინდათ, რომ დაინახოთ? თუ ხედავთ და სულაც არ გადარდებთ?**

„უნდა დასრულეს „ოცნების“ ხელისუფლება, მეტის მითმენა და მოთმენა აღარ შეიძლება, ვაცადეთ უკვე საკმარისი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შვიდი წელიწადი დიდი დროა იმისთვის, რომ რამე სასიკეთო გაეკეთებინათ, მაგრამ არ გააკეთეს, პირიქით... ამათ ჩაუშესკუს ბედი უნდა მონატრო, თუმცა იმ კაცს რას ერჩოდნენ, არ ვიცი, არაჩვეულებრივი მმართველი იყო“.

ხალხის ხმა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნიკოლოზ მჟავანაძე:

# «ქართველები კი არ უნდა გავიქცეთ აქედან, ეს ხელისუფლება უნდა გავაქციოთ»

**რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რა პირობებში უწევთ ცხოვრება საფრანგეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ მონპელიეში თავშესაფრის მიღების მოლოდინში მყოფ ქართველებს. ფოტოებზე ჩანს კარვებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გაუსაძლისი ყოფა, კარვებში არიან ბავშვებიც. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, თავშესაფრის მაძიებელთა კარვებში ცხოვრება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ბევრი ადამიანი ითხოვს თავშესაფარს საფრანგეთში და ამ ქვეყნის ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, ყველა უზრუნველყოს საცხოვრებლით.**

„გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პირები არიან თავშესაფრის მაძიებლები, ეს უზღუდავს საქართველოს საკონსულოს, მიიღოს მათ შესახებ ინფორმაცია ფრანგული მხარისგან ან დახმარება აღმოუჩინოს მათ. ხშირ შემთხვევაში, თავად მოქალაქეებს არ სურთ საქართველოს საკონსულოსთან დაკავშირება, რადგან, მათი მიაჩნიათ, რომ ამან, შესაძლოა, შეაფერხოს მათთვის თავშესაფრის მინიჭება. საქართველოს მოქალაქეები თავშესაფარს მოითხოვენ საფრანგეთის ქალაქ ბოვეშიც, სადაც ინფორმაციის მიღებისთანავე ჩავიდა საქართველოს კონსული და გაეცნო მათ საყოფაცხოვრებო პირობებს. საქართველოს მოქალაქეებმა უარი განაცხადეს საქართველოში დაბრუნებაზე. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს: ბოროტად არ ისარგებლონ უვიზო მიმოსვლით და პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით. საქართველო ევროპის, ევროკავშირის მხრიდან მიჩნეულია უსაფრთხო ქვეყანად, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მინიჭების სტატისტიკა დაბალია“, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **თამარ ხულორდავა** მონპელიეში საქართველოს მოქალაქეების მიერ გამართულ აქციებს სოციალური ქსელით გამოეხმაურა: „ის, რაც ახლა მონპელიეში ხდება, არის ძალიან დამაზიანებელი მოვლენა. ჩვენი მოქალაქეები აქციას მართავენ საფრანგეთში. ამბობენ, რომ პოლიტიკურ თავშესაფარს არ ითხოვენ, თუმცა უნდათ, საქართველო არ იყოს აღიარებული „უსაფრთხო ქვეყნად“. ეს იცით, რას ნიშნავს? თუ უსაფრთხო ქვეყანა არ ვართ, ე.ი. უვიზო მიმოსვლასაც არ ვიმსახურებთ. უვიზო მიმოსვლის შენარჩუნება უნდა იყოს ყველა ჩვენგანის ინტერესი“.

**თუ რატომ ვერ იცავს საქართველოს მთავრობა საკუთარ მოქალაქეებს — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ადამიანის უფლებათა დამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე გვესაუბრება:**

— საქართველოს მოქალაქეები უცხო ქვეყნებში ქუჩაში, კარვებში ცხოვრობენ, ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი კი დადის და ლაპარაკობს, რომ საქართველოში უსაფრთხო გარემოა ტურისტებისთვისაც და ინვესტორებისთვისაც. ხელისუფლების წარმომადგენლების ასეთი ქმედებები იმას ნიშნავს, რომ თვითონ არიან მონები და უცხო ქვეყნების დაკვეთებს ასრულებენ. საქართველოს ჰყავს ლგბტ ხელისუფლება, რომელსაც მხოლოდ ქალების მიმართ ძალადობაზე ლაპარაკის უფლება აქვს, მეტის არაფრის. დადიან და ტრაბახობენ, რა შედეგები აქვთ ქალებზე ძალადობის კუთხით, იმაზე კი არ საუბრობენ, რა დღეში არიან უცხო ქვეყნებში ქართველები და როგორ მონურ პირობებში უწევთ ცხოვრება.

მთელი საქართველო შეძრულია იმ კადრებით, რომლებიც სოციალურ ქსელში გავრცელდა საფრანგეთიდან, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი **თამარ ხულორდავა** კი იმაზე წუხს, უვიზო მიმოსვლა შეგვიწყდებაო, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მისი თანამემამულეები შიმშილით რომ წყდებიან უცხოეთსა თუ საქართველოში.

«ჩვენი მთავრობის მოვალეობაა ლგბტ თემის დაცვისთვის გამოყოფილი გრანტების ჭამა, დანარჩენი, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდიათ. არ აინტერესებთ, ქართველი აქ მოკვდება თუ სადღაც მონპელიეში»

რასაც ჩვენი ქვეყნის მთავრობა ხალხის წინააღმდეგ სჩადის — ეს არის მიზანმიმართული ქმედება იმისთვის, რომ ეთნიკური ქართველი აღარ დარჩეს ქვეყანაში, თორემ სამი მილიონი ადამიანის გამოკვებას რა უნდა?! რა პრობლემა იყო რამდენიმე საწარმოს გახსნა, ქვეყნიდან ხალხი რომ არ გაექციათ?! სამშობლოში ვერ ჩერდება ქართველი, საზღვარგარეთ მიდის და იქაც გაუსაძლისი ყოფა აქვს, დამცველი კი არც აქ არის ვინმე და არც იქ.

კარვების გაშლა აქაც დაიწყო უკვე, მთავრობის კანცელარიასთან ბათუმელები შლიან კარვებს. ბათუმის ბულვარში ელექტრომობილებით დამსვენებელთა მომსახურება აუკრძალეს ადგილობრივ მოსახლეობას. საწყლებმა სესხი გამოიტანეს ბანკებიდან, ეს ძვირი მანქანები შეიძინეს და იმის საშულებას არ აძლევს აჭარის მთავრობა, ორი კაპიკი იშოვონ. იმდენ დროსაც არ აძლევენ, იმუშაონ და სესხი დაფარონ, რადგან ეს ადგილები თურქებისთვის უნდათ, გაყიდულია აჭარა. აჭარლებთან ერთად მთავრობის კანცელარიაში ვიყავი, ვთხოვე: შეღავათი გაუკეთეთ, ვალები აქვთ, 300 ოჯახია დაზარალებული, რომლებმაც, შესაძლოა, ქვეყანა დატოვონ-მეთქი.

ასეთი უსისხლო ხელისუფლება ჯერ არ ჰყოლია საქართველოს. არაფერი ანაღვლებთ, სიხარულით ხვდებიან ქართველის წასვლას და მერე უფრო დიდი სიხარულით იღებენ არაბს, ირანელს, თურქს...

«ასეთი უსისხლო ხელისუფლება ჯერ არ ჰყოლია საქართველოს»

წინათ, მშენებლობას რომ დავინახავდი, ახალ კორპუსს რომ შევხედავდი, მიხაროდა, ახლა აღარ მიხარია, რადგან, ვინც იმ კორპუსში სახლდება, მათი 70 პროცენტი ირანელი, ინდოელი და ვიღაც გადამთიელია. არავინ ფიქრობს, ირანელი აქ რომ ჩასახლდება, რა მოხდება. ახლავე გვეუბნებიან, საქართველო ჩვენიაო და მერე რას იზამენ?

**— საქართველოს ხელისუფლებას აქვს რაიმე ბერკეტი, რომ იქ წასული ჩვენი მოქალაქეები დაიცვას? ვგულისხმობ, მიმართონ ხელისუფლებას იმ ქვეყნებისა, რომლებშიც ქართველები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან და მათთვის პირობების გაუმჯობესება სთხოვონ. საქართველო ხომ იღებს ვალდებულებას, რომ უცხოელები აქ დაცულები იყვნენ...**

— რა თქმა უნდა, აქვთ ეს უფლება, მაგრამ არ იყენებენ. სამაგიეროდ, ტელევიზიები ბოლო ხმაზე გაჰყვირიან, თუ ქართველმა დანაშაული ჩაიდინა. ისე წარმოაჩენენ ყველაფერს, თითქოს მხოლოდ ქართველია კრიმინალი, ყაჩაღი, ქურდი, სხვა ქვეყნის მოქალაქეები — ანგელოზები. საქართველოშიც ყაჩაღობენ და ქურდობენ ირანელები, თურქები და არაბები, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს.

საკუთარი ქვეყნის მოქალაქის დაცვის უფლება ყველა ქვეყანას აქვს და, რა თქმა უნდა, ჩვენც, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას ეს ხელს არ აძლევს, რადგან მონები და სხვისი დავალებების შემსრულებლები არიან. ქართული ინტერესი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ინტერესებში არ არის.

**სალომე ზურაბიშვილის** მეხოტბე არ ვარ, მაგრამ დადის ეს ქალი მარტო: საინგილოში, სამცხე-ჯავახეთში, მარნეულში და ყველას ეუბნება: ქართულად ილაპარაკეთო. მას ეს არ ეხება, აღმასრულებელი არ არის, მაგრამ მაინც აკეთებს. აბა, სხვა რომელმა ხელისუფალმა მოიფიქრა მსგავსი რამის თქმა ან გაკეთება?

ჩვენი მთავრობის მოვალეობაა ლგბტ თემის დაცვისთვის გამოყოფილი გრანტების ჭამა, დანარჩენი, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდიათ. არ აინტერესებთ, ქართველი აქ მოკვდება თუ სადღაც მონპელიეში.

ქართველები კი არ უნდა გავიქცეთ აქედან, ეს ხელისუფლება უნდა გავაქციოთ. ამ ნაძირლებსა და უცხოელებს ხომ არ დავუტოვებთ ამ ქვეყანას?! რამდენი ფულიც უნდა მქონდეს, ბედნიერი ვერ ვიქნები, რადგან ჩემი ქვეყნის მოსახლეობის რაღაც ნაწილი, ვიცი, რომ ნაგვის ბუნკერში იქექება; ბედნიერი ვერ ვიქნები, დამონებულ ქართველს რომ ვუყურებ და პოლიციელს, რომელსაც ქვებს ესვრიან.

უნდა დასრულდეს „ოცნების“ ხელისუფლება, მეტის მიტევება და მოთმენა აღარ შეიძლება, ვაცადეთ უკვე საკმარისი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შვიდი წელიწადი დიდი დროა იმისთვის, რომ რამე სასიკეთო გაეკეთებინათ, მაგრამ არ გააკეთეს, პირიქით... ამათ ჩაუშესკუს ბედი უნდა მონატრო, თუმცა იმ კაცს რას ერჩოდნენ არ ვიცი, არაჩვეულებრივი მმართველი იყო.

არ მეგულება რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც ხალხს პური ენატრება, თუმცა არიან დიქტატორები. აქ კი დიქტატურაც უნდათ და ისიც, რომ ხალხი შიმშილობდეს. მშიერ ხალხთან დიქტატურა არ გამოვა.

ესენი ისე უნდა გავუშვათ აქედან, რომ კუდები ვერ დატოვონ, ვითომ სატელიტურ პარტიებს რომ ქმნიან, ახლა გაახსენდათ საქართველო დასაცავი რომ არის.

**— ყველაფერს ნუ დავაბრალებთ ხელისუფლებას, ხალხის ბრალიც არის... მას შემდეგ, რაც ვიზალიბერალიზაცია მოხდა, როგორც კი ქართველი ორ კაპიკს იშოვის, საზღვარგარეთ გარბის დასახარჯად... გვჭირდებოდა თუ არა ქართველებს ვიზალიბერალიზაცია?**

— ფული აქ არ იხარჯება, ეს მართალია, ისევ უცხოელები მდიდრდებიან ჩვენი ფულით. ვიზალიბერალიზაციას კი რაც შეეხება, ცუდი არ იქნებოდა, ჭკვიანი ხელისუფლება რომ გვყავდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ეს ბედნიერება არ გვაქვს, ჩვენ ხომ ყველა უბედურებას უნდა მოვაწეროთ ხელი. მიგრანტთა პაქტზე რომ არ მოეწერათ ხელი, არ აეღოთ განუსაზღვრელი ვალდებულებები უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღებაზე, ძალიან კარგი იქნებოდა. მსოფლიოში ყველა ქვეყანა იმაზე მუშაობს, რომ არ გადაშენდნენ. **გაერომ გვითხრა, რომ გადაშენების გზაზე მყოფი ერი ვართ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნარკოტიკების ლეგალიზაცია მოახდინეს, ნარკობორდელებად აქციეს ქვეყანა, მოქალაქეები გარბიან. იმის მაგივრად, რომ გადაშენების პირას მყოფი ერი ვართ და რამე გამოესწორებინათ, ტყვია დაგვახალეს შუბლში.** ვიზალიბერალიზაცია კარგია ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც მოსახლეობა ბედნიერი ჰყავს. აზერბაიჯანმა ახლახან იზეიმა მეათე მილიონი ადამიანის დაბადება. კომუნისტების პერიოდში ქართველები აზერბაიჯანელებზე მეტნი ვიყავით და ახლა, სულ ცოტა ხანში, გეორგიევსკის ტრაქტატამდე რომ ვიყავით, იმდენი დავრჩებით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

«გაერომ გვითხრა, რომ გადაშენების გზაზე მყოფი ერი ვართ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნარკოტიკების ლეგალიზაცია მოახდინეს, ნარკობორდელებად აქციეს ქვეყანა, მოქალაქეები გარბიან. იმის მაგივრად, რომ გადაშენების პირას მყოფი ერი ვართ და რამე გამოესწორებინათ, ტყვია დაგვახალეს შუბლში. ვიზალიბერალიზაცია კარგია ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც მოსახლეობა ბედნიერი ჰყავს. აზერბაიჯანმა ახლახან იზეიმა მეათე მილიონი ადამიანის დაბადება. კომუნისტების პერიოდში ქართველები აზერბაიჯანელებზე მეტნი ვიყავით და ახლა, სულ ცოტა ხანში, გეორგიევსკის ტრაქტატამდე რომ ვიყავით, იმდენი დავრჩებით»

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აჭარაბეთმა“ გასული წელი 45-მილიონიანი მოგებით დაასრულა, „კრისტალბეთის“ მონაგარმა კი „მოკრძალებული“ 34 მილიონი შეადგინა. უცხო თვალისთვის ეს ყველაფერი, ალბათ, ასე ჩანს — ქართველები ფულს აგებენ აზარტულ თამაშებში, შემდეგ კი მიღებული სტრესის სამკურნალოდ აფთიაქში მიდიან. პარალელურად, ტელეფონით ახლობლებს უყვებიან ამ ყველაფერს, რადგან „მაგთიკომის“ მოგებამ 91 მილიონი შეადგინა და... ეს ის „მაგთიკომია“, ერთი თვის წინათ ტარიფები რომ გააძვირა, აქაოდა, ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელიაო. არადა, 91 მილიონს რომ მოიგებს კომპანია და კიდევ უკმაყოფილო იქნება...**

# ვთამაშობთ, ვაგებთ, ვმკურნალობთ

**პოპულარულმა გამოცემა „ფორბსმა“ საქართველოში მოქმედი ასი უდიდესი კომპანიის სია გამოაქვეყნა და მათი წლიური ბრუნვა და მოგებული თანხა დაიანგარიშა. ასეულის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ გეტყვით, რომ პირველ ადგილზეა „სოკარი“, რომელიც ქართულ ბაზარზე როგორც ბუნებრივი აირის, ისე საწვავის ყველაზე მსხვილი მომწოდებელია. ლოგიკურად, ასეც უნდა იყოს, რადგან ნავთობკომპანიები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში ლიდერობენ, მაგრამ მსოფლიოში ვერსად ნახავთ, რომ საუკეთესო ათეულში ერთბაშად სამი... სააფთიაქო ქსელი იყოს. ეს, სულ ცოტა, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ძალიან ბევრი სენი გვჭირს, მაგრამ რეალურად სიტუაცია არც ისეთი უსაშველოა. მართალია, ექიმთან ვიზიტი ყველას გვიწევს, მაგრამ ეპიდემიურ აფეთქებებს ნაკლებად ვუჩივით. ძაღლის თავიც სხვაგან არის დამარხული და იქამდე აუცილებლად მივალთ, მანამდე კი...**

„ფორბსის“ სიაში მეხუთე ადგილზეა აფთიაქების ქსელი **„პსპ“.** მისმა შემოსავალმა გასულ წელს 477 265 000 ლარი შეადგინა, აქედან სუფთა მოგება 33 097 000 ლარი იყო. იმასაც გეტყვით, რომ „პსპ“-ს ქსელი 202 აფთიაქსა და „ნიუ ჰოსპიტალსის“ კლინიკებს აერთიანებს. მეშვიდე ადგილზეა **„ავერსი“** წლიური 366 150 000-ლარიანი ბრუნვითა და 22 629 000-ლარიანი მოგებით. „ავერსს“ საქართველოს მასშტაბით 241 აფთიაქი აქვს. მეცხრე ადგილზე 450 315 000 ლარის ბრუნვითა და 37 319 000 ლარის მოგებით **„ჯი პი სი“**-ს სააფთიაქო ქსელია 255 აფთიაქით. ვერ გეტყვით, რატომ არის „ჯი პი სი“ მეცხრე ადგილზე, როცა ორივე აფთიაქზე მეტი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ „ფორბსმა“ ასე დაალაგა და ჩვენც მივყვეთ.

დავიწყოთ იმით, რომ „პსპ“ და „ჯი პი სი“ პრაქტიკულად ერთი ჯგუფის ხელშია, ანუ იმ ადამიანების, რომლებსაც აქციები „საქართველოს ბანკშიც“ აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვეუბნებიან და ამ ინფორმაციის დაზუსტება ოფიციალურ დონეზე წარმოუდგენელია, რადგან, როგორც ხდება ხოლმე, ყველა რაღაცას მალავს და ის რაღაც ყველაზე საინტერესოა.

თითქოს უცნაურია, რომ ათეულში ერთბაშად სამი სააფთიაქო ქსელი მოხვდა, თანაც სამეულის საერთო მოგება წლის განმავლობაში თითქმის ას მილიონ ლარს უკაკუნებს. თუ „პსპ“-ს დამფუძნებელსა და მთავარ აქციონერს, პარლამენტარ **კახა ოქრიაშვილს** დავუჯერებთ, საქართველოში წამლები არ არის ძვირი, უბრალოდ, შემოსავალი აქვს ხალხს დაბალი. დაახლოებით ანალოგიური რამ თქვა ეკონომიკის იმ მინისტრმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მოხსნეს, და ეს ნათქვამი ყველაზე დიდ სისულელედ ჩაუთვალეს მინისტრობის 10-თვიან კარიერაში. რას ნიშნავს, წამლები ძვირი არ არის?! მაგალითად, ავიღოთ **სოდის აბები**, რომლებსაც ის ადამიანები სვამენ, რომლებსაც თირკმლის უკმარისობა აწუხებთ. **საქართველოში 100-აბიანი კოლოფის ფასი 70 ლარიდან იწყება, ხოლო ზუსტად იმავე შეფუთვით, იმავე წარმოებით, იმავე რაოდენობით 100-აბიანი კოლოფი გერმანიაში 1.45 ევრო ღირს, ანუ ხუთი ლარიც არა, საქართველოში ეს მედიკამენტი 14-ჯერ ძვირია.** ახლა იკითხავთ: ამ მედიკამენტს ხომ ჩამოტანა და განბაჟება უნდაო, მოგების მარჟაო? ეგეც გავარკვიეთ — **ქართულმა სააფთიაქო კომპანიებმა ეს მედიკამენტი პირდაპირ აფთიაქში რომ იყიდონ, ანუ გერმანელ კოლეგებს მოგება რომ დაუტოვონ, განაბაჟონ და ზედ ორმაგი მოგება დაამატონ, ფასი 20 ლარს არ უნდა ასცდეს. მაგრამ არა, აქაურმა კომპანიებმა ძალიან კარგად იციან, რომ ჯანმრთელობა უპირველესია — ადამიანები საკვებს მოიკლებენ, იშიმშილებენ და საკუთარი თავისთვის თუ შვილისთვის წამლის ფულს მოაგროვებენ და იმკურნალებენ.**

ახლა რომ არ იფიქროთ, მხოლოდ სოდის აბებზე წერენ, სხვა მედიკამენტებზე სათქმელი არაფერიაო, გეტყვით, რომ საქართველოში წამლებში დახარჯულ ას ლარზე (საუბარია, მაგალითად, **კორსიზზე, პარაცეტამოლზე, ტკივილგამაყუჩებლებზე**) ევროპის ყველა განვითარებულ ქვეყანაში დიდი-დიდი ათი ევრო მოდის.

**გულახდილად თქვით: რამდენისგან მოგისმენიათ, რომ სამკურნალოდ ფული არ ჰქონია და ოჯახის წევრის გადასარჩენად ბინა გაუყიდია, ღია ცის ქვეშ დარჩენილა და ფული მაინც არ ეყო? რამდენისგან მოგისმენიათ, რომ ამ**



**«ფორბსის» სიაში მეხუთე ადგილზეა აფთიაქების ქსელი «პსპ». მისმა შემოსავალმა შარშან 477 265 000 ლარი შეადგინა, აქედან სუფთა მოგება 33 097 000 ლარი იყო. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ «პსპ»-ს ქსელი 202 აფთიაქსა და «ნიუ ჰოსპიტალსის» კლინიკებს აერთიანებს. მეშვიდე ადგილზეა «ავერსი» წლიური 366 150 000-ლარიანი ბრუნვითა და 22 629 000-ლარიანი მოგებით. «ავერსს» საქართველოს მასშტაბით 241 აფთიაქი აქვს. მეცხრე ადგილზე 450 315 000 ლარის ბრუნვითა და 37 319 000 ლარის მოგებით «ჯი პი სი»-ს სააფთიაქო ქსელია 255 აფთიაქით**

**სააფთიაქო ქსელების კლინიკებში მისულ პაციენტებს აიძულებენ, ექიმების მიერ დანიშნული მედიკამენტები მაინცდამაინც მათ ქსელში იყიდონ... რატომ? იმიტომ, რომ ხალხის ჯანმრთელობის ხარჯზე, გაჭირვების ხარჯზე მილიონები იშოვონ და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს მერე გვამადლიან: წამლები შემოგვაქვს, გმკურნალობთ და თქვენ კი უკმაყოფილო ხართო.**

სხვათა შორის, არც პაციენტები მალავენ და არც ექიმები, რომ სახელმწიფო დაზღვევის შემოღების შემდეგ **კლინიკები მაქსიმუმს აკეთებენ, რათა იქ მისული ადამიანები ბოლომდე „გამოწურონ“ და სახელმწიფოს მიერ გადასახდელი თანხა ბოლომდე აიღონ.** ეს სამწუხარო და... ქართული რეალობაა. რატომღაც გამორიცხული გვგონია, რომ ევროპაში რომელიმე კლინიკაში პაციენტი რამდენიმე დღე დამატებით გააჩერონ რეანიმაციაში სარგებლის მიღების იმედად, როცა პაციენტს რეანიმაციული მკურნალობა აღარ სჭირდება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: საქართველოში ფარმაცევტული კომპანიები ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ. ესეც ქართული „ნოუ ჰაუა“. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სააფთიაქო ქსელების ხელმძღვანელები მოლაპარაკებულნი არიან და წამლებს ერთსა და იმავე ფასში ყიდიან ან ისე მცირე სხვაობით, რომ მყიდველისთვის აზრი არ აქვს, გაიაროს დამატებით რამდენიმე მეტრი, რათა 5 ან 10 თეთრით ნაკლები გადაიხადოს. მით უმეტეს, თუ წამალში სამნიშნა ციფრიან თანხას იხდის.

როცა მასალას ვამზადებდი, ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ვკითხე აზრი და საინტერესო პასუხი მივიღე: აფთიაქებს რომ ჩააცივდით, აზარტული თამაშები ნახეთ და მიხვდებით, სად ვცხოვრობთო. ვნახეთ და... **„აჭარაბეთმა“ გასული წელი 45-მილიონიანი მოგებით დაასრულა, „კრისტალბეთის“ მონაგარმა კი „მოკრძალებული“ 34 მილიონი შეადგინა. უცხო თვალისთვის ეს ყველაფერი, ალბათ, ასე ჩანს — ქართველები ფულს აგებენ აზარტულ თამაშებში, შემდეგ კი მიღებული სტრესის სამკურნალოდ აფთიაქში მიდიან. პარალელურად, ტელეფონით ახლობლებს უყვებიან ამ ყველაფერს, რადგან „მაგთიკომის“ მოგებამ 91 მილიონი შეადგინა და... ეს ის „მაგთიკომია“, ერთი თვის წინათ ტარიფები რომ გააძვირა, აქაოდა, ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელიაო. არადა, 91 მილიონს რომ მოიგებს კომპანია და კიდევ უკმაყოფილო იქნება...**

ყველაფრის პარალელურად, საქართველოში **კონკურენციის სააგენტო** არსებობს. მისი ხელმძღვანელი **ნოდარ ხადური** გახლავთ, ფინანსთა ყოფილი მინისტრი, რომელსაც წესითა და რიგით, კარგად უნდა ესმოდეს, რა არის კონკურენცია, მაგრამ ჯერჯერობით ამ უწყების მიერ აღმოჩენილი ან გამოვლენილი რაიმე ფაქტი არ გვინახავს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს სააგენტო კონკრეტული ადამიანების დასაქმებისთვის შეიქმნა, სოლიდური (ოთხნიშნა) ხელფასებიც დაენიშნათ და არიან თავისთვის, პასუხსაც არავინ სთხოვთ და არც თავად იწუხებენ თავს. არ გჯერათ? დეკემბერში არ იყო, პრემიერმა სწორედ ამ სააგენტოს რომ დაავალა, პურის ფასმა რატომ მოიმატა, გაგვირკვიეთო? და არკვევენ დღემდე. დავალება პრემიერმაც დაივიწყა (ან დაავიწყებინეს) და არც სააგენტოს გამოუქვეყნებია დასკვნა. სწორედ ამ სააგენტომ უნდა შეისწავლოს ფარმაცევტული ბაზარი და გამოაქვეყნოს დასკვნა, რომ ასე არ შეიძლება, რომ მოგების მარჟა გარკვეულ ზღვარს არ უნდა აჭარბებდეს და ათჯერ, ოცჯერ ძვირს არ უნდა იხდიდნენ ადამიანები წამალში. წამალს ხომ სიამოვნებისთვის არ ყიდულობენ? ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორი მონაცემები იქნება წელს, მაგრამ იმის თქმა კი დაზუსტებით შეგვიძლია, რომ ფარმაცევტული კომპანიები მოწინავე პოზიციებს არ დათმობენ. არ შეუტევს სახელმწიფო მათ, რადგან ხელს არ აძლევს. ბოლო პერიოდში კი ძალიან ხშირად ისეა ყველაფერი, როგორც სახელმწიფოს აძლევს ხელს, ხალხს არ მოსწონს და პირიქით. და ასე ერთ მოჯადოებულ წრეზე, დიდი ხანია, დავდივართ და გამოსწორებას პირი არ უჩანს. გვერდიდან კი ასე ჩანს — ვთამაშობთ, ვაგებთ, ვმკურნალობთ...

**ბესო ბარბაქაძე**






„ყველაზე ამაზრზენი იყო ის, რომ გაღატაკებული ქვეყნის ხელისუფლებამ ევროსაბჭოს ხაზინაში ნებაყოფლობითი შეიტანა 500 000 ევრო, რითაც, ბახტაძის თქმით, საქართველომ მადლიერება გამოხატა დასავლელი მეგობრების მიმართ. საკითხავია, როგორ აპირებს ეს კაცი ერთმანეთთან დააკავშიროს ქვეყნის შიგნით გაკეთებული განცხადებები, ევროპაში დადებულ დაპირებებთან?! ვის უპირებს გადაგდებას — ევროკომისრებს თუ ქართველ საზოგადოებას?!“

ბრძოლა ფასეულობებისთვის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლევან ჩაჩუა:

# ვის უპირებს «გადაგდებას» ბახტაძე: ევროკომისრებს თუ ქართველ საზოგადოებას?

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკურად გაკოტრებული „ქართული ოცნების“ იდეოლოგიურ დისკურსში ჩვეულმა „ლიბერალურმა“ რიტორიკამ იკლო და ეროვნული ფასეულობების დაცვაზე გაკეთებულმა რიხიანმა განცხადებებმა იმატა. საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის კეთილგანწყობის მოპოვებაზე ორიენტირებულმა ხრიკმა აშკარა პიარკამპანიის ხასიათი მიიღო და ერთგვარ თეატრალურ წარმოდგენას დაემსგავსა. უმრავლესობის ლიდერების ამ ტრიუკებს დამაჯერებლობა აკლია. მეტიც, ხელისუფლების მცდელობას, რომ სიტყვით ეროვნული ფასეულობების ერთგულება ამტკიცოს, ხოლო საქმით — საპირისპირო, ცინიზმისა და ირონიის ელფერი დაჰკრავს, რაც ამ პოლიტიკური კლოუნადის მიზანს ცხადყოფს.**

ამ დღეებში „მეოცნებე“ ხელისუფლების თავკაცებმა ერი და ბერი რამდენიმე განცხადებით „გააოცეს“. პრემიერმა **მამუკა ბახტაძემ** ჟურნალისტებთან საუბრისას გაცისკროვნებული სახით დასძინა, რომ ერს, რომელიც ტრადიციებს დაივიწყებს, მომავალი ვერ ექნება. მანამდე კი საზოგადოება საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარის **მამუკა მდინარაძის** კიდევ უფრო მძაფრმა „პატრიოტულმა“ სულისკვეთებამ „განაცვიფრა,“ რომელმაც ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ყოველგვარ „ლიბერალურ სტანდარტს“ გადააბიჯა და ამაყად განაცხადა: საქართველოში დომინანტი ტრადიციული ქართული ოჯახის კულტურა უნდა იყოსო.

მოკლედ, ხელისუფლებამ, რომელიც შიდაპარტიული კრიზისის ფონზე ნელ-ნელა პოლიტიკურ კრახამდე მიდის, საზოგადოების უმრავლესობას კოჭი გაუგორა. ამით, ერთი მხრივ, თითქოს ქულებიც დაიწერა და კონსერვატორი ოპონენტების გარკვეულ კრიტიკას უპასუხა; მეორე მხრივ კი, საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების მუხტი, რომელიც დიდწილად სწორედ „ლიბერალურ“ მიდგომებს უკავშირდება, წინასაარჩევნოდ გაანელა. თუმცა, ერთია პიარი და პოლიტიკური მანტია, რომელსაც ამომრჩევლის თვალის ასახვევად ირგებენ, და მეორე — რა შეიძლება იყოს ამ იაფფასიანი აფერის შედეგი...

**რა მიზანს ემსახურება რეალურად მმართველი გუნდის განცხადებები ეროვნული ფასეულობების დაცვაზე და რა გავლენას იქონიებს ეს რეალურად საზოგადოების განწყობაზე? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, წინა კვირას პრემიერმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ ერს, რომელიც წარსულს დაივიწყებს, მომავალი ვერ ექნება. მანამდე კი ერთ-ერთ გამოსვლაში მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში ტრადიციები და ეროვნული ფასეულობები უნდა იყოს დომინანტი. რაზეა რეალურად ეს განცხადებები გათვლილი?**

— პოლიტიკურად და ზნეობრივად გაკოტრებული ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების მუხტი ყოველდღიურად მატულობს, ამიტომ ყველანაირად ცდილობენ ხელისუფლებაში ყოფნის ვადა გაიხანგრძლივონ. ამისთვის იყენებენ ნაცად ხერხებს: წინასაარჩევნო დაპირებებს, ამომრჩევლის ირიბ ან პირდაპირ მოსყიდვას, აჩენენ პარტიაში კონსერვატიული ცვლილებების მოლოდინს და ა.შ. სამწუხაროდ, ეს დამაჯერებლად მოქმედებდა გაუსაძლის ყოფაში ხელოვნურად ჩაგდებულ მასაზე, მაგრამ მივიღეთ წინასააჩევნო დაპირებების საპირისპირო მოცემულობა და **ხალხიც აცნობიერებს, რომ ივანიშვილის ნდობა აღარ შეიძლება.** რაც შეეხება ბახტაძის მიერ ქვეყნის შიგნით ტრადიციების შენარჩუნებაზე გაკეთებულ განცხადებას, ერთი ანდაზა მახსენდება — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ევროპაში ჩვენი პრემიერი სულ სხვაგვარად ჭიკჭიკებს. **ამას წინათ ევროსაბჭოში გამოსვლისას დასმულ შეკითხვაზე, როგორ აპირებს საქართველოს ხელისუფლება ამ ზაფხულს ლგბტ უფლებების დაცვას და გეიაღლუმის ჩატარებისთვის ხელშეწყობას, ბახტაძემ უპასუხა — საქართველომ ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, რაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯია პროგრესისკენ და ვამაყობთ იმ რეკომენდაციებით, რომლებსაც ევროპელი მეგობრებისგან ვიღებთო. ბახტაძემ პირობა დადო, რომ, ლგბტ-თა გამოხატვის უფლება უზრუნველყოფილი იქნება და თუ, კიდევ არსებობს მიმართულებები, სადაც კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს — ჩვენ ამის პოლიტიკური ნებაც გვექნებაო.** ყველაზე ამაზრზენი იყო ის, რომ გაღატაკებული ქვეყნის ხელისუფლებამ ევროსაბჭოს ხაზინაში ნებაყოფლობითი შეიტანა 500 000 ევრო, რითაც, ბახტაძის თქმით, საქართველომ მადლიერება გამოხატა დასავლელი მეგობრების მიმართ. საკითხავია, როგორ აპირებს ეს კაცი ერთმანეთთან დააკავშიროს ქვეყნის შიგნით გაკეთებული განცხადებები, ევროპაში დადებულ დაპირებებთან?! ვის უპირებს გადაგდებას — ევროკომისრებს თუ ქართველ საზოგადოებას?!

**— სხვათა შორის, იმავე გამოსვლაში ბახტაძემ მარგინალური ჯგუფები უწოდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ეწინააღმდეგება ანტიდისკრიმინაციული კანონის ამოქმედებას და სექსუალური უმცირესობების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს...**

— ზუსტად აქედან ჩნდება შეკითხვები. ანტიდისკრიმინაციულ კანონს ეწინააღმდეგება მთელი ეკლესია, პატრიარქი და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გარდა ზნედაცემული ან გამოტოლერანტებული მცირე ნაწილისა. როგორ შეიძლება, ეროვნული ფასეულობების დაცვა და შენარჩუნება იყოს პრიორიტეტი ხელისუფლებისთვის, რომელიც კანონმდებლობის დონეზე ებრძვის ეროვნულ ფასეულობებს?! ან როგორ შეიძლება, ტრადიციებსა და ტრადიციულ ოჯახზე საუბრობდნენ ადამიანები, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს ვგულისხმობ, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მიიღონ სწორედ ოჯახის დამანგრეველი კანონი სახელწოდებით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“?! თუმცა, **იმ კატეგორიისგან, რომელმაც პრაქტიკულად უარყო საკუთარი წარსული და თანამედროვე ლიბერალიზმი გამოაცხადა ქვეყნის ისტორიულ არჩევნად, მსგავსი რიტორიკა ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს.** ეს არის ხალხი, რომელიც ამტკიცებს, რომ **ილია ჭავჭავაძე** და **ვაჟა-ფშაველა** თანამედროვე გაგებით ლიბერალები იყვნენ. აი, ეს არის ამათი ეროვნულობა და ტრადიციულობა, რომლითაც საზოგადოებას კიდევ ერთხელ აყრიან ნაცარს თვალში და შავს თეთრად წარმოუჩენენ. **შეუძლიათ ანტიდისკრიმინაციულ კანონი მიიღონ, მთავრობის კანცელარიის წინ მამათმავლებს ალანძლინონ ეკლესია, პატრიარქი და მრევლი, მერე კი სამების საკათედრო ტაძარში დამწკრივდნენ სააღდგომო წირვაზე დიდი კელაპტრებით და ტელე-ეთერებით ურცხვად მიულოცონ მორწმუნე ერს აღდგომის დღესასწაული. ნახავთ, თუ ზუსტად ასე არ იქნება...**

**— მსგავსი პიარი ეფექტიანია ხელისუფლებისთვის, მოქმედებს ის საზოგადოების განწყობაზე?**

— უნდა ვაღიაროთ, რომ მოქმედებს. ტყუილად არ ბრძანა **ოტია იოსელიანმა,** ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართაო. კაცი ერთხელ რომ დაგპირდება და მოგატყუებს, იმის ბრალია, ადამიანი ხარ და ენდე. მაგრამ, იგივე კაცი მეორედაც იმავეს რომ დაგპირდება და ისევ მოგატყუებს, შენი ბრალიცაა. ხოლო, მესამედ და მეოთხედაც თუ მოგატყუა, ან მართლა ეროვნული გამოთაყვანება გჭირს, ან იყიდები და ხელს გაძლევს, თავი მოიტყუო. ერთადერთი, რასაც ეს უნიათო ხელისუფლება 7 წლის განმავლობაში წარმატებით ახორციელებს, არის საოცნებო დაპირებებით ხალხის მოთაფვლა; ასევე ის მიზანმიმართული რიტორიკა, თითქოს მხოლოდ ორ ძალას შორის არის არჩევანი და, თუ ოცნების კანდიდატს არ აირჩევენ, მაშინ „ბუა“ მოვა მიშას სახით და ამ პოლიტიკური პინგ-პონგის მსხვერპლად გადააქციეს მთელი ქვეყანა. რასაც ოსტატურად უწყობს ხელს მედია. საზოგადოდ, **ჩვენი საზოგადოების „ისტებად“ დაყოფა პირდაპირ მეტყველებს ხალხის სულიერებისა და ცნობიერების დაღმასვლაზე, თორემ ქრისტიანი როგორ შეიძლება იყოს მოკვდავი ადამიანის „ისტი“?! სირცხვილი არ არის უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე ერი „ქოცებად“ და „ნაცებად“ რომ არის დაყოფილი?!**

**— პანკისში განვითარებულ მოვლენებზე რას ფიქრობთ, მისაღებია ეკონომიკური პროექტების განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობაზე პოლიციური ზემოქმედებით?**

— რომელ ქვეყანაში აშენებენ ჰესებს სპეცდანიშნულების რაზმების მეშვეობით?! უღირსი ხელისუფლება თავისი ფინანსური ინტერესების გამო პოლიციას აპირისპირებს მოსახლეობასთან. ჯერ რუსთაველზე მომიტინგე ნარკობარიგებს მოუხადეს ბოდიში, ახლა პანკისში ბლუყუნებენ გაფითრებულები... ასე უფრთხილდებიან სახელმწიფოს და მუნდირიანი ვაჟკაცების ღირსებას. **ფორმიანს რა კავშირი აქვს ჰესებისა და კასკადების მშენებლობასთან?! რა სპეცნაზელის გასარკვევია ინვესტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შეუთანხმებლობა?!** ვერც ნაცებად და ქოცებად დაყოფილი ხალხი მიხვდა, რომ არ შეიძლება ქვეყანას მართავდნენ მევახშე ვაჭრუკანები. მათ არც პოლიციელის ჯანმრთელობა აინტერესებთ, არც სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაცია და არც თანამემამულეების ყოფა. ისინი მხოლოდ ქონების დაგროვებასა და ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებაზე არიან ორიენტირებულნი...

**— საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში არის განცდა, რომ მოახლოებული შუალედური არჩევნები ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელმაც ძირეულად უნდა შეცვალოს ქვეყანაში ვითარება. რეალურია ეს განცდა?**

— ვფიქრობ, **სანამ იარსებებს ეს სისტემა, აზრი არ აქვს არჩევნებში მონაწილეობას.** რა შედეგიც უნდა მიიღონ კონსერვატიულმა ძალებმა, მაინც გაუყალბებენ და დატოვებენ ბორტს მიღმა. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ უნდა გავჩერდეთ. პირიქით, უნდა ვიბრძოლოთ სერიოზული კონსერვატიული ბირთვის ფორმირებისთვის, რომელიც შეძლებს საზოგადოების გაერთიანებას ანგარიშგასაწევ ძალად. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მახინჯი პოლიტიკური სისტემის ცვლილებების მოთხოვნა და შესრულების მიღწევა.

**— თუ არ იქნება ეს მოთხოვნები შესრულებული?**

— მაშინ ხალხს აქვს აჯანყების კონსტიტუციური უფლება. სხვათა შორის, ეს სულაც არ არის გამორიცხული, თუ ივანიშვილი გონს არ მოეგება და ანგარიშს არ გაუწევს მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნებს. ვიმეორებ, სანამ არ შეიცვლება საარჩევნო კოდექსი, არ მოხდება ცესკოს დაკომპლექტება საზოგადოებისთვის ყველაზე სანდო და ავტორიტეტული პიროვნებებით, არ მოხდება ხმების დათვლა ე.წ. ლაივ-რეჟიმში (როგორც ცალკეულ უბნებზე, ასევე ცესკოში), სანამ არჩევნებში მონაწილეობა არ გახდება სავალდებულო, რითაც ნაც-ქოცები ველარ შეძლებენ **მამუკა კაციტაძის** შედგენილი გაბერილი სიებით მანიპულირებას, მანამ აზრი არ აქვს არანაირ არჩევნებს, ამიტომ არ ვაპირებთ სისტემის მიერ შემოთავაზებულ სპექტაკლში მონაწილეობას.

ამ ზაფხულს ერის მთავარი გამოწვევა ე.წ. ლგბტ პარადია. **ან ვივარგებთ ქართველები და ეს იქნება ლიბერალების წელში გადატეხვის დასაწყისი, ან ჩავფლავდებით და მამათმავლებს დავუთმობთ ასპარეზს.** უფალი უყურებს ჩვენს მოქმედებას და ისე მოგვაგებს, როგორც დავიმსახურებთ. გადამწყვეტი ჟამი დგება! ეს იქნება ჩვენი ერის დიდი გამოცდა. როგორც ჩავაბარებთ, ისეთი შეწევნაც გვექნება უფლისგან.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და **თქვენი გაზეთის მეშვეობით დამდეგ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მივულოცავ საქართველოს! ვნების შვიდეულის მძიმე დღეებია და ვუსურვებ ჩვენს ერს მარხვას სინანულისას და აღდგომას სიხარულისას!**

**«ანტიდისკრიმინაციულ კანონს ეწინააღმდეგება მთელი ეკლესია, პატრიარქი და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გარდა ზნედაცემული ან გამოტოლერანტებული მცირე ნაწილისა, და როგორ შეიძლება, ეროვნული ფასეულობების დაცვა და შენარჩუნება იყოს პრიორიტეტი ხელისუფლებისთვის, რომელიც კანონმდებლობის დონეზე ებრძვის ეროვნულ ფასეულობებს? ან როგორ შეიძლება, ტრადიციებსა და ტრადიციულ ოჯახზე საუბრობდნენ ადამიანები, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს ვგულისხმობ, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მიიღონ სწორედ ოჯახის დამანგრეველი კანონი სახელწოდებით «ბავშვის უფლებათა კოდექსი»?!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პანორამა / ქრონიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იგორ კოლომოისკი პრაგმატიკოსია — გამორიცხული არ არის, სააკაშვილისგან ჯერ საფრთხობელა შექმნას, შემდეგ კი ამ თვითმავალი ნაღმის დეაქტივაციის დაპირება გამოიყენოს, როგორც დამატებითი არგუმენტი უკრაინელ და ქართველ თანამოსაუბრეებთან დიალოგში. რა რეაქცია ექნება ამაზე ბიძინა ივანიშვილს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.**

**უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში შოუმენმა ვლადიმერ ზელენსკიმ ხმების თითქმის სამი მეოთხედი მოაგროვა და დამაჯერებლად დაამარცხა მოქმედი პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო. რას ნიშნავს ზელენსკის გამარჯვება უკრაინისთვის და რა შეიძლება მოუტანოს მან საქართველოს?**

# უკრაინული არჩევნების ქართული ექო

ბოლო დღეებში ბევრი დაიწერა იმაზე, რომ **ზელენსკის** გამარჯვების მთავარი მიზეზი უკრაინელების მიერ კორუფციაში ჩაფლული ძველი ელიტის აუტანლობაა და სწორედ ამიტომ პრეზიდენტად გამოუცდელი, მაგრამ, მათი აზრით, გაუსვრელი კანდიდატი აირჩიეს. ამას ხელი შეუწყო სერიალმა „ხალხის მსახური“, ფილმში ზელენსკი მთავარ როლს ასრულებს. ამ სერიალში უბრალო მასწავლებელი, გოლობოროდკო, თითქმის შემთხვევით უკრაინის პრეზიდენტი ხდება, შემდეგ კი ოლიგარქიული სისტემის დემონტაჟს იწყებს. არაერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ **ბევრმა ამომრჩეველმა ხმა არა იმდენად ზელენსკის, რამდენადაც მის გმირს, გოლობოროდკოს, მისცა, როგორც წარმოსახვით იდეალურ პრეზიდენტს. საინტერესოა, მიხვდა თუ არა პეტრე პოროშენკო, როდესაც 2015-ში სერიალ „ხალხის მსახურის“ შესახებ შეიტყო, რომ ეს, უბრალოდ, სერიალი კი არა, მისი მოწინააღმდეგის, ოლიგარქ იგორ კოლომოისკის, პოლიტტექნოლოგიური პროექტია.** მათ შორის კონფლიქტი 2015 წლის მარტში მოხდა, ამავე წლის ნოემბერში ტელეკომპანია „1+1“-ის ეთერში, რომელიც კოლომოისკის ეკუთვნის, „ხალხის მსახურის“ პირველი სერია გავიდა. მიაქცია თუ არა **პოროშენკომ** ყურადღება სერიალის სლოგანს — „მომავალი პრეზიდენტის ისტორია“? თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა, ალბათ, აღარ აქვს. მთავარია შედეგი: **კომიკური ჟანრის მსახიობი 40-მილიონიანი ქვეყნის პრეზიდენტია.**

წარმატებული ტელეპროექტი ან პოროშენკოს მაღალი ანტირეიტინგი მომხდარის ერთადერთი მიზეზი არაა. უკრაინის პოლიტიკურ ისტორიას უცნაური რიტმი ახასიათებს, ზოგიერთი ექსპერტი მისი აღწერის დროს ქანქარას ახსენებს. პირველმა „მაიდანმა“, რომლის მხარდამჭერების ბირთვს უკრაინის დასავლეთ რეგიონების მცხოვრებნი წარმოადგენდნენ, ხელისუფლებაში **ვიქტორ იუშჩენკო** მოიყვანა. 5 წლის შემდეგ პრეზიდენტად **ვიქტორ იანუკოვიჩი** აირჩიეს — მისი გამარჯვება აღმოსავლეთ უკრაინაში მიღებული ხმების დიდმა რაოდენობამ უზრუნველყო. შემდეგ, 2014-ში, ახალი „მაიდანი“ მოხდა, რომლის „ძრავას“ ისევ დასავლეთ უკრაინის ოლქები წარმოადგენდნენ; პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო გახდა. 5 წლის შემდეგ ის ვლადიმერ ზელენსკიმ დაამარცხა, რომელმაც უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა აღმოსავლეთ რეგიონებში (დასავლეთშიც მოიგო, მაგრამ დაახლოებით 10%-იანი სხვაობით). ვერ გამოვრიცხავთ, რომ ახალი ციკლი ისევ „მაიდნით“ დაიწყება, თუმცა ეს, ალბათ, მაინც შედარებით შორეული პერსპექტივაა, იქამდე კი ზელენსკისა და მის ზურგს უკან მდგომ კოლომოისკის სერიოზული წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

საქმე ის არის, რომ პარლამენტში ზელენსკის თავისი ფრაქცია არ ჰყავს, ხოლო უკრაინა „ჰიბრიდული“ საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკაა. შესაბამისად, პოროშენკოსა და მის მოკავშირეებს პარლამენტში შესაძლებლობა ექნებათ, ახალი პრეზიდენტის მთელი რიგი ინიციატივები დაბლოკონ. რა თქმა უნდა, პარლამენტში ზელენსკის მოკავშირეებიც გაუჩნდება, ზოგიერთი დეპუტატი გამარჯვებულის მხარეს გადავა, მაგრამ **ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება, უკრაინაში, ორხელისუფლებიანობა თუ არა, საკმაოდ რთული ვითარება იქნება.**

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: უკრაინა განსხვავებული პოლიტიკური კულტურის ქვეყანაა, რომელიც ეფუძნება კონსენსუსს სხვადასხვა ოლიგარქიულ ჯგუფსა და მათზე დამოკიდებულ რეგიონულ ელიტებს შორის. ახლა ზელენსკის მათთან მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების პერიოდის გავლა მოუწევს და ამის შემდეგ, სავარაუდოდ, გაუჭირდება იმ თამამი დაპირებების შესრულება, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში გასცა. ხოლო იმის ალბათობა, რომ ის თამაშის ძველი წესების შეცვლას შეეცდება, მისი მთავარი პარტნიორის, ოლიგარქ იგორ კოლომოისკის, გამოცდილების გათვალისწინებით, არც ისე მაღალია. პოლიტიკა ტელეშოუ არ არის და უკრაინის ამომრჩევლები, ისევე, როგორც თვითონ ზელენსკი, ამაში, სავარაუდოდ, მალე დარწმუნდებიან.

ამომრჩეველთა დიდ ნაწილს კიდევ ერთი მოტივი ამოძრავებდა, რომელიც იუშჩენკო-იანუკოვიჩის პერიოდში, უბრალოდ, არ არსებობდა. პოროშენკომ ომი დონბასში ვერც გამარჯვებით და ვერც ნორმალური სამშვიდობო შეთანხმებით ვერ დაასრულა. მოქალაქეების დიდ ნაწილს (უპირველესად ქვეყნის აღმოსავლეთში) ომის დასრულება და რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება სურს და ვლადიმერ ზელენსკის მთელი რიგი დაპირებები სწორედ ამას ეხებოდა. საგულისხმოა, რომ მისი არჩევის შემდეგ რუსეთის პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა „ტვიტერში“ დაწერა: ყველა პრობლემის მიუხედავად, ურთიერთქმედების გაუმჯობესების შანსი მაინც არსებობსო.

ვლადიმერ ზელენსკის გამარჯვებამ **მიხეილ სააკაშვილი** გამოაცოცხლა. მისი მიმდევრები აქტიურად მსჯელობენ სოცქსელებში იმაზე, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტი მათ ბელადს პრემიერმინისტრად დანიშნავს, ხოლო **დავით საყვარელიძეს** — გენპროკურორად და ა. შ. მსგავსი ილუზიები მათ ნაციონალების უკრაინული ვოიაჟის პირველ ეტაპზეც ჰქონდათ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ პოროშენკო სააკაშვილს ოდესის ოლქის შემდეგ მთავრობას ჩააბარებდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო — ის მალე დაუპირისპირდა პრემიერმინისტრ **იაცენიუკს** და შინაგან საქმეთა მინისტრ **ავაკოვს**, შემდეგ კი თვით პრეზიდენტს და მათ მოწინააღმდეგეებთან ალიანსის შექმნა სცადა. საბოლოოდ სააკაშვილს მოქალაქეობა ჩამოართვეს და უკრაინიდან გააძევეს.

ნაციონალების დღევანდელი მოლოდინი, უპირველესად, ეფუძნება ზელენსკის კომენტარს. მან თქვა, რომ სააკაშვილი, გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება სასარგებლო მრჩეველი გახდეს. ისინი არ ითვალისწინებენ ხელისშემშლელ გარემოებებს, მათ შორის იმას, რომ **პოროშენკოსა და კოლომოისკის კონფლიქტის პერიოდში სააკაშვილი პრეზიდენტის ინტერესებს იცავდა და გუნდის წევრებიდან დნეპროპეტროვსკელ ოლიგარქს ყველაზე მონდომებულად ლანძღავდა**. მართალია, პოლიტიკაში მუდმივი არაფერი არსებობს და მოგვიანებით კოლომოისკი და სააკაშვილი პოროშენკოს თანამდებობიდან ჩამოშორების სურვილმა გააერთიანა, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სააკაშვილის პოლიტიკურ რეინკარნაციას უკრაინაში: **პოლიტიკოსების დიდი ნაწილი მას არასანდო და, ამავე დროს, ტოქსიკურ ფიგურად განიხილავს. სწორედ ამიტომ არც ერთი წონიანი მოღვაწე არ შეუერთდა სააკაშვილს, როდესაც მან კიევის ცენტრში „მაიდნის“ აგორება სცადა. სააკაშვილთან კავშირისა და მცირე მასშტაბის გამო ზოგიერთი კომენტატორი მას „მიხომაიდანჩიკს“ უწოდებდა.**

ყოველივე ამის მიუხედავად, ალბათობა იმისა, რომ ახლო მომავალში მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში დაბრუნების ნებას დართავენ, საკმაოდ მაღალია. დღეს მისი მიმდევრები საუბრობენ არა მხოლოდ იმაზე, რომ სააკაშვილს უკრაინაში ახალი პოლიტიკური პერსპექტივა გაუჩნდება, არამედ იმაზეც, რომ მეგობარი ქვეყანა შეიძლება გახდეს ერთგვარი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს მის დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლებაში. ანალოგიური საუბრები ხშირი იყო იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილი ოდესის გუბერნატორის პოსტს იკავებდა. დღეს ნაციონალების მთავარი, საკუთარ მხარდამჭერებზე ორიენტირებული პროპაგანდისტული გზავნილი შემდეგია: **„თუ მოხერხდა ოლიგარქის დამარცხება უკრაინაში, ეს საქართველოშიც მოხერხდება“.** ამ შემთხვევაში ისინი არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ვლადიმერ ზელენსკი არსებითად ოლიგარქ იგორ კოლომოისკის მარიონეტია და იმაზე მსჯელობა ურჩევნიათ, რომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები ზუგდიდის, მთაწმინდისა და ა. შ. შუალედურ არჩევნებზე (რატომღაც) განმსაზღვრელ გავლენას მოახდენს.

აისახება თუ არა ცვლილებები სააკაშვილის სტატუსში ორი ქვეყნის (უფრო სწორად მათი ხელისუფლებების) ურთიერთობაზე, ისე, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ მოხდა? **იგორ კოლომოისკი პრაგმატიკოსია — გამორიცხული არ არის, სააკაშვილისგან ჯერ საფრთხობელა შექმნას, შემდეგ კი ამ თვითმავალი ნაღმის დეაქტივაციის დაპირება გამოიყენოს, როგორც დამატებითი არგუმენტი უკრაინელ და ქართველ თანამოსაუბრეებთან დიალოგში. რა რეაქცია ექნება ამაზე ბიძინა ივანიშვილს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.**

მთავარი გაკვეთილი საქართველოსთვის, ალბათ, შედეგია: როდესაც ხალხი ძველ მმართველ ელიტას ველარ იტანს, შეიძლება ნებისმიერ ვარიანტს ჩაებღაუჭოს. ერთი შეხედვით, პოლიტიკური გამოცდილების არმქონე შოუმენის არჩევა ძალზე არალოგიკური გადაწყვეტილებაა, მაგრამ, როდესაც წინა პლანზე გამოდის სიძულვილი ძირმომპალი ოლიგარქიული სისტემის მიმართ, ლოგიკა მეორეხარისხოვანი ხდება.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსეთთან ურთიერთობაა. 2012 წელს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის პრიორიტეტული იყო სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, ზოგიერთ მათგანს ივანიშვილის „უფასო ფული“ აინტერესებდა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი რუსეთთან ურთიერთობების რეგულირების დაპირებამაც შეასრულა. ის, დიდი ალბათობით, დღესაც აქტუალურია. **2019 წლის 20 თებერვლიდან 5 მარტამდე პერიოდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დაკვეთით, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ ქვეყნის მასშტაბით 2087 ადამიანი გამოჰკითხა. როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს — ეთანხმებიან თუ არა მოსაზრებას „რუსეთის ფედერაცია არის საქართველოს მეზობელი, ერთმორწმუნე სახელმწიფო, რომელთანაც ისტორიულად ბევრი ისტორიული ფასეულობა გვაკავშირებს და, მიუხედავად ოკუპაციისა, მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა გვქონდეს“, 24%-მა უპასუხა, რომ ეთანხმება; ხოლო 20%-მა — რომ სრულად ეთანხმება. როგორც ჩანს, კარგი ურთიერთობა რუსეთთან როგორც უკრაინის, ისე საქართველოს ამომრჩევლებისთვის კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფაქტორად რჩება.**

**ლუკა ნემსაძე**




**ბევრმა ამომრჩეველმა ხმა არა იმდენად ზელენსკის, რამდენადაც მის გმირს, გოლობოროდკოს, მისცა, როგორც წარმოსახვით იდეალურ პრეზიდენტს. საინტერესოა, მიხვდა თუ არა პეტრე პოროშენკო, როდესაც 2015-ში სერიალ «ხალხის მსახურის» შესახებ შეიტყო, რომ ეს, უბრალოდ, სერიალი კი არა, მისი მოწინააღმდეგის, ოლიგარქ იგორ კოლომოისკის, პოლიტტექნოლოგიური პროექტია**

**ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება, უკრაინაში, ორხელისუფლებიანობა თუ არა, საკმაოდ რთული ვითარება იქნება**

„მულტიკულტურიზმი“, „ტოლერანტობა“, „უმცირესობების პატივისცემა“ და ასეთი ტერმინები ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, უბრალოდ, სიტყვები ჰგონია და ყურიდან ყურში ატარებს. „ევროპული განვითარებით“ მოხიბლულები ხმას აძლევენ „ევროპაზე ორიენტირებულ“ პოლიტიკურ ძალებს (ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც) და მერე გავეშებულები აპროტესტებენ ჩვენს ქვეყანაში უცხოტომელების, ჰომოსექსუალების, სექტანტების ბოგინს...



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვისი ბრალია ყოველივე — მამუკასი თუ სილიბისტროსი?

**„რაო, პედერასტებმა აღლუმი უნდა გამართონ თბილისშიო? ვინა თქვა ეგ? გავააღლუმებ მე მაგ პედარასტებს! აბა, გაბედონ გამოჭაჭანება, მაგათ მოვუტ...ნავ კეთილებს! მეტი არ მინდა, ერთი გეი სადმე მაინც დავინახო, ჩემი ხელით ავახევ სახეს!“ — განაცხადა ევროსაბჭოს სხდომაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა (სახელი და გვარი მამუკა ბახტაძე იქნება თუ სილიბისტრო ჩიბურდანიძე, დიდი მნიშვნელობა არ აქვს ) . მითხარით, როგორ წარმოგიდგენიათ ეს?**



საუბარია **მამუკა ბახტაძის** (თუმცა ვიმეორებ, ამას მნიშვნელობა არ აქვს და თუნდაც საქართველოს მომავალი პრემიერმინისტრი სილიბისტრო ჩიბურდანიძე იყოს, იმავეს ვიტყოდი) „სკანდალურ“ გამოსვლაზე ევროსაბჭოში, სადაც მას კითხვა დაუსვეს საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში, ლგბტ თემის მიერ ჩაფიქრებული აქცია-აღლუმის შესახებ, რომელიც 17 მაისს ან კიდევ 18 ივნისს უნდა გაიმართოს...

მამუკა ბახტაძის პასუხი ქართულმა მედიამ და ქართველმა ე.წ. პატრიოტებმა ნამეტანი „გაასკანდალურეს“. აქაოდა, ნახეთ, ეს რა თქვა საქართველოს პრემიერმინისტრმაო?! ეს როგორ გაბედაო! კი მაგრამ, მაინტერესებს, რას ელოდით? პრემიერმინისტრი იმას იტყოდა, რაც ამ სტატის დასაწყისში დავწერე?

არა, მამუკა ბახტაძის (თუნდაც სილიბისტრო ჩიბურდანიძის) და, საზოგადოდ, ნებისმიერი მთავრობის დამცველებისგან ღმერთმა დამიფაროს. ამას არ ვაპირებ, უბრალოდ, იმ ადამიანების აზროვნების სტილი მიანტერესებს, რომლებსაც უკვირთ ხოლმე საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენლის ასეთი გამოსვლები და, რაც ყველაზე უცნაურია, ყოველ ასეთ გამოსვლას კონკრეტული პიროვნების „სახელს არქმევენ“, ანუ მხოლოდ ამ პიროვნებას უკავშირებენ და არა მთლიანად ხელისუფლების მიერ საჯაროდ გამოხატულ საგარეო კურსს.

სადღაც წავიკითხე სოციალურ ქსელში: „ამ მთავრობამ სასწრაფოდ უნდა გადააყენოს ბახტაძე ასეთი განცხადების გამო!“ ჯერ ერთი, რომელმა „მთავრობამ“ უნდა გადააყენოს ბახტაძე? როგორც ჩანს, ბევრს ავიწყდება, რომ იგი ქვეყნის პირველი პირია და ოფიციალურად ვერავინ მოხსნის. ერთდერთი შანსი მისი საკუთარი ნებით გადადგომა ან საპარლამენტო იმპიჩმენტია. ეს კი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის თხოვნით ან მითითებით თუ მოხდება, თორემ სხვა შანსი, უბრალოდ, არ არსებობს!

და მეორეც — **დავუშვათ, მიუთითა, სთხოვა, მოსთხოვა ბიძინამ ბახტაძეს გადადგომა, მერე?** როგორ გგონიათ, მის ადგილზე დანიშნული ვინმე სხვა ევროსაბჭოს სხდომაზე სხვა რამეს იტყვის? ვთქვათ, წავიდა მამუკა ბახტაძე და მოვიდა სილიბისტრო ჩიბურდანიძე — ის გამოვა ევროსაბჭოს სხდომაზე და იტყვის იმას, რაც ამ სტატიის პირველ აბზაცში წერია?

მინდა, კარგად გავიაზროთ ყველამ, რის თქმასაც ვცდილობ: ქართველ საზოგადოებას აშკარად სჭირს გარკვეული „პიროვნული დიფერენციაციები“ და ჰგონია, რომ ამა თუ იმ პიროვნების გადაყენებით ან ვისიმე სადმე მიყვანით, რამე შეიცვლება.

„დანიშნეთ კახი კახიშვილი პრემიერმინისტრად!“ — გულით ითხოვს სოციალური ქსელების ერთ-ერთი მომხმარებელი და დარწმუნებულია, რომ კახი კახიშვილი, თუკი ქვეყნის პირველი პირი გახდება, იმწამს გაზის კამერებში შეყრის ჰომოსექსუალებს, ხოლო ევროსაბჭოს განუცხადებს: „წადით, თქვენი სულელი დედაც მოვ...ან და თქვენი ეგ ფსევდოევროპული ფასეულობები გაირჭვეთ ერთ ადგილასო!“

რატომ ვამახვილებ ამ თემაზე ყურადღებას? იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, **ქართველი საზოგადოების სწორედ ასეთ ჩამოუყალიბებელ, არასწორ, პიროვნებებზე ორიენტირებულ აზროვნებაშია ჩვენი ძირითადი პრობლემა.** ჩვენს ქვეყანას შეიძლება მხოლოდ მაშინ ეშველოს, როდესაც მოსახლეობა, ანუ ამომრჩეველი შეიგნებს, რომ არჩევნებზე ის ხმას აძლევს არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ გარკვეულ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც გაცხადებული აქვს თავისი საგარეო ორიენტირები, ფასეულობები და ამ ძალის ნებისმიერი რანგისა და დონის წარმომადგენელი ზუსტად იმას იტყვის ყველა მაღალი, საშუალო თუ დაბალი დონის საერთაშორისო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, რასაც ამ პოლიტიკური ძალისგან მოითხოვენ სწორედ ეს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა მხარდაჭერამაც განაპირობა კიდეც ამ კონკრეტული ძალის მოსვლა ქვეყნის სათავეში.

მარტივია — „ჩვენ ვირჩევთ ევროპას!“ ლოზუნგით მოქმედებს დღეს საქართველოში მმართველი პოლიტიკური ძალაც და „მთავარი ოპოზიციური ძალაც“. სხვათა შორის, „არამთავარი“ ოპოზიციური ძალებიც დიდად ვერ ბედავენ, „ძირითად ევროპულ ხაზს“ გადაუხვიონ. მაშასადამე, ჩვენ ვირჩევთ ევროპას.

და **რას ირჩევს ევროპა? ბოლო რამდენიმე ათწლეულია, ევროპის ძირითადი დეკლარირებული, ანუ ხმამაღლა გაცხადებული არჩევანი არის მულტიკულტურიზმი.**

მაგრამ პრობლემა ის არის, რომ **„მულტიკულტურიზმი“, „ტოლერანტობა“, „უმცირესობების პატივისცემა“ და ასეთ ტერმინები ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, უბრალოდ, სიტყვები ჰგონია და ყურიდან ყურში ატარებს. „ევროპული განვითარებით“ მოხიბლულები ხმას აძლევენ „ევროპაზე ორიენტირებულ“ პოლიტიკურ ძალებს (ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც) და მერე გავეშებულები აპროტესტებენ ჩვენს ქვეყანაში უცხოტომელების, ჰომოსექსუალების, სექტანტების ბოგინს...**

**უკაცრავად, პატივცემულებო, თქვენ რა გგონიათ, ის ევროპელები პარიზში, ბერლინში, მადრიდსა და სხვა თავიანთ ქალქებში თუკი «აგულავებენ» უცხოტომელებს, აფრიკელ და აზიელ მიგრანტებს, მამათმავლებს და სექტანტებს, მაინცდამაინც თბილისში არ გავიგონოთ და დავინახოთ თქვენი ჭაჭანებაო, ეტყვიან? თუ რას ფიქრობთ?**

უკაცრავად, პატივცემულებო, თქვენ რა გგონიათ, ის ევროპელები პარიზში, ბერლინში, მადრიდსა და სხვა თავიანთ ქალქებში თუკი „აგულავებენ“ უცხოტომელებს, აფრიკელ და აზიელ მიგრანტებს, მამათმავლებს და სექტანტებს, მაინცდამაინც თბილისში არ გავიგონოთ და დავინახოთ თქვენი ჭაჭანებაო, ეტყვიან? თუ რას ფიქრობთ?

იმის არ იყოს, აგერ ახლა, ევროპის ქალაქებში საპროტესტო აქციები რომ ეწყობა, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ევროპაში საქართველოს „უსაფრთხო ქვეყნის“ იმიჯს უკეთებს და ამით ემიგრირებულ ქართველებს დიდ პრობლემებს უქმნისო.

არა ერთი გაბრაზებული და განაწყენებული ადამიანის კომენტარი წავიკითხე სოციალურ ქსელში: „აი, ეგეც თქვენი სალომე ზურაბიშვილი! ნეტა, გაემრაჯვათ გრიგოლ ვაშაძეს და ნაცებს“.

ამ ადამიანებს მართლა ჰგონიათ, ვაშაძეს რომ გაემარჯვა, ის ევროპელებს ეტყოდა: არა, კაცო, რა უსაფრთხო ქვეყანა, საქართველო ერთი გაპარტახებული, ულარიბესი, საფრთხეებიანი და საზიზღარი ქვეყანაა და დაიტოვეთ მანდ ეგ ქართველი მიგრანტები, თორემ, აქ რომ დაბრუნდნენ, ზოგს სიცივით დავხოცავთ და ზოგს შიმშილითო?

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი: **ადამიანების საკმაო ნაწილი ვერ ხვდება ამ პრობლემების გლობალურობას და ისინი ხან ზურაბიშვილზე, ხან ვაშაძეზე, ხან ბახტაძეზე და ხანაც ვინმე სხვაზე აქვს „მიბმული“.**

ამ ადამიანებს შეუძლიათ 3 დღის განმავლობაში იზეიმონ და ცეკვა-სიმღერა გამართონ იმის აღსანიშნავად, რომ „საქართველო ევროპული ოჯახის წევრი გახდა“, ანუ ხელი მოავაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას და მეოთხე დღეს უკვე გააპროტესტონ საქართველოს „უსაფრთხო ქვეყნობა“ და ქართველების დეპორტაცია ევროპიდან, თანაც ვერც კი მიხვდნენ, რომ ეს სწორედ იმ შალახონაცეკვი ასოცირების ხელშეკრულების შედეგია და პიროვნულად აქ არც სალომეა არაფერ შუაში, არც გრიშა და არც სილიბისტრო.

რა, გრიგოლ ვაშაძე ასოცირების ხელშეკრულებას გააუქმებდა თუ როგორ გგონიათ?

საბოლოოდ, რა მინდა და რა მიზანი აქვს ამ სტატიის დაწერასა და გამოქვეყნებას? მიზანი ელემენტარულია — ქართველმა საზოგადოებამ უნდა შეიგნოს, რომ არჩევანი ასეთია: **ან უნდა მკვეთრად შევცვალოთ საგარეო კურსი და მხარი დავუჭიროთ სხვა მიმართების პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ძალებს და ვეცადოთ სხვა საგარეო ვექტორით განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა, ან კიდევ, თუკი ასეთი ალტყინებით ვირჩევთ „ძალა ევროპაშია“-ს ლოზუნგით მოქმედ პოლიტიკურ ძალებს და ხელისუფლებად ისინი გვისხედან და „ოპოზიციობასაც“ მათვე ვაკისრებთ, მაშინ უნდა შევეგუოთ იმასაც, რა გზითაც მიდის ევროპა — აღმოსავლელი მიგრანტების გაბატონებას, სექსუალური თუ კიდევ სხვა სახის უმცირესობების ბოგინს და „ანტიდისკრიმინაციულ“ კანონებს.**

და არ უნდა „მივაბათ“ ეს ყველაფერი მამუკა ბახტაძეს, სალომე ზურაბიშვილს, გრიგოლ ვაშაძეს, რომან გოცირიძეს ან თუნდაც იმ კაცს, „დროშა ვერ დაკიდენო“, რომ ჭყაოდა, ან ვინმე სხვას.

თუკი ბახტაძის ევროსაბჭოში გამოსვლა არ მოგვეწონა, ბახტაძის გადადგომა და იმპიჩმენტი კი არ უნდა მოვითხოვოთ, არამედ მთლიანად ხელისუფლების შეცვლა უნდა ვცადოთ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამით ე.წ. ოპოზიციამ ვერ უნდა ისარგებლოს ხელისუფალებაში მოსაბრუნებლად.

ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიგო განგიმარტავთ: „ნაცები“ და „ქოცები“ ეს ერთი და იმავე გლობალური, დიდი ძალის „შვილები“ არიან, რომლებსაც ქვეყნის შიგნით მართვასა და მოწესრიგების მეთოდებზე შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა შეხედულება და სხვადასხვა სტილით ამჯობინებდნენ სახელმწიფოს მართვას, მაგრამ „გარეთ“ ისინი „ტყუპები“ არიან და მათი საგარეო პოლიტიკური ვექტორები მილიმეტრებშიც კი არ სცილდება ერთმანეთს!

ამიტომ, სალომე იქნება თუ ჟუჟუნა, გრიშა იქნება თუ უშანგა, ამით არაფერი შეიცვლება.

და, თუკი არ გვაქვს იმის ერთი ადგილი, რომ „ესენი“ გავუშვათ ისე, რომ „ისინი“ არ მოვუშვათ, მაშინ ის მაინც ვქნათ, რომ ევრისაბჭოში ჩვენი პრემიერმინისტრის გამოსვლა განვიხილოთ გლობალურად — ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების, ასევე ჩვენი ოპოზიციის საერთო აზრად და ნუ დავიყვანთ ამ ყველაფერს ერთ პიროვნებაზე — მამუკა ბახტაძე იქნება ის თუ სილიბისტრო ჩიბურდანიძე.

ის მაინც გავაკეთოთ, რომ საზოგადოება, ხალხი სწორ და უფრო ფართო ანალიტიკურ აზროვნებას მივაჩვიოთ, ვინძლო, როდესაც გარკვეული ვითარება შეიქმნება, საზოგადოება მენტალობითა და აზროვნებით უკვე მზად იყოს ამ ხელსაყრელი ვითარების ეფექტიანად გამოსაყენებლად და ამ ქვეყნის როგორმე გადასარჩენად.

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მიუხედავად იმისა, რომ ზურგს არ უმაგრებდა ჯარი და პარტია, ანდროპოვი ჯიუტად მიიწევდა პარტიული იერარქიული კიბის უმაღლესი საფეხურის დასაკავებლად. ანდროპოვის მხრიდან რეგულარული თვალთვალის გამო უმაღლესი პარტიული ელიტა შეშინებული იყო, პარტიისა და სამშობლოსთვის თავის გაწირვის მისი მოხერხებული თამაში არავისში ეჭვს არ იწვევდა. თვით ანდროპოვი უბრალო გადახრასაც არ აკეთებდა კომუნისტური და სახელმწიფოებრივი ვალდებულებიდან, რადგან კარგად იცოდა, რომ ოდნავი გადახვევის გამო დაუნდობლად გაწირავდნენ, მისგან რომ გათავისუფლებულიყვნენ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №12-14, 2019 წ.

# სტალინი და სახელმწიფო

## ანდროპოვის ბრძოლა ძალაუფლებისთვის

**სტალინის ფენომენის შესწავლის საქმეში იური ანდროპოვის შემოყვანა ბუნებრივია, რადგან სტალინის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში არ დარჩა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც მიზანმიმართულად გაჰყვებოდა აღებულ კურსს. გამონაკლისს წარმოადგენდა იური ანდროპოვი, რომელიც ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო საბჭოთა კავშირის დაშლის საქმეში. ის დასახულ მიზნებს აღწევდა ისე, რომ ახლობლებისა და თანამებრძოლებისთვისაც კი არაფერი იყო ცნობილი.**



ანდროპოვის პიროვნების შეფასება შეუძლებელია მასზე შეყვარებული თუ მოძულე ადამიანების მიერ შეთხზული მითებით, რადგან, კონსპირაციის თვალსაზრისით, ის ძლიერ პიროვნებად უნდა ჩაითვალოს. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ჩეკისტური ელიტის გასაიდუმლოებული წევრის, **მარკუს ვოლფის,** ჩანაწერები. 1923 წელს გერმანიაში დაბადებული ვოლფი 1934 წლიდან საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა (ოჯახი ემიგრირებული იყო ყაზახეთში). ის ახალგაზრდობიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან. გახდა უშიშროების სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მიაღწია გენერალ-პოლკოვნიკის ჩინს. მარკუს ვოლფი თანამშრომლობდა იური ანდროპოვთან, როგორც თვითონ ანდროპოვი, მარკუს ვოლფის პიროვნებაც საიდუმლოები ბურუსით არის მოცული. ის 2006 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა ქალაქ ბერლინში.

სხვა საარქივო დოკუმენტებთან ერთად იური ანდროპოვზე შექმნილი მასალები, ძირითადად, ეყრდნობა მარკუს ვოლფის მოგონებებს:

,,მისი შინაგანი პოზიციის არსი, ყველა გამოვლინებაში, ძალიან საინტერესოა, — წერს მარკუს ვოლფი. ანდროპოვისთვის მისაბაძი მაგალითი, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, მე-20 საუკუნის დასაწყისის თურქეთის ლიდერი **ქემალ ათათურქი** იყო. მასში ანდროპოვს უზომო სისასტიკესთან (ყველას, ვინც, მიუხედავად მისი ბრძანებისა, თურქულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდა, სიკვდილით სჯიდა. მილიონ-ნახევარი ადამიანის სიკვდილის ფონზე კი სომხების ხოცვა-ჟლეტა უბრალო „პოლიტიკურ" გადაწყვეტილებად ჩანდა) ერთად მოსწონდა, მოღვაწეობის თითქოს წარმოუდგენელი შედეგი — შუასაუკუნეების, ჩამორჩენილი, ულტრამუსლიმანური თურქეთის გადასვლა ევროპული განვითარების გზაზე. ოსმანთა იმპერიამ, რომელმაც ვერსალის შეთანხმების შედეგად ეგვიპტე, სირია, პალესტინა და ლიბანი დაკარგა, **ლენინის, ტროცკისა** და **ჩიჩერინის** სისულელეების წყალობით სომხეთის დიდი ნაწილი მიისაკუთრა, საქართველოს ხარჯზე კი ათეისტურ კომუნისტურ რუსეთში რელიგიური ნიშნით გამორჩეული ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა წარმოქმნა (აჭარა გამუსლიმანებული საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა იყო, აჭარელი ხალხი არ არსებობს), ამასთანავე, მოშიმშილე საბჭოთა რუსეთიდან ოქროსა და იარაღის მიწოდების წყალობით თურქეთმა ქურთების აჯანყების ჩახშობა და მიწების შენარჩუნება შეძლო. თურქეთი ნახევრად სამხედრო რეჟიმს ინარჩუნებდა და ათათურქის მიერ დამკვიდრებული მოდერნიზაციის კურსს არ ცვლიდა. საბოლოოდ კი მიაღწია იმას, რომ თურქეთს თითქმის ევროპულ ქვეყნად აღიქვამდნენ. შევიდა ნატოში, ევროკავშირში შესვლის საკითხი დღის წესრიგში დადგა, ხოლო ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ძირითადი მოკავშირე გახდა. ათათურქის მაგალითი ისევე მომხიბვლელად გამოიყურებოდა, როგორც მის მიერ გამოყენებული მეთოდები, თუმცა მის ხელში იმ ახალგაზრდა ჯარის ნაწილი იყო, რომელმაც მსოფლიო ომში კატასტროფული მარცხი მტკივნეულად გადაიტანა. საბჭოთა ჯარი „კა-გე-ბესგან" შორს იყო, ამიტომ მაინცდამაინც არ ეშინოდა ანდროპოვს ავღანეთში დამარცხების. მაშინვე დაიწყო ხმების გავრცელება, რომ ამ ომის წინააღმდეგი იყო. მახსოვს, 1983 წელს „კა-გე-ბეს" გამომძიებლები ამაში როგორ მარწმუნებდნენ. სამაგიეროდ, ომიდან დაბრუნებულ „ავღანელებს" შორის მოკავშირეების შეძენის იმედი ჰქონდა, მაგრამ **წინდახედული გენერლები ანდროპოვს ჯართან ახლოს არ უშვებდნენ, მას კარგად ესმოდა, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკმაყოფილო ოფიცრებს შეეხებოდა, სუსლოვისა და ბრეჟნევის ყურამდე თუ მივიდოდა, მისი გადაყენების მიზეზი გახდებოდა".**

მიუხედავად იმისა, რომ ანდროპოვს ზურგს არ უმაგრებდა ჯარი და პარტია, ის კვლავ ჯიუტად მიიწევდა პარტიული იერარქიულ კიბის უმაღლესი საფეხურის დასაკავებლად. ანდროპოვის მხრიდან რეგულარული თვალთვალის გამო უმაღლესი პარტიული ელიტა შეშინებული იყო, პარტიისა და სამშობლოსთვის თავის გაწირვის მისი მოხერხებული თამაში არავისში ეჭვს არ იწვევდა. თვით ანდროპოვი უბრალო გადახრასაც არ აკეთებდა კომუნისტური და სახელმწიფოებრივი ვალდებულებიდან, რადგან კარგად იცოდა, რომ ოდნავი გადახვევის გამო დაუნდობლად გაწირავდნენ, მისგან რომ გათავისუფლებულიყვნენ.

ხელისუფლების დასაუფლებლად და ქვეყნის ტრანსფორმაციისთვის ანდროპოვის ხელში იყო მის მიერ გამოზრდილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი იყო, რომელშიც გაერთიანებული იყო ანდროპოვის ცონტროლს დაქვემდებარებული სამი მიმართულება: პირველი და მთავარი (საშინაო დაზვერვა), მეხუთე (იდეოლოგიური, მაგრამ მთელი ქვეყნის მაკონტროლებელი) და მეშვიდე (საგარეო დაზვერვა), სამმართველოები, რომლებიც უზარმაზარ ძალოვან სტრუქტურად ჰქონდა გადაქცეული. სწორედ ანდროპოვის პერიოდში შეიქმნა „ალფა". ამ მხრივ, ანდროპოვს ჰქონდა უზარმაზარი ბაზა, რომელიც ყველაფრისთვის მზად იყო. ანდროპოვისთვის მთავარ წინააღმდეგობას **მიხეილ სუსლოვი** წარმოადგენდა. მართალია, ბრეჟნევის მოტყუებით, ცეკაში „კა-გე-ბეს" ქვეგანყოფილების ჩამოყალიბება შეძლო, მაგრამ უამრავი კომპრომატის მფლობელი ანდროპოვის წინაშე პოლიტბიურო შეუვალობას ინარჩუნებდა, მას მხოლოდ ოთხი მომხრე ჰყავდა. ამასთანავე, ანდროპოვს ჯანმრთელობის მდგომარეობაც აღარ აძლევდა იმის საშუალებას, რომ დიდხანს დალოდებოდა. მართალია, კარდიოლოგმა **ევგენი ჩაზოვმა** უთხრა, რომ ხუთ წელიწადს კიდევ იცოცხლებდა, გიგანტური პროექტის განსახორციელებლად (ათათურქის მაგალითის მიხედვით), რომელიც გამუდმებით თვალწინ ედგა, ეს დრო საკმარისი მაინც არ იყო.

სუსლოვი ავანტიურისტებს ვერ იტანდა, ანდროპოვი კი ასეთი ადამიანების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა. პოლიტბიუროში არავინ იყო ისეთი, ვისაც ანდროპოვის კომუნისტური იდეალებისა და უანგარობის სერიოზულად სჯეროდა. ყველამ იცოდა, რომ კორუფციასთან მისი ბრძოლა ხელისუფლებისათვის გააფთრებული ბრძოლის ტოლფასი იყო. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ვასილ **მჟავანაძის** შემცვლელი **ედუარდ შევარდნაძე,** მართალია, კორუფციას ებრძოდა, მაგრამ თვითონ ჩაფლული იყო ჩაის მაქინაციებში, რისთვისაც, **რაშიდოვის** მსგავსად, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო. ცნობილი იყო, რომ ანდროპოვის პროტეჟე **ჰეიდარ ალიევის** ხელში აზერბაიჯანში ყველა თანამდებობა იყიდებოდა, რომ პოლიტბიუროში ანდროპოვის მთავარი მხარდამჭერი **ანდრეი გრომიკო** მექრთამე იყო. მომავალმა კოლექციონერმა საბჭოთა საელჩოებიდან თითქმის ყველა ცნობილი ძვირფასი ტილო და ავეჯი გაიტანა. როდესაც ანდროპოვის ყოფილმა მრჩეველმა **ბოვინმა** მღელვარე საბჭოთა ცხოვრებისგან დასვენება გადაწყვიტა და იმის გარკვევა დაიწყო, შეიძლებოდა თუ არა ლუქსემბურგში ელჩის თანამდებობა მიეღო, მას გასაგებად აუხსნეს, რომ ამისათვის საჭირო თანხას მთელი ცხოვრება ვერ მოაგროვებდა. გასაგებია, რომ გრომიკო ანდროპოვს გამოჭერილი ჰყავდა და იძულებული იყო, ყველაფერში მხარში ამოდგომოდა. კრასნოდართან შედარებით სტავროპოლის მხარეში კორუფცია მძვინვარებდა. კრასნოდარის მხარის პარტიული ხელმძღვანელი **მედუნოვი** ბრეჟნევის მეგობარი იყო და სწორედ ამ მხარით დაინტერესდა ანდროპოვი.

ბოლო თვეებში ანდროპოვმა ბრეჟნევის ქალიშვილის გამოჭერაც შეძლო. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, ეს ყველაფერი წმინდა წყლის პროვოკაცია იყო.

,,სუსლოვის გარდაცვალების შემდეგ ანდროპოვი სუსლოვის კაბინეტში დასვეს, — წერს მიხეილ გორბაჩოვი, — მისთვის სამდივნოს მართვის დავალება მაინც არ გაუციათ... **ჩერნენკო** და ზოგჯერ **კირილენკო** მოცემული ვითარებით სარგებლობდნენ და სამდივნო სხდომებს ძველებურად ატარებდნენ".

„ცოტამ თუ იცის იმის შესახებ, — ვკითხულობთ **ვალერი ლეგოსტაევთან**, — რომ 1982 წლის მაისის შემდეგაც, როდესაც ანდროპოვმა პარტიის ცეკაში მეორე მდივნის არაოფიციალური თანამდებობა დაიკავა, ცეკას სამი მთავარი განყოფილების სადავე ძველებურად ჩერნენკოს ხელში რჩებოდა".

„ასე, — განაგრძობს გორბაჩოვი, — 1982 წლის ივნისამდე გრძელდებოდა, როდესაც **დიმიტრი უსტინოვის** ზემოქმედების შემდეგ საქმეში ბრეჟნევი ჩაერია, ისე, რომ საქმის კურსში არც ჩერნენკო ჩაუყენებია და არც კირილენკო, სამდივნოს ხელმძღვანელობა ანდროპოვს შესთავაზა".

უსტინოვისა და ანდროპოვის ერთობლივ ზემოქმედებას ბრეჟნევმა ვერ გაუძლო, არც ღია ძალისმიერი დაპირისპირება სურდა და იმედოვნებდა, მალე ყველას თავის ადგილს მიუჩენდა, მაგრამ ბრეჟნევმა პლენუმამდე ვერ იცოცხლა, ისევე, როგორც **სუსლოვმა** და **ცვიგუნმა.**



ნიკიტა ხრუშჩოვი, იური ანდროპოვი და ანდრეი გრომიკო

ანდროპოვმა მოგებული პოზიციის გამოყენე- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმხანად ანდროპოვს ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, რომ თითქმის ყველამ დაიჯერა ცეკას პლენუმამდე სამი დღით ადრე ბრეჟნევის მოულოდნელი გარდაცვალება. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ბრეჟნევთან მიღებაზე ბოლოს სწორედ ანდროპოვი შევიდა და ჩაის ჭიქაში რაღაც ჩაუყარა. სხვა ვერსიის თანახმად, ბრეჟნევი განაგრძობდა ანდროპოვისგან „ყვითელი აბების“ მიღებას, რომლებიც მას დაძინებაში ეხმარებოდა.**

◀ბა მაშინვე დაიწყო, რათა ბრეჟნევის მომხრეები გაენადგურებინა. როგორც **რუდოლფ პიხოია** წერს, 20 ივლისს ცეკას უახლოეს სხდომაზე ანდროპოვმა განაცხადა, რომ კრასნოდარის მხარეში კორუფციაში ბრალდებული 150 ადამიანი დააპატიმრეს. პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანი მედუნოვი მოსკოვში გამოიძახეს.

ბრეჟნევმა მხოლოდ ის შეძლო, რომ მედუნოვი მცირე ხნით მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. ერთი წლით ადრე კი ანდროპოვის მიერ უმართავი ერთ-ერთი უძლიერესი ლიდერი, პეტრე მაშეროვი, კაგე-ბეს თანამშრომლებმა მოკლეს. მის სიკვდილს დაწვრილებით აღწერს **ნიკოლაი ზენკოვიჩი** წიგნში „თავდასხმა და ინსცენირებები“. ამის შესახებ ბევრი სხვაც წერს. ჩვენ მხოლოდ მკვლელობის მიზეზებსა და ძირითად გარემოებებს გავიმეორებთ.

1970-იანი წლების ბოლოს მაშეროვი, მართალია, შელეპინის „კომკავშირული“ გუნდის წევრი არ იყო, მაგრამ მისთვის არაერთხელ დაუჭერია მხარი. რისთვისაც ბელორუსიაში გაგზავნეს, სადაც უკან დაბრუნების ძლიერი სურვილი მოსკოვიდან მიღებულ მითითებებს თანამიმდევრულად და ბრმად ასრულებინებდა. მაშეროვმა პერსონალური თვისებების წყალობით შეძლო ადგილობრივ „კა-გე-ბესთან“ ისეთი ურთიერთობა ჩამოეყალიბებინა, რომ უკრაინის კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის — **შერბიცკის** მსგავსად, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობდა და მხოლოდ ფორმალურად — ლუბიანკასთან. ანდროპოვს მაშეროვთან მიდგომა არ ჰქონდა, ბელორუსიის ეკონომიკური წარმატებები ისე დიდი იყო, რომ კოსიგინის სიკვდილის შემდეგ მაშეროვი, როგორც ერთ-ერთი ეფექტიანი სამეურნეო ხელმძღვანელი, მისი უდავო მემკვიდრე გახდებოდა.

1980 წლის 4 აგვისტოს ბელორუსიის „კა-გე-ბეს“ თავმჯდომარე შეცვალეს. ამ თანამდებობაზე ათი წლის მუშაობის შემდეგ **იაკობ ნიკულინის** ადგილას მოსკოვიდან ჩამოსული „კა-გე-ბეს“ ინსპექციის სამმართველოს უფროსი **ბენიამინ ბალუევი** დაინიშნა. ასევე შეიცვალა მაშეროვის პირადი დაცვის უფროსი პოლკოვნიკი **საზონკინი,** რომელიც მოულოდნელად დააწინაურეს და ცენტრალურ აპარატში გადაიყვანეს. ამასთანავე, **მაშეროვის დაჯავშნილი „ზილი“, რომელიც ყველანაირ შეჯახებას გაუძლებდა, შესაკეთებლად გაიგზავნა. ახალი მანქანა, რომელიც მაშეროვისთვის გამოიყო, ავარიისგან დაცვის საჭირო მოწყობილობით არ იყო აღჭურვილი. მაშეროვს არ უყვარდა, როცა წინ ესკორტი მიუძღოდა. 1980 წლის 4 აგვისტოს უზარმაზარი სატვირთო მაშეროვის მანქანას შეეჯახა და პარტიის ბელორუსიის ცეკას პირველი მდივანი დაიღუპა. ეს ყველაფერი მოხდა ორი კვირით ადრე ცეკას პლენუმამდე, რომელზეც მაშეროვი ცეკას მდივანად უნდა აერჩიათ და იმ პერიოდისთვის უკვე ანდროპოვის მიერ მხარდაჭერილი გორბაჩოვი შეევიწროვებინა.**

**მაშეროვის დაჯავშნილი «ზილი», რომელიც ყველანაირ შეჯახებას გაუძლებდა, შესაკეთებლად გაიგზავნა. ახალი მანქანა, რომელიც მაშეროვისთვის გამოიყო, ავარიისგან დაცვის საჭირო მოწყობილობით არ იყო აღჭურვილი. მაშეროვს არ უყვარდა, როცა წინ ესკორტი მიუძღოდა. 1980 წლის 4 აგვისტოს უზარმაზარი სატვირთო მაშეროვის მანქანას შეეჯახა და პარტიის ბელორუსიის ცეკას პირველი მდივანი დაიღუპა. ეს ყველაფერი მოხდა ორი კვირით ადრე ცეკას პლენუმამდე, რომელზეც მაშეროვი ცეკას მდივანად უნდა აერჩიათ და იმ პერიოდისთვის უკვე ანდროპოვის მიერ მხარდაჭერილი გორბაჩოვი შეევიწროვებინა**



დავუბრუნდეთ 1982 წლის მეორე ნახევარს. იმხანად მოსკოვი ჭორებით იყო სავსე. ამბობდნენ, რომ **ნიკოლაი შელოკოვმა,** ბრეჟნევის ნებართვით, 1982 წლის 10 სექტემბერს ანდროპოვის დასაპატიმრებლად ჯგუფის გაგზავნა სცადა, მაგრამ ანდროპოვის შედარებით ძლიერ დაცვას წააწყდნენ დაუკან დაიხიეს. როგორც ჩანს, ანდროპოვი თავს თავდაჯერებულად გრძნობდა და სრულიად არ ეჭვობდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლას ვერ შეძლებდა. ის ბრეჟნევის მომხრეებს ნელნელა იცილებდა, რათა პარტიული ორგანოები თავისი ხალხით იოლად შეევსო.

ავღანეთში გამგზავრების შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ ეს სამხედრო ავანტიურა ჩაიშალა, ანდროპოვმა ისეთი გადაწყვეტილებები მიიღო, რომლებიც იმ პერიოდიდან მოყოლებული ყველა პოლიტიკური მოვლენას განსაზღვრავდა 1980-იანი წლების დასასრულამდე. **ის პრაღაში, ბუდაპეშტსა და ბერლინში ჩუმად ჩაფრინდა და მოლაპარაკებები გამართა იმედით, რომ ყველაფერს გადასცემდნენ ვაშინგტონს, ლონდონსა და პარიზს, რომ საბჭოთა კავშირს მალე ახალი ხელმძღვანელობა ეყოლებოდა, რომელიც ავღანეთიდან ჯარების გაყვანის მომხრე იქნებოდა, მაგრამ ამის შესახებ ინიციატივა დასავლეთიდან უნდა წამოსულიყო.**

ანდროპოვი მალე დარწმუნდა, რომ დასავლეთიდან საბჭოთა კავშირს დახმარების ხელს არასოდეს გამოუწვდიდნენ და არც ავღანეთის ავანტიურისგან იხსნიდნენ. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. 1981 წელს შეერთებული შტატების ხელისუფლებაში საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მტერი — **რონალდ რეიგანი** მოვიდა. თუმცა მის მოსვლამდე, ჯერ კიდევ **ჯიმი კარტერის** პრეზიდენტობის პერიოდში (1980 წლის მაისში), ავღანეთში აგრესიის დაწყებისთანავე ამერიკამ ინგლისსა და გერმანიაში ამერიკული რაკეტების, „პერშინგ 2“-ის, განსალაგებლად დაიწყო მზადება. 1981 წლის აპრილში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი **უილიამ კეისი** ჩაფრინდა საუდის არაბეთში, სადაც თავის კოლეგა **შეიხ ალფეისალომსა** და მეფე **ალსაუდს** შეხვდა. ცნობილია, რომ საუბარი საუდის არაბეთში ნავთობის მოპოვების მკვეთრ მატებას შეეხებოდა. ნავთობის მოპოვების მკვეთრი მატება მისი ფასის დაცემას გამოიწვევდა და კრედიტების გარეშე დარჩენილი საბჭოთა კავშირი ნავთობის ფულის ნაწლის დაკარგავდა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს და ამ ვითარებაში გადაწყვიტა ანდროპოვმა, გორბაჩოვისთვის მოერგო ნიღაბი, რომელიც ჯერ კიდევ 1958 წელს შელეპინისთვის ჰქონდა განკუთვნილი, იმ იმედით, რომ ახალგაზრდა, ქარიზმული და დემოკრატიის შესახებ მოლაპარაკებების მწარმოებელი საბჭოთა ლიდერი იზოლაციის იმ რკალს გაარღვევდა, რომელიც გარს შემოარტყეს საბჭოთა კავშირს. 1982 წელს, როცა შევარდნაძე მართავდა საქართველოს რესპუბლიკას, სადაც გადასაღებად შეუკვეთეს ფილმი „მონანიება“, გარდაქმნის ეკონომიკურ რეფორმებზე ორიენტირებულმა ანდროპოვმა თანდათანობით დაიწყო მისთვის გამოგზავნილი პროექტების გაცნობა.

დიახ, თანდათანობით, რადგან 1982 წლის ნოემბერი ახლოვდებოდა. იმხანად ანდროპოვს ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, რომ თითქმის ყველამ დაიჯერა ცეკას პლენუმამდე სამი დღით ადრე ბრეჟნევის მოულოდნელი გარდაცვალება. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ბრეჟნევთან მიღებაზე ბოლოს სწორედ ანდროპოვი შევიდა და ჩაის ჭიქაში რაღაც ჩაუყარა. სხვა ვერსიის თანახმად, ბრეჟნევი განაგრძობდა ანდროპოვისგან „ყვითელი აბების“ მიღებას, რომლებიც მას დაძინებაში ეხმარებოდა. რა თქმა უნდა, ანდროპოვმა არ იცოდა, რომ ბრეჟნევი ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ჩანაწერებს აწარმოებდა. გენერალმა **ვოლკოგონოვმა** მის ბოლო ჩანაწერში აღმოაჩინა, რომ ბრეჟნევმა ანდროპოვისგან „ყვითელი აბები“ ისევ მიიღო.

ერთ დროს ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონი **იური ვლასოვი**, რომელიც შემდეგ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, თავის წიგნში იხსენებს: „ერთი ავადმყოფი მოხუცი მომიყვა: „მეოთხე სამმართველოს აფთიაქში ვმუშაობდი. დროგამოშვებით ჩემთან ერთი ადამიანი მოდიოდა, „კაგე-ბეს“ თანამშრომელი. ძალიან მოკრძალებულად იქცეოდა. ერთ-ერთი ვიყავი, ვინც კრემლის საავადმყოფოსთვის წამლებს ანაწილებდა. ეს ადამიანი რეცეპტებს ათვალიერებდა და მეუბნებოდა: „აი ამ ავადმყოფს ესა და ეს დაუმატეთ“ და მაძლევდა პაკეტს, რომელშიც უკვე შეზავებული ფხვნილი ეყარა. ამ ფხვნილის დამატება შემდეგს ითვალისწინებდა: მაგალითად. სისხლძარღვების გაფართოების ნაცვლად წამალი მათ შევიწროვებას იწვევდა. მსგავსი წამლების სხვა ნაწილი კი მოქმედებას ექვსი თვის შემდეგ იწყებდა. ვცდილობდი, ასეთი ავადმყოფებით არ დავინტერესებულიყავი. ის კი ნამდვილად ვიცოდი, რომ კვდებოდნენ. ისიც ვიცოდი, რომ დანარჩენები, რომლებიც უნდა გამოჯანმრთელებულიყვნენ, ისევ ავადმყოფობდნენ და მათი მდგომარეობა უარესდებოდა. ან როგორ არ მეცოდინებოდა?! უბრალოდ, ამის შესახებ სიტყვა არავისთან დამცდენია. ვაცნობიერებდი, რაშიც ვმონაწილეობდი და ვიცოდი, რომ სულ მცირე დაუმორჩილებლობაც კი ჩემს დაუყოვნებლივ სიკვდილს ნიშნავდა. როგორი ძლიერიც უნდა ვყოფილიყავი, მათ ნებას ვერსად გავექცეოდი...“

იმ საბედისწერო დილას, როცა დაცვა და ექიმები ჯერ კიდევ ცდილობდნენ, ბრეჟნევი გონს მოეყვანათ, ჩაზოვმა და ანდროპოვმა უკვე იცოდნენ, რომ ექიმების ყოველგვარი ძალისხმევა ამაო იყო. ანდროპოვი მომაკვდავ ბრეჟნევთან ორჯერ მივიდა. პირველად მისგან წამოიღო დაჯავშნილი პორტფელი, რომელსაც ბრეჟნევი არასოდეს იშორებდა; მეორედ გრომიკოსა და უსტინოვთან ერთად მივიდა. სამივე ბრეჟნევის საწოლთან ახლოს იდგა და აგარაკის კომენდანტმა **ოლეგ სტორონოვმა**, რომელიც ბრეჟნევს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა, ყური მოჰკრა ფრაზას: **„გენერალური მდივანი ანდროპოვი იქნება“.**

როგორც შემდეგ გაირკვა, გრომიკოს მაშინვე უნდოდა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ყოფილიყო, მაგრამ უსტინოვი შეეწინააღმდეგა. მას სურდა, მთელი ძალაუფლება — რეალურიც და ფორმალურიც, ანდროპოვისთვის გადაეცა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში უმაღლესი თანამდებობის პირების 35 პროცენტი შეცვალა, ანდროპოვმა ქვეყანაში სერიზული ცვლილებების განსახორციელებლად სრულყოფილი გუნდის შეკრება მაინც ვერ მოასწრო.

მკვლევართა უმრავლესობას ანდროპოვის ბუნებრივ სიკვდილშიც ეპარება ეჭვი. ამ საკითხზე ეჭვს „კა-გე-ბეს“ ოფიცრებიც გამოთქვამდნენ. ისმის კითხვა: ვინ მოკლა ანდროპოვი ან ვის აძლევდა ხელს მისი სიკვდილი? ამ შხამიანი მორიელების გუნდში, რამდენიმეს გარდა, ნებისმიერ მათგანზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა. ამას, ალბათ, ვერ ჩაიდენდნენ ჩერნენკო, ფედორჩუკი და გორბაჩოვი, რადგან ანდროპოვი მათთვის ჯერ ისევ გზის გაკვალვის პროცესში იყო. თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ანდროპოვს არასწორი მკურნალობა ჰქონდა დანიშნული და საეჭვო დიაგნოზი ჰქონდა დასმული...

**მკვლევართა უმრავლესობას ანდროპოვის ბუნებრივ სიკვდილშიც ეპარება ეჭვი. ამ საკითხზე ეჭვს «კა-გე-ბეს» ოფიცრებიც გამოთქვამდნენ. ისმის კითხვა: ვინ მოკლა ანდროპოვი ან ვის აძლევდა ხელს მისი სიკვდილი? ამ შხამიანი მორიელების გუნდში, რამდენიმეს გარდა, ნებისმიერ მათგანზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა. ამას, ალბათ, ვერ ჩაიდენდნენ ჩერნენკო, ფედორჩუკი და გორბაჩოვი, რადგან ანდროპოვი მათთვის ჯერ ისევ გზის გაკვალვის პროცესში იყო. თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ანდროპოვს არასწორი მკურნალობა ჰქონდა დანიშნული და საეჭვო დიაგნოზი ჰქონდა დასმული...**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსული კომპანია „როსნეფტი“, რომელიც PDVSA-ს შვილობილი კომპანია CITGO-ს აქციების მფლობელია, შუამავალია PDVSA-სა და ვენესუელური ნავთობის საბოლოო მყიდველს შორის. PDVSA ნავთობის გაყიდვის ანგარიშ-ფაქტურებს გადასცემს „როსნეფს“, რომელიც მათ ანაღდებს და ამისთვის ვენესუელისგან იღებს საკომისიოსა და დისკონტს (ფასდაკლებას). ფულის ნაწილი ქვეყანაში შედის რუსეთ-ვენესუელის ბანკის — „ევროფინანს მოსნარბანკის“ გავლით, რომელსაც აშშ-მა მარტში სანქციები დაუწესა.**

# როგორ იცავს რუსეთი თავის პოლიტიკურ მოკავშირეებს და როგორ იცავენ საქართველოს «სტრატეგიული პარტნიორები»

**რუსეთს ჰყავს პოლიტიკური მოკავშირეები და მათ მხარს უჭერს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდებით. ამ ქვეყნების დახმარებით, შეინარჩუნონ ლეგიტიმური მთავრობები, რუსეთი აშშ-ს აიძულებს, ყურადღება მიაპყროს თავის საზღვრებს ან პრიორიტეტული გავლენის ზონებს. სირიაში გამარჯვება ფასობს იმით, რომ კრემლმა აიძულა დასავლეთი, ანგარიში გაუწიოს რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს.**

## რუსეთი მხარს უჭერს პოლიტიკურ მოკავშირეებს

რით არის მნიშვნელოვანი **ვენესუელის, კუბის, ნიკარაგუის, ბოლივიის** მხარდაჭერა? ეს ქვეყნები აღიარებენ რუსეთის ძალისხმევას დასავლეთის აგრესიისგან თავიანთი მოქალაქეებისა და ტერიტორიების დაცვის საქმეში, ამით ისინი საფუძველს აცლიან დასავლეთის ბატონობას საერთაშორისო ორგანიზაციებში, ხელს უწყობენ დადებითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას რუსეთის გარშემო.

ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვენესუელაზე, ნიკარაგუასა და კუბაზე აშშ-ის შეტევის მოგერიება, იმიტომ, რომ რუსეთის პოლიტიკური მოკავშირეები თავდაჯერებული იყვნენ საერთაშორისო არენაზე, მათ შორის, აშშ-თან დაპირისპირებისას. შემდეგ მათ სხვებიც აუბამენ მხარს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა** დაგმო ვაშინგტონის მიერ დაწესებული სანქციები კუბისა და ვენესუელის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს ამ ქვეყნების დასახმარებლად. „ეს ყველაფერი მიუღებელია. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიქნებით, ვენესუელა და კუბა ჩვენი მოკავშირეები არიან რეგიონში, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მათ იგრძნონ ჩვენი მხარდაჭერა“, — განაცხადა რიაბკოვმა.

## ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემ წინააღმდეგაა

რიაბკოვის განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციამ გამოაცხადა კუბის მიმართ ჰელმს-ბერტონის კანონის მესამე თავის გამოყენების შესახებ. ეს შესაძლებლობას მისცემს „კუბელ ამერიკელებს“, აშშ-ის სასამართლოებში სარჩელები შეიტანონ მათ წინააღმდეგ, ვინც იყენებს იმ ქონებას, რომელიც, როგორც ისინი ამტკიცებენ, 1961 წლის რევოლუციამდე ეკუთვნოდათ მათ ან მათ ოჯახებს.

**აშშ-მა ყველა გააფრთხილა, რომ „გამონაკლისი არ იქნება“ და არც ერთი კომპანია, ამერიკული თუ ევროპული, არ გათავისუფლდება ქონების ჩამორთმევისგან, თუ დამტკიცდება უფლება რესტიტუციაზე. სანქციების გაფართოება გამოცხადდა იმის გამო, რომ ჰავანამ სოლიდარობა გამოუცხადა კარაკასს.**

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან კუბის მთავარი სავაჭრო პარტნიორი არის ევროკავშირი. იქ განსაკუთრებით დიდი ინტერესი აქვს **ესპანეთს.** ესპანეთს არ ჩამორჩება კანადა და მექსიკა. კანადამ და ევროკავშირმა ერთობლივი განცხადებით გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება და მიუთითეს, რომ კუბის მიმართ **„ცალმხრივი ზომების ექსტერიტორიული გამოყენება საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება“.**

„დავუკავშირდი კანადურ კომპანიებს, რათა დაგვედასტურებინა, რომ ჩვენ დავიცავთ ინტერესებს კანადელებისა, რომლებსაც კუბაზე აქვთ ბიზნესი და ინვესტიციები“, — განაცხადა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ქრისტია ფრილანდმა.** კუბაზე ესპანელი მეწარმეების ასოციაციის (AEEC) პრეზიდენტმა **სულიო ფონჩეტამ** ევროკავშირს მოუწოდა, გამოიყენოს „ნაცვალგების“ პრინციპი და დასაჯოს ევროკავშირში მომუშავე ამერიკული კომპანიები, თუკი „კუბელი ამერიკელების“ ყოფილი საკუთრებიდან მოგების მიღების გამო ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის სარჩელს შეიტანენ ევროპული კომპანიების წინააღმდეგ.

## „როსნეფტი“ ვენესუელას სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება

ანტიკუბურ სანქციებთან ერთად 12 აპრილს აშშ-მა გაამკაცრა სანქციები ვენესუელის მიმართ და შავ სიაში შეიყვანა კიდევ 4 კომპანია და 9 სანავთობე ტანკერი. ადრე სანქცირებულთა სიაში მოხვდა ვენესუელის სანავთობე სექტორში მომუშავე ორი კომპანია, მათ შორის, სახელმწიფო კომპანია PDVSA, ტანკერი, რომელსაც კუბაზე გადაჰქონდა ნავთობი და PDVSA-ს 34 გემი. სანქცირებულთა სიაში მოხვედრა ნიშნავს აქტივების გაყინვას აშშ-ში და ამერიკის მოქალაქეების ან კომპანიებისთვის ბიზნესის წარმოების აკრძალვას ამ სიის ფიგურანტებთან.

მოსკოვმა იპოვა კარაკასის მხარდაჭერის მეთოდი. სააგენტო Reuters-ის ინფორმაციით (რომელიც, მართალია, მოგვიანებით „როსნეფტმა“ უარყო), **რუსული კომპანია „როსნეფტი“, რომელიც PDVSA-ს შვილობილი კომპანია Citgo-ს აქციების მფლობელია, შუამავალია PDVSA-სა და ვენესუელური ნავთობის საბოლოო მყიდველს შორის. PDVSA ნავთობის გაყიდვის ანგარიშ-ფაქტურებს გადასცემს „როსნეფს“, რომელიც მათ ანაღდებს და ამისათვის ვენესუელისგან იღებს საკომისიოსა და დისკონტს (ფასდაკლებას). ფულის ნაწილი ქვეყანაში შედის რუსეთ-ვენესუელის ბანკის, „ევროფინანს მოსნარბანკის“ გავლით, რომელსაც აშშ-მა მარტში დაუწესა სანქციები.**

სქემაში მონაწილეობს ინდური კომპანია Reliance Industries-ი, რომელიც დაკავებულია ვენესუელის ნავთობის იმპორტით. ამ კომპანიის წარმომადგენლის თქმით, „როსნეფტისგან“ მიღებული ფული ხმარდება ვენესუელის ვალების დაფარვას. ასევე თანამშრომლობენ ვენესუელასთან ჩინური კომპანიებიც.

ეს გამოცდილება საგულისხმოა იმით, რომ რაღაც მომენტში აშშ-ს აღარ აქვს შესაძლებლობა, სანქციები დააწესოს ფინანსურ ნაკადებზე, შესაბამისად, მისთვის მიუღებელ ხელისუფლებას ველარ დაამხობს.

აშშ-ის პარტნიორებმა — ევროკავშირმა, კანადამ, ლიმას ჯგუფმა (ორგანიზაცია, რომელიც პერუს დედაქალაქ ლიმაში დააარსეს სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობამ, აგრეთვე, კანადამ და სენტ-ლუსიამ 2017 წლის აგვისტოში) ვაშინგტონს სთხოვეს, არ გაეაქტიურებინა კანონის მესამე თავი, მაგრამ ტრამპმა მაინც გააკეთა ეს. აღსანიშნავია ისიც, რომ კუბა, უკვე 50 წელიწადია, მკაცრი სანქციების პირობებში ცხოვრობს, მაგრამ კვლავ რჩება თავის იდეოლოგიურ პოზიციებზე.

ვენესუელელები გაყოფილნი არიან, მაგრამ ემბარგო აიძულებს მათ, უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავონ აშშ-ის მიმართ, შედეგად **ვაშინგტონი ვენესუელის სახით მეორე კუბას მიიღებს.**

 აი ასე იცავს რუსეთი თავის სტრატეგიულ პარტნიორებსა და მოკავშირეებს, საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორები“ კი მხოლოდ იმას ცდილობენ, როგორ გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის. საქართველოს ხელისუფლებაც, რომელიც ფინიასავით შესციცინებს „სტრატეგიულ პარტნიორებს“ თვალებში, ისე იქცევა, როგორც ვაშინგტონი და ბრიუსელი უბრძანებს, იმას კი ვერ აცნობიერებს, რომ ამით ხელს უწყობს ქვეყანის გადაქცევას ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების პოლიგონად.

**ინტერნეტში გამოყენებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძემ**



**რით არის მნიშვნელოვანი ვენესუელის, კუბის, ნიკარაგუის, ბოლივიის მხარდაჭერა? ეს ქვეყნები აღიარებენ რუსეთის ძალისხმევას დასავლეთის აგრესიისგან თავიანთი მოქალაქეებისა და ტერიტორიების დაცვის საქმეში, ამით ისინი საფუძველს აცლიან დასავლეთის ბატონობას საერთაშორისო ორგანიზაციებში, ხელს უწყობენ დადებითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას რუსეთის გარშემო**



**აი ასე იცავს რუსეთი თავის სტრატეგიულ პარტნიორებსა და მოკავშირეებს, საქართველოს «სტრატეგიული პარტნიორები» კი მხოლოდ იმას ცდილობენ, როგორ გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის. საქართველოს ხელისუფლებაც, რომელიც ფინიასავით შესციცინებს «სტრატეგიულ პარტნიორებს» თვალებში, ისე იქცევა, როგორც ვაშინგტონი და ბრიუსელი უბრძანებს, იმას კი ვერ აცნობიერებს, რომ ამით ხელს უწყობს ქვეყანის გადაქცევას ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების პოლიგონად**



**კალიულაიდმა აღიარა, რომ პუტინთან შეხვედრაზე ესტონეთში რუსული ენის სტატუსის პრობლემა რუსულ მხარეს არ წამოუწევია. თვითონ ესტონეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ეთქვა პუტინისთვის, რომ ეუთო მიესალმება ინტეგრაციის მოდელს ბალტიისპირეთის ამ რესპუბლიკაში. ესტონეთის პრეზიდენტმა ისიც კი თქვა, რომ ელოდება პუტინის საპასუხო ვიზიტს 2020 წელს.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კერსტი კალიულაიდი პირველი მიხვდა, საით უბერავს ცვლილებების ქარი

## ბალტიისპირელი ძმები გაღიზიანებითა და ეჭვით ადევნებენ თვალს ტალინის მცდელობებს, მოსკოვთან დაამყაროს კონტაქტი



**ბალტიისპირეთის ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდნენ მოწოდებით ევროკავშირსა და ნატოში, რომ რუსეთისთვის დაეწესებინათ სანქციები, თავიანთ ტერიტორიაზე შეეყვანათ სამხედრო დანაყოფები, გმობდნენ ანექსიასა და ჰიბრიდულ მუქარებს. ყველაფერმა ამან დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა მიიყვანა იქამდე, რომ დიალოგის გამართვაზე აზრის გამოთქმაც კი, უკეთეს შემთხვევაში, სარკაზმად აღიქმებოდა.**

ამ ვითარებაში ესტონეთის ლიდერის მოსკოვში ვიზიტმა სრულიად სხვა სცენარით ჩაიარა. **პუტინმა** დაიჩივლა მეზობელთან დიალოგის არარსებობაზე და სულაც არ უცდია, მორალი წაეკითხა რუსების უფლებების შელახვის გამო: **კალიულაიდმა** აღიარა, რომ პუტინთან შეხვედრაზე ესტონეთში რუსული ენის სტატუსის პრობლემა რუსულ მხარეს არ წამოუწევია. თვითონ ესტონეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ეთქვა პუტინისთვის, რომ ეუთო მიესალმება ინტეგრაციის მოდელს ბალტიისპირეთის ამ რესპუბლიკაში. ესტონეთის პრეზიდენტმა ისიც კი თქვა, რომ ელოდება პუტინის საპასუხო ვიზიტს 2020 წელს. ამ ყველაფერს რუსეთისა და ესტონეთის ურთიერთობა კარგა ხნის წინათ დავიწყებულ კონტექსტში გადააქვს.

ესტონეთის პრემიერმინისტრ **იური რატასს,** რომელიც ევროკავშირის სამიტებზე მხარს უჭერდა რუსეთისთვის სანქციების გახანგრძლივებას, მოუწოდებდა რუსეთს, „შეესრულებინა მინსკის ხელშეკრულება“ და ა.შ., ახლა მოულოდნელი რეალობისთვის თვალის გასწორება მოუწევს — თურმე მოსკოვთან საჭიროა ლაპარაკი. როგორც ჩანს, ასე უნდა მოიქცეს არა მხოლოდ ტალინი, არამედ რიგაც და ვილნიუსიც.

ბალტიისპირელი ძმები კი გაღიზიანებითა და ეჭვით ადევნებენ თვალს ტალინის მცდელობებს, კონტაქტი დაამყაროს მოსკოვთან.

„ჩვეულებრივ, ჩვენ ამას (რუსეთთან ურთიერთობას) კოორდინაციას ვუწევთ და ერთობლივად ვმოქმედებთ. ეს ყოველთვის ეფექტიანია, ვინაიდან ყოველთვის იქნება ჩვენი გაყოფისა და განხეთქილების შეტანის მცდელობა ევროკავშირის ან ბალტიისპირეთის ქვეყნების ერთობაში“, — ეჭვნარევი სინანულით თქვა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლინას ლინკაიავიჩუსმა.**

**ესტონეთის პრეზიდენტ კერსტი კალიულაიდის მოსკოვში ვიზიტმა და მისმა, პირველი შეფასებებით, საკმაოდ წარმატებულმა მოლაპარაკებებმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, მძლავრად დაარტყა ბოლო წლებში ბალტიისპირელთა ერთობის ბურჯს — ანტირუსულ დღის წესრიგს**

# ესტონეთის პრეზიდენტი: საქართველოში ახალი პრეზიდენტია და განვიხილეთ, რისი გაკეთება შეიძლება

**ესტონეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა შეხვედრისას საქართველოზეც ისაუბრეს. ამის შესახებ ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიულაიდიმ გამოცემა „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა.**



„მე ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე ღია გულით მოვედი. ამას გულწრფელად ვამბობ. ვიგრძენი, რომ ეს ორმხრივი იყო. თუნდაც საუბრის იმ ნაწილში, რომელიც უკრაინას, საქართველოსა და სხვა საკითხებს ეხებოდა, რომელზეც ჩვენ თანხმობა არ გვაქვს“, — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, საქართველოს შესახებ რაზე ისაუბრეს, კერსტი კალიულაიდმა უპასუხა: „საქართველოში ახალი პრეზიდენტია და განვიხილეთ, თუ რისი გაკეთება შეიძლება“.



# სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის ხელშეწყობით თანდათან მიდიან შეთანხმებისკენ

**მოსკოვში გაიმართა აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების — ელმარ მამედიაროვისა ზოჰრაბ მნაცაკანიანის — შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. შემდეგ მათ შეუერთდნენ ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები — იგორ პოპოვი (რუსეთი), სტეფან ვისკონტი (საფრანგეთი) და ენდრიუ შოფერი (აშშ).**

თვით ფაქტი, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები მოსკოვში გაიმართა და მასში **სერგეი ლავროვი** მონაწილეობდა, ბევრ რამეზე მიანიშნებს. ცხადი იყო, რომ კონფლიქტში ჩართულმა მხარეებმა, როგორც აქამდე ხდებოდა, კიდევ ერთხელ კი არ დაიწყეს მხოლოდ ლაპარაკი მთიანი ყარაბაღის მწვავე პრობლემებზე, არამედ იმუშავეს ამ პრობლემების მოგვარების გზების პოვნაზე. სწორედ ასე ჩანდა მამედიაროვის საკმაოდ გულწრფელ განცხადებაში მოლაპარაკებების შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე:

**„თავდაპირველად სერგეი ლავროვმა, მე და ზოჰრაბ მნაცაკანიანმა გავმართეთ სამმხრივი შეხვედრა. ეს შეხვედრა ნაყოფიერი იყო. ჩვენ კონკრეტულად ვიმსჯელეთ საკითხებზე, რომლებიც აქამდე ხელს უშლიდა პროგრესს. ვერ ვიტყვი, რომ ეს სრული პროგრესია, მაგრამ მთლიანობაში სომხურმა მხარემ და მე შევძელით, მრავალმხრივ და ღრმად გაგვეგო ზოგიერთი პრობლემური მომენტი. ჩვენ საკითხები განვიხილეთ იმ გეგმის საფუძველზე, რომელიც რუსულმა მხარემ შემოგვთავაზა 2016 წელს. ამ შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შევძელით ყველა საკითხის გადაჭრა. სარგებელი ამ შეხვედრისა არის ის, რომ კიდევ უფრო ღრმად გავაცნობიერეთ, რა პრობლემები არსებობს და მათგან რომელი უნდა მოგვარდეს უწინარესად. შეხვედრაზე გაისმა სხვადასხვა მოსაზრება. ახლა არ მინდა ვილაპარაკო, რა წინადადებები შემოგვთავაზეს. ეს იყო რუსეთის, თანათავმჯდომარეების, აზერბაიჯანისა და სომხეთის წინადადებები. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას ამ მიმართულებით“.**

რა მოხდება შემდეგ? ეუთოს მინსკის ჯგუფი აღნიშნავს, რომ „შეხვედრის მონაწილეებმა მოილაპარაკეს, განაგრძონ კონტაქტები უახლოეს ხანში“. რა ხდებოდა მოსკოვში? მამედიაროვის რეაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეხვედრაზე განხილული იყო ბევრი კონკრეტული წინადადება ე.წ. ჰუმანიტარული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს ბაქოსა და ერევნის პოზიციების ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას. ამ მიმართულებით პროგრესის გარანტიას იძლევა ის, რომ სამკუთხედის ფარგლებში მოსკოვი-ბაქო-ერევანი უმაღლეს დონეზე შეხვედრა გაიმართება, რომელზეც სომხეთი და აზერბაიჯანი საბოლოოდ შეთანხმდებიან, რუსეთი და პირადად პრეზიდენტი პუტინი კი მიღწეული შეთანხმების შესრულების გარანტები იქნებიან.

**სააგენტო „რეგნუმ“-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**



# იერუსალიმში ალ-აქსას მეჩეთს ცეცხლი გაუჩნდა

**15 აპრილს, იმ დროს, როცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ცეცხლის ალში იყო გახვეული, იერუსალიმში, ალ-აქსას მეჩეთში, გაჩნდა ხანძარი, რომელიც ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა სწრაფად ჩააქრეს.** ალ-აქსას კომპლექსი მნიშვნელობით მესამეა ისლამურ სამყაროში.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანდრო გირგვლიანის საზარელი მკვლელობის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისა და სულხან მოლაშვილის მხეცური წამების საქმეების ადვოკატ შალვა შავგულიძეს ყველაზე უკეთ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ნაციონალთა კაცთმოძულეობა და როგორი მომაჯადოებელი ხიბლი უნდა შეუჩნდეს, რომ ნაციონალთა წევრი გახდეს. კარგი, „ქართული ოცნება“ აღარ მოსწონს, რატომ ჰგონია, რომ ასეთი საქციელით დიდების სხივს შემატებს თავის არსებობას?!**


გივი სომხიშვილი

# ევროამერიკელი ჯადოქრის ტყვეობაში

დასასრული. დასაწყისი იხ. №14, 2019 წ.

**„საიდუმლო სირობის“, „ვირის სახარების“ ავტორებსა და საკუთარ დედაზე სექსუალურად აღგზნებულ ტუალეტის მჯღაბნელებს პრემიებს აძლევენ, ნაცოდვილარს უბეჭდავენ და საზღვარგარეთ გზავნიან.** აწი რა ეშველებათ, **მამუკა ხაზარაძეს** ესოდენ რომ გაურთულდა საქმე და შეიძლება პრემიების გადასაცემად ველარ მოიცალოს...

მომეცით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ნებისმიერ ერს ღორების კოლტად ვაქცევო, — იკვეხნიდა ფაშისტების ცოფიანი იდეოლოგი **გებელსი.** ეს მეთოდი კარგად აითვისა სიცრუისა და ძალადობის ყველა მქადაგებელმა. ფაშისტებს ადამიანების ღორების კოლტად გადაქცევის მცდელობაში თავიანთი ქვეყანა თორმეტ წელიწადში თავზე ჩამოექცათ და ღორების კოლტად გადაქცევა თვითონვე ექცათ სანატრელი.

საქართველოს დამაქცევარ სააკაშვილს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი, მეუფე **კალისტრატე** მეფე **დავით აღმაშენებელს** ადარებდა; მას სააკაშვილის პორტრეტი მაცხოვრის გვერდით ჰქონდა ჩამოკიდებული. **ეს ამერიკელთა ტაკიმასხარა მარიონეტი გაიპარა და საქართველოს მოქალაქეობა უკრაინულზე გადაცვალა, მერე, უკრაინიდან გაგდებული, ისევ აქაურობის ასაქოთებლად შეიმართა, რადგან ნაციონალებს დამსახურებისამებრ არ მიეზღოთ. ან როგორ მიეზღვებოდათ, როცა ქვეყანაში ევროამერიკული ფსიქოზი ა მძვინვარებს.** თურმე ეკლესიაშიც შეიძლება მოიძებნოს სულში სატანაჩასახლებული მოძღვარი. მადლობა უფალს, რომ ამ ძნელბედობის ჟამს უწმინდესი და უნეტარესი, კთოლიკოს-პატრიარქი აფრთხობს ყველა ეშმაკეულს, ასე გაცოფებით რომ გვიტევს.

ევროატლანტიკური გარყვნილებით აქოთებული ლიბერასტები საქართველოს ვერ გადააქცევენ კავკასიაში მცხოვები ხალხების საფრთხობელად.

**დაუსჯელობა დანაშაულის უდიდესი წახალისებააო, — ამას ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე ამბობდა ციცერონი. ფაშისტები დამსახურებისამებრ რომ არ დაესაჯათ, მსოფლიოს გადაჭამდნენ. დაუსჯელობით გაყოყოჩებული ნაციონალები კი საქართველოს გასაჩანაგებლად არიან შემართულნი. ხალხი იძულებულია, ევროატლანტიკური ჯადოქრობის ქართველთმოძლე ეშმაკეული ითმინოს.**

„ქართული ოცნება“ ხალხის დიდი მონდომების შედეგად მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რადგან ევროამერიკელი მფარველებიც დარწმუნდნენ, რომ მათი მორჩილი ვაგლახები ქვეყანას დიდხანს ველარ შეინარჩუნებდნენ. ნაციონალების დამსახურებისამებრ დასჯას თითქოს წინ აღარაფერი ეღობებოდა და ისინიც დამფრთხალი ნადირივით შესაძრომ ადგილს ეძებდნენ, მაგრამ ევროატლანტიკური ჯადოქრის მფარველობით გაწებივრებულმა ნაციონალებმა კოჰაბიტაციით სრულად გაშალეს ფრთები. „ნაციონალური მოძრაობა“ დაანაწევრეს („ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და სხვ.) და გაერთიანებულ ოპოზიციად შემოგვასაღეს. ადამიანის სახედაკარგული **გვარამია** ისეთი უწმაწური გინებით ესხმის თავს ყველაფერს, რომ ბოროტ ხულიგანს არ დაესიზმრება. აბა, ვინმემ გაბედოს და წესრიგისკენ მოუწოდოს, ის ხომ საქაჯეთის ცოფიანი ცერბერია.

ჩვენ დღესაც არ ვიცით, რა ბოროტების, მტრობისა და მუქარის იდუმალება ბრუნავდა და ბრუნავს კულისებს მიღმა, რა ძალამ დაასია „ქართულ ოცნებას“ მისი ავტორიტეტის წურბელებივით მწოვели პარაზიტი პარტიები და სამარცხვინო კადრები. თუმცა, როცა რესპუბლიკელი იყო პარლამენტის თავმჯდომარე, რატომ უნდა გვიკვირდეს ანტიდისკრიმინაციული ან მისი მსგავსი კანონის მიღება? წინა მოწვევის პარლამენტში ხომ ანტიეროვნული რესპუბლიკული და მისი მსგავსი სხვა პარაზიტი პარტიები „ქართული ოცნების“ ავტორიტეტის ღრღნას ცდილობდნენ. შედეგად კოაბიტაცია სასურველ ნიადაგში აყვავდა. ახლა ნაციონალები ხმამაღლა გაჰყვირიან, რომ მათ წინ ვერავინ დაუდგება და აიშალნენ მომთაბარენი, კომფორტულად მოწყობის სურვილით პარტიებში გადაბარგებ-გადმობარგებას რომ არიან მიჩვეულნი.

სანდრო გირგვლიანის საზარელი მკვლელობის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისა და სულხან მოლაშვილის მხეცური წამების საქმეების ადვოკატ შალვა შავგულიძეს ყველაზე უკეთ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ნაციონალთა კაცთმოძულეობა და როგორი მომაჯადოებელი ხიბლი უნდა შეუჩნდეს, რომ ნაციონალთა წევრი გახდეს. კარგი, „ქართული ოცნება“ აღარ მოსწონს, რატომ ჰგონია, რომ ასეთი საქციელით დიდების სხივს შემატებს თავის არსებობას?!

ქალბატონ **ბესელიას,** სანამ „ქართულ ოცნებაში“ იყო, ამ პარტიის მესაჭედ წარმოედგინა თავი და ტელეეკრანიდან დამოძღვრით თვალებში მაზოლები გაგვიჩნდა. ახლა გაწყრა და „ქართულ ოცნებას“ გაებუტა. ან ისეთი რა პირადი ცხოვრების კადრები ჰქონდა, რომ მისი დანახვა მედუზა გორგონას შემოხედვად გვიქციეს?..

რომელი დამპყრობლის გენი აუდუღდათ იმ არსებებს წინაპართა სისხლით მორწყული მიწების გაყიდვით, უცხოტომელთა ჩამოსახლებითა და მათთვის სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის შეპირებით თავს რომ იწონებენ, მაშინ, როდესაც საქართველოში 300 ათასამდე ლტოლვილი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს?! ევროპაში გაქცეულ ქართველებს კი იქიდან ერეკებიან. აი, შედეგი მათხოვარივით მიტმასნების უთავმოყვარეო პოლიტიკისა. რა მოგვცა ევროპამ, რომელი საწარმოს ამოქმედებაში დაგვეხმარა, ცოტა წელში გაიმართეთო?

ევროამერიკელი ჯადოქრის მიერ ოკუპირებულნი მის დაკრულზე ვროკავთ და რუსებს ოკუპანტებს ვეძახით. დღევანდელობა მონღოლების ბატონობის ხანას წააგავს, როცა ხალხი აუტანელი გადასახადებით კვნესოდა, ქართველები მონღოლთა ლაშქრობებში ღვრიდნენ სისხლს... **ბედნიერი მომავლის გზაზე საქართველოს შეყენება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით მოხდება, მაგრამ ეს გზა ევროატლანტიკური მბრძანებლის მიერ არის ჩახერგილი. მათ მათხოვარი, დაკნინებული და მორჩილი საქართველო სჭირდებათ, რათა იმას მიუქსიონ, ვინც მოესურვებათ. ჩვენთან კი, ევროკომისიამ თუ ვენეციელმა ბუკიკიომ რამე შენიშვნა არ მოგვცესო, სული ქუსლებში ეპარებათ.**





სამარცხვინოა, რაც ცხინვალის რეგიონთან ე.წ. საზღვარის გადმოწევასა და ქართველთა დაკავებას ახლავს. ატეხენ ხმაურს არასამთვრობოები, ხელმოცარული პოლიტიკური პარტიები, სახალხო დამცველად წოდებული ყველა უკულმართის დამცველი, ნაციონალები, ევროპიდან დამკვირვებლებს მოიწვევენ, იღავლავებენ, ევროპაშიც გაიქცევიან და იქიდან ჩამოტანილ ქაღალდებს ააფრიალებენ, რომ ევროპა გმობს ამგვარ საქციელს, ჩვენ გვიჭერს მხარს და მორჩა...

თავის დროზე საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა ახალგორიც, კოდორის ხეობაც და ცხინვალის ირგვლივ ქართული სოფლებიც; ერგნეთის ბაზრობა ხელს უწყობდა ურთიერთობის დათბობას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონტურები იკვეთებოდა. ვინ (ან ვისი დავალებით) გაამწარა რუსები ისე, რომ საქართველოს ეს რეგიონები დამოუკიდებლად აღიარა?! მაშ, ვისი ბრალია ე.წ. სასაზღვრო ტერიტორიიდან ქართველთა გატაცება, რის გამოც ასე იგლეჯენ ბალანს ნაციონალები და თავიანთი დანაშაულის შედეგებს ხელისუფლებას აბრალებენ?!

თუ სამართალია, ჰააგის ტრიბუნალის საბრალდებო სკამზე სააკაშვილი და მისი ბანდის წევრები უნდა ისხდნენ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა კი რუსეთზე გადის, რომელიც ევროამერიკულმა ჯადოქრებმა შლაგბაუმით გადაკეტეს და ყარაულად თავიანთი ცერბერი — „ნაციონალური მოძრაობა“ მიუჩინეს, რათა მისი გაღება არავინ სცადოს.

დამნაშავე, სასჯელმისჯილი, საქართველოდან გადახვეწილი სააკაშვილი, რომლისგან მიყენებული ჭრილობები დღესაც ვერ მოუშუშებია ქვეყანას, „რუსთავი 2“-ის ეთერიდან, თანამოაზრეთა აკომპანიმენტით რეგულარულად იმუქრება ხელისუფლების დამხობით. ასე გასაჯაროებული, უცხოეთიდან მხარდაჭერილი შეთქმულება გამაოგნებელია. აბა, ვინმემ გაბედოს და მათ დაწყნარებას შეეცადოს, სრულიად ევროპა აღავლავდება თავიანთი ბუკიკიოებით...

**ბიძინა ივანიშვილის** ლანძღვა და აუგად მოხსენიება ნაციონალებისგან გასაკვირი არ არის, გასაკვირია მათ ფეხის ხმას აყოლილთა ღავღავი. კი, ბატონო, მრავალი დაპირება ვერ შესრულდა. იცოდა კი ბიძინამ, რა დონეზე ჰყავდა შებოჭილი ქართული მოჩვენებითი თავისუფლება ევროამერიკულ ჯადოქარს? ვის შეეძლო ქვეყანაში ნაციონალთა პარპაშის აღკვეთა? თუ ვინმეს ივანიშვილის თავდადებაში ეჭვი ეპარება, გაიხსენოს საღ-სალამათი პატარკაციშვილის უეცარი სიკვდილი, დღეს ნაციონალებს მისი მკვლელობის მცდელობაში ბრალი რომ აქვთ წაყენებული.

ის, ვისაც ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილობას შეატყობენ, „რუსთავი 2“-ის ბოროტი თავდასხმის ობიექტი ხდება, ასე შეშფოთდნენ **ირაკლი ღარიბაშვილის** პოლიტიკაში მობრუნებით, უამრავი სიცრუე და ცილისწამება რომ ამოქექეს თავიანთი სანაგვიდან. ირაკლი ღარიბაშვილი კი ის ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილია, რომლის მსგავსთა სიმრავლე „ქართულ ოცნებას“ ესოდენ სჭირდება. როცა ღარიბაშვილმა განაცხადა, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობააო, გადაირეოდნენ, აბა რა, ევროამერიკელი ჯადოქრები, ჰომოსექსუალთა ქორწინების ექსპორტი დროშად რომ გაუხდით. სწორედ ირაკლი ღარიბაშვილისნაირ ადამიანებს შეუძლიათ „ქართული ოცნება“ მიტმასნილი, მოხეტიალე, უზნეო და უიდეო თანამგზავრებისგან გაწმინდონ; მისი რიგები ნამდვილი ერისკაცებით შეავსონ და ხალხის ნდობა დაამკვიდრონ.

ამჟამად საქართველოს, დიმიტრი თავდადებული კი არა, გიორგი ბრწყინვალე სჭირდება, რათა პოლიტიკოსებად წოდებული, ნატომანიით შეპყრობილი ვაიქართველების მიერ გრდემლსა და უროს შორის მოყოლილი, დასაღუპავად გაწირული საქართველო იხსნას ევროამერიკული ჯადოქრის საბედისწერო ტყვეობიდან.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

**ევროამერიკელი ჯადოქრის მიერ ოკუპირებულნი, მის დაკრულზე ვროკავთ და რუსებს ოკუპანტებს ვეძახით. დღევანდელობა მონღოლების ბატონობის ხანას წააგავს, როცა ხალხი აუტანელი გადასახადების გამო კვნესოდა, ქართველები მონღოლთა ლაშქრობებში ღვრიდნენ სისხლს... ბედნიერი მომავლის გზაზე საქართველოს შეყენება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით მოხდება, მაგრამ ეს გზა ევროატლანტიკური მბრძანებლის მიერ არის ჩახერგილი. მათ მათხოვარი, დაკნინებული და მორჩილი საქართველო სჭირდებათ, რათა, ვინც მოესურვებათ, იმას მიუქსიონ. ჩვენთან კი, ევროკომისიამ თუ ვენეციელმა ბუკიკიომ რამე შენიშვნა არ მოგვცესო, სული ქუსლებში ეპარებათ**

**თბილისში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა, სწავლობდა, მუშაობდა. პიროვნებად იქ ჩამოყალიბდა. ქართველ პატრიოტად. უზადო ქართულით მეტყველებდა, გამართულად, უხინჯოდ, სასიამოვნოდ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ ენობრივ გარემოში ტრიალებდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც, მადლობა ღმერთს, 90 წელიწადს გრძელდება და უმეტესს ვუსურვებთ მისი მკითხველები.**

გამოისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «და ჯვარი მოჩანს შუბის ტარივით»

**მელორ სტურუა, ბრწყინვალე ჟურნალისტი, „ცივი ომის“ ეპოქაში ისეთივე აღიარებული და პოპულარული იყო, როგორც მიხეილ კოლცოვი, „ჟურნალისტი ნომერი პირველი“ ოცდაათიანი წლების საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით, ესპანეთის რესპუბლიკის ფაშიზმთან ბრძოლის პერიოდში.**




**სტურუა** გაზეთ „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში — ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, დიდ ბრიტანეთში — ლონდონში.

**კოლცოვი** ძირითადად „პრავდაში“ მუშაობდა.

განსხვავებულ ისტორიულ პერიოდებში, მაგრამ ერთნაირად დაძაბულ ვითარებაში, როცა მსოფლიო გლობალური კატასტროფის წინაშე იდგა.

ეს პარალელი — შედარებისთვის, პოპულარობის მასშტაბის წარმოსადგენად.

მეტი — არაფერი.

ბრწყინვალე რეპორტაჟებს გზავნიდა რედაქციაში მელორ სტურუა, ანალიტიკურ მიმოხილვებს, პუბლიცისტურ ესეებს, ჭეშმარიტი ჟურნალისტიკის ნიმუშებს, რომლებზეც თაობები აღიზარდნენ.

წერდა რუსულად, ცხადია.

**თბილისში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა, სწავლობდა, მუშაობდა. პიროვნებად იქ ჩამოყალიბდა.**

**ქართველ პატრიოტად.**

**უზადო ქართულით მეტყველებდა და მეტყველებს, გამართულად, უხინჯოდ, სასიამოვნოდ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ ენობრივ გარემოში ტრიალებდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც, მადლობა ღმერთს, 90 წელიწადს გრძელდება და უმეტესს ვუსურვებთ მისი მკითხველები.**

ესეც — პარალელისთვის. მათ საყურადღებოდ, ვინც ცდილობს, გაამართლოს მავანი სახელმწიფო მოღვაწის ჩიქორთული — სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა და საქმიანობდა და რაც იცის, როგორც იცის, ესეც დიდი გმირობააო.

ამ თემასაც აქ დავუსვათ წერტილი. სხვა საინტერესო ცნობას მოგაწვდით.

მელორ სტურუა პოლიტიკურ თემებზე დაწერილი არაერთი წიგნის ავტორია. მაგრამ მისი ლექსების პირველი კრებული — „ქართული გული“ — ეს-ესაა გამოსცა ასოციაციამ „კულტურათა დიალოგი-21“ (ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი **ვალერი ასათიანი**) ქალბატონ **მარინა ჯანგიძისა** და ბატონ **თეიმურაზ ბერიშვილის** ძალისხმევით.

ლექსები — ლოცვა სამშობლოსთვის:

**ღვთისმშობლის შუბლი შეწუხებული,**
**ცხარე ცრემლებით სავსე თვალები.**
**ცა ულმობელი მარწუხებივით,**
**რომელსაც ვერსად დაემალები.**

**დასცქერის მეტეხს, სიონს, ანჩისხატს**
**და იღრუბლება შეუწყნარები —**
**წვიმა დაგვჭირდა, წვიმა დაგვჭირდა,**
**ვით სახარების მკრთალი პწკარები...**

ლექსები — ქართული ენის თაყვანისცემა:

**დასაბამიდან მეღირსა,**
**როგორც რძე, წყალი და პური,**
**მე იავნანა დედისა,**
**ანბანი მამაპაპური.**
**გულში ტოკავდა, მღეროდა**
**ფრინველი გასაკვირველი —**
**ჩემი პირველი ბგერა და**
**ჩემი სიტყვები პირველი...**

ლექსები — ორიგინალური ჰიმნი სიყვარულის:

**ო, ეს თვალები, ო, ეს თვალები —**
**ციცნათელები ქართლის ღამეში!**
**წამწამიანი და უთვალავი**
**გველეშაპები და გილგამეში.**
**და შენ კი თავსაც აღარ მაწონებ,**
**ბანი დაიდგი მაღალ-მაღალი...**
**ვირებს წყნეთიდან მოაქვთ მაწონი**
**და გარიჟრაჟის აყალმაყალი...**

და ა.შ.

და ვლადიმერ მაიაკოვსკის შედევრივით „თქვენ კი შეძლებდით?“ („А Вы могли бы?“) მოულოდნელი „ინტელიგენტის სიმღერა, თითქმის გოდება“:

**ხმალი გადატყდა ვადაში,**
**და შენც წახვედი ვადამდე.**
**სიცოცხლე, როგორც თამაში**
**და როგორც სენი გადამდე.**
**მიტომ იყავი თამამი,**
**რომ თვლა იცოდი ათამდე.**
**ჭია იყავი ატამში**
**და ალეგროში ანდანტე...**
**ხმალი გადატყდა ვადაში**
**და შენც წახვედი ვადამდე.**

და — მარგალიტებად მიმობნეული:

**აღზევებული მივალ აღზევანს,**
**ლექსებს მოაკლდა, ვიგრძენ, მარილი.**
**გაქრა აღდგომა, დარჩა წაქცევა**
**და ჯვარი მოჩანს შუბის ტარივით**

ან:

**ბუნება კიდევ მწვანეა,**
**თუმცა შეუდგა ყვითელი...**
**მიწაზე ცვივა კაკალი,**
**როგორც ცრემლები სკვითელის.**

ან:

**რა პატარაა ჩემი სამშობლო —**
**დასამარხ მიწას ველარ ვშოულობთ.**

ან:

**თბილისის ღამე დაწვა გულაღმა**
**და გაუსწორა თვალი მსოფლიოს...**

ან:

**გრძნობის ფარჩაზე ვეფხვად დალი წევს,**
**თვალნი მდაგავენ, ავგაროზები.**

ბატონ მელორის ერთ-ორ ლექსს ჭაშნიკად მოგაწვდით — უკეთ იგრძნობთ მისი პოეზიის სიღრმესა და სურნელებას.

## ზარზმობა

**ზარზმობა, ზარზმის ზმანება,**
**ზართ ჟრუანტელი გამივლის —**
**წარსულის ახმოვანება,**
**ახმოვანება მომავლის.**
**დაიძრა წუთისოფელი,**
**ოსმალოს დანაჯახები,**
**ვით ლანდი კეთილშობილი**
**აკუწულ სარგის ჯაყელის.**
**ლანდი იქაც და აქაცა,**
**მაგრამ აფხიზლებს ასპინძა**
**მას, ვინაც ზარზმა აკუწა**
**და მისი ცრემლი აკინძა.**
**შემდგარა ზარზმა ცერებზე,**
**კიდეც გაფრინდეს, ლამისა:**
**„ვწერ ვინმე მესხი მელექსე**
**მე რუსთველისა ამისა“.**
**მღერიან ქართლის შვილები,**
**კუთხე არ დარჩა უქები...**
**მთებს იქით დაგეშილები**
**ბოღმით უსმენენ თურქები.**

## დედაენა

**მე დაგივიწყე, ო, დედაენავ!**
**თითქმის გაგწირე და გაგიმეტე.**
**ჩაილდ — ჰაროლდი მობედუინო**
**უდაბნოეთში ვეძებ იმედებს.**
**უდედაენოდ, როგორც უმიწოდ...**
**მტვერია მხოლოდ უცხო უდაბნო.**
**ბევრი ვნახე და დავრჩი უვიცი,**
**გვირგვინი მომცეს — დავრჩი უდაფნო.**
**და გაეთიშა შინაარსს ფორმა,**
**ველარ ავკინძავ თვალებს გიშრიანს...**
**და მეტაფორა, ვით ანაფორა,**
**დამჭკნარ ლექსების მხრებზე შრიალებს.**

## მამელუკები

(უიარაღოს)

**ოქროზე დანალექები**
**და სისხლზე დანამყარები**
**ქალებს გვპარავენ ლეკები,**
**რომ მორთონ ჰარამხანები.**
**გვპარვენ და გვპარვენ ქალწულებს,**
**ყელმოღერებულთ ჯიხვივით.**
**გვაძრწუნებს, ისევ გვაძრწუნებს**
**მათი ცხენების ჭიხვინი.**
**ეს თმები გათეთრებული**
**ჩადრივით დამელუქება.**
**ვაჟები გათათრებულნი**
**კვდებოდნენ მამელუკებად.**
**შოთას სიტყვით ვერ ხარობდნენ,**
**სიტყვით, რომ გვაიმედაო.**
**სიკვდილის წინ თუ ხმარობდნენ,**
**რომ ეთქვათ: „ვაი დედაო!“**

## გვალვა

**საქართველოში მოვიდა გვალვა,**
**გვალვა სულის და გვალვა ხორცისა,**
**ვერ გაიხარა ბუნების თვალმა**
**და ვერ იგემა სიტკბო მორწყვისა.**

**შედრკა ბუნება შენაშფოთები,**
**მზე კი ულმობლად ითვლის მარჩილებს.**
**მევედრებიან ნუშის ტოტები:**
**გადაგვარჩინე, გადაგვარჩინე!**

**შეუწყვეტელი ქარის ზუზუნი,**
**ქარში ნაკადულს ვერ მივაგენი.**
**როგორ დამშრალან დედის ძუძუნი,**
**როგორ დამსკდარან სატრფოს ბაგენი!**

**შრება ფოთოლი, შრება ფურცელი,**
**შრება ვნება და შრება ატამი,**
**შრება სიტყვა და შრება ყურძენი,**
**გულიდან ტალღად ამონატანი.**

**წყალო, მეუფევ, გთხოვ, შეგვიწყალე,**
**ლამის გაგვსრისა შენდამი ვალმა,**
**თუკი გადარჩა ვინმე ცოცხალი,**
**ბოლოს მოუღებს მძვინვარე გვალვა.**

**გვალვა მოგვდევდა და მოგვკიოდა**
**ბათო-ყაენად, ჯელალ-ედინად.**
**ჩვენ, თურმე, სისხლი მისთვის გვდიოდა,**
**რომ მერე წყალი გამოგვედინა.**

## ძველი თაობის წუწუნი

**დავზარდეთ ალგეთს ლეკვები:**
**კბილები — ბასრი ბროლები.**
**ჩვენ იავნანას ვუმღერდით,**
**არჩიეს როკ-ენდ-როლები.**
**დავზარდეთ ალგეთს ლეკვები,**
**მათი აკვანი ვარწიეთ.**
**დედებმა ჩოხა შეკერეს,**
**მათ კი ჯინსები არჩიეს.**
**ჯავრი რომ სჭამონ მგლისანი,**
**დავზარდეთ ალგეთს ლეკვები.**
**მათ სხვა არჩიეს მიზანი,**
**გაცრუვდა ჩვენი გეგმები.**

**დასასრულ:** მელორ სტურუას ლექსების პირველი კრებულის — „ქართული გულის“ — საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა გაიმართება 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე მწერალთა სახლში (მაჩაბლის №13). დასწრება, როგორც ყოველთვის, თავისუფალია.

**არმაზ სანებლიძე**



საპატიო თბილისელები (მარცხნიდან): ბორის პაიჭაძე, მელორ სტურუა, ვიქტორ გოცირიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ალექსანდრე დათაშვილი და მედეა ჯაფარიძე 1988 წლის თბილისობაზე

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ჩვენ როგორი კანონი და სამართალიც გვაქვს, როგორადაცაა დაცული ქვეყანაში ადამიანის უფლებები და თავისუფლება, იმაზე მეტყველებს, რამდენად არიან ხელისუფალნი ერის მოძმენი „ჭმუნვასა და სიხარულში“, რამდენად აჩნიათ „ერის წყლული“ წყლულად და რამდენად „უდაგავთ გულს“ მისი ბედი და უბედობა.**

**რა არის თავისუფლება? — არაერთ მამულიშვილს უცდია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო პასუხი მათ მიერ განვლილი ცხოვრების გზაა — კვალი ნათელი, შთამომავლობისთვის გზის მაჩვენებელი... მაგრამ რა გინდა ქნა, როცა ირგვლივ, ილიას თუ დავესესხებით, არის „ყველა მუნჯი... ყველა ყრუ, ყველა ცრუ... ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი“ და ამ ნაკვალევს ვერ პოულობს, ბარაბას გზას ირჩევს და ამას თავისუფლებას არქმევს?!**

ილიას წერილში „რა არის თავისუფლება?“ დამაჯერებლად ახსნილი და დასაბუთებულია თავისუფლების არსი. ის, როგორც დიდი მოაზროვნე და, ასევე, მოსამართლე, თვლის, რომ ადამიანის თავისუფლებას დემოკრატიული და სამართლიანი წესრიგი იცავს — მას სწორედ ასეთი წესების დაცვა აძლიერებს და არა თავგასული უწესრიგობა. ილიას სურს, რომ ყოველი ქართველი სამართლიანობისთვის მებრძოლი იყოს, რომ მან „ხელი არავის ახლებინოს“ კანონსა და სამართალზე, როგორც „საკუთარი თავისუფლების ციხესიმაგრეზე“. **თავისუფლება — ეს არის კანონისა და სამართლისაგან შედუღაბებული ციხესიმაგრე, რომლის გამძლეობა და ხარისხი მისი მშენებლების კეთილსინდისიერებასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული.** და დღეს ჩვენ როგორი კანონი და სამართალიც გვაქვს, როგორადაცაა დაცული ქვეყანაში ადამიანის უფლებები და თავისუფლება, იმაზე მეტყველებს, რამდენად არიან ხელისუფალნი ერის მოძმენი „ჭმუნვასა და სიხარულში“, რამდენად აჩნიათ „ერის წყლული“ წყლულად და რამდენად „უდაგავთ გულს“ მისი ბედი და უბედობა....

თავისუფლება იყო ასევე ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მთავარი თემა. **„თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა. დატუსაღებული ადამიანი უბედურადა გრძნობს თავსა: ვერა ჰსვამს და სჭამს თავის ნებაზე, ვერ ადგება, ვერც დაწვება ისე, როგორც თვითონ უნდა; ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას; ვერა ჰხედავს იმას, ვინც უყვარს, ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია; თა¬ვის ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ გადასდგამს. უბედურ ყოფაშია ტუსაღი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მდგომარეობა და გვებრალება. რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო?“** — წერდა პოეტი.

მართლაც, რას ნიშნავს თავისუფლება, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო? როცა ხელისუფლება ვერ ატარებს ეროვნულ ინტერესებს, იმართება უცხო ძალის მიერ, მონად გახდომია გადამთიელს და ხელს უწყობს ეროვნული ღირებულებების ხელყოფას, ასეთ ქვეყანაში შეიძლება ადამიანი თავისუფალი იყოს?! განა თავისუფლება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, წერო, აკეთო?! არა! ყოველ სიტყვასა და ქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება უნდა ედოს სარჩულადო, ბრძანებს ვაჟა-ფშაველა, და ქვეყნისთვის, სასარგებლო თუ არა, მავნე მაინც არ უნდა იყოსო, დასძენს. თავისუფალი ადამიანის მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. ადამიანისთვის ეროვნული თავისუფლება არაფერს წარმოადგენს თუ არ არის სულიერად თავისუფალი, ანუ აღასრულებდეს უფლის ნებას, უანგაროდ თესდეს სიკეთეს და თავისი ქცევით იყოს მართალი საკუთარ თავთანაც და საზოგადოებასთანაც.

ამიტომ ამბობდა დიდი ილია: **„თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისათვისო... თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც პიროვნება არაა თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“** („რა არის თავისუფლება“).

ახლა ვაჟა-ფშაველას მოვუსმინოთ:

**რას ნიშნავს თავისუფლება, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო? როცა ხელისუფლება ვერ ატარებს ეროვნულ ინტერესებს, იმართება უცხო ძალის მიერ, მონად გახდომია გადამთიელს და ხელს უწყობს ეროვნული ღირებულებების ხელყოფას, ასეთ ქვეყანაში შეიძლება ადამიანი თავისუფალი იყოს?! განა თავისუფლება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, წერო, აკეთო?!**

# «ერს დააბერებს მხოლოდ მონება, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა»

## რა არის თავისუფლება?



**ვაჟა-ფშაველა: ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის გრძნობას, თავის თვალებს და ყურებს როდი ვენდობით; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე, რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ; მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახით: ბიჭოს, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდითო! გვიკვირს და ვოცდებით იმის გამო, რომ ცეცხლი მწვავე ყოფილა, ყინული ცივი და მგელს ცხვრის ჭამა სცოდნია. ამისთანა უბრალო ჭეშმარიტებასაც კი სხვისგანა ვსწავლობთ. ტყუილია? არ არის ასე?**

„ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, **საცა ნავარდობენ მგლები,... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რაღლა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას?** ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი-ცხვარს.

მაგრამ, **მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, — ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა.**

**დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.**

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომამისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

**იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის.** მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

**იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! — სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი, როცა ეს დრო დგება** და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქ- ▶

**„თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“.**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**«საცა ნავარდობენ მგლები, საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რაღლა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას?»**



◀ნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე.ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი, მაშასადამე, სჩანს, მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ ვიმეორებ: **ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად.** და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: **თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი?** – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას, აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება — წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი....

**რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი?** – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: **„ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.**

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

**„კაცის საქმე თავის ქვეყნის რგებაა; თუ თავის ქვეყანას არგებ, მაშინ კაცობრიობისთვისაც სასარგებლო იქნები, თუ არადა, სულ ტყუილია, ვინც კაცობრიობის ერთგულია, ის მუდამ ერთგულია თავის ქვეყნისა, იგი მუდამ სცდილობს, თავის ქვეყანაც იმ განათლების ზომაზე დააყენოს, რა ზომაზედაც სხვა განათლებული ქვეყნებია, რომ სხვებთან იმის ქვეყანასაც შეეძლოს ისარგებლოს იმ მადლითა, რასაც ბუნება აძლევს“** („წერილები მეგობართან“).

და კიდევ:

**„აზრსაც იმის მიხედვით აქვს ბაზარი და გასავალი, რამდენადაც მტკიცენი და შეუპოვარნი არიან მისი მტვირთველნი, რამდენიც მეტი წამებული ჰყავს. ყველა ჯურის აზრი, სოციალურია თუ სარწმუნოებრივი, იმის მიხედვით იმარჯვებს, თუ რამდენად ნიადაგი აქვს განხორციელებისა და რამდენად თავგამოდებულნი მომხრენი ჰყავანან“; „კერძო კაცი და საზოგადოება ერთხელ რა მსჯელობას დაჩვეულა იმას მისდევს, თუნდა უხეირო, უვარგისი იყოს ეს მსჯელობა; მისდევს იქამდის, ვიდრე სხვაგვარს მსჯელობას არ შეეჩვევა...“ „ცხოვრება ერისა უკეთესად წავა მაშინ, როცა ბრმად კი არ მისდევს მოწინავე წოდებას ერი, არამედ ესმის რისთვისაც მისდევს და სადაც მიდის, რისთვისაც ჰხარჯავს ძალღონესა და ხშირად სისხლსაცა ჰღვრის. ყოჩაღის, შეგნებულის ჯარისკაცისაგან შემდგარის მხედრობისათვის მაგრერიგად საჭირო არც კია ბელადი; ყველა იმათგანი ბელადია; მოკლულის ადგილას სხვა დგება ბელადად. ამისთანა მხედრობა ან გაწყდება და ან გაიმარჯვებს“**

(„წერილები მეგობართან“).

„ერს დააბერებს მხოლოდ მონება, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშულება მოესპობა“.

ზოგის აზრით, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი ორი რადიკალურად განსხვავებული ცნებაა და დაუშვებელია მათი რაიმე ნიშნით ერთმანეთთან ასოცირება.

კოსმოპოლიტიზმი რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიაა, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის“ დაწესების იდეას. კოსმოპოლიტიზმი ჩუმად, მალულად, მაგრამ მაინც ძირს უთხრის ერების თვითმყოფადობას, ყველაფერ ეროვნულს. მას და მის მიმდევრებს, ვითომ კოსმოპოლიტებს რომ უწოდებენ საკუთარ თავს, სურთ, შექმნან პლანეტაზე ერთი სახელმწიფო, ერთი კულტურა, ენა, ფასეულობები და კიდევ რაღაც ისეთი, რაც სხვა ერებს მარტო ცხოვრების საშუალებას არ მისცემს. ბიბლიის მიხედვით, სწორედ ეს იქნება ანტიქრისტეს მიერ შექმნილი სამეფო, რომელიც მოიცავს მთელს პლანეტას და ის გაანადგურებს ყველას და ყველაფერს, რაც მას და მის იდეებს წინ აღუდგება. ყველაფერი აღნიშნული ძირს უთხრის პატარა ერებს, რომელთაც სურთ, შეინარჩუნონ თვითმყოფადობა და თავისუფლება.

არსებობს მესამე პოზიციაც, ჯანსაღი აზრი – არა დაპირისპირება, არამედ დაპირისპირებულთა ერთიანობა. ქართული აზროვნების ისტორიაში ეს შეხედულება ერთ-ერთმა პირველმა ვაჟა-ფშაველამ გამოთქვა თავის უკვდავ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“: **„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“. „ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი“.**

საკუთარი ხალხისადმი მსახურება, ცხადია, ამასთანავე არის მსახურებაც კაცობრიობისადმი.

ისევ ვაჟას მოვუსმინოთ: **„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“.**

ასე დიდებულად და განსხვავებულად, ალბათ, მხოლოდ „შვლის ნუკრის ნაამბობის“, „ხმელი წიფელისა“ და „სტუმარ-მასპინძელის“ ავტორს შეეძლო გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მთელი კაცობრიობისადმი.

ჩვენ კი, მის შთამომავლებს, გულის ფიცარზე უნდა გვეწეროს მისი დანაბარები: **„ზღვაში ბევრი წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს“.**

„საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავსო“, გესმის, ნეოლიბერალო ქართველო — შენ, ვისაც მიგაჩნია, რომ ქართული ტრადიციის ნიშნით აღბეჭდილი ღირებულება დრომოჭმულია, „არაევროპულია“, ხოლო მისი მატარებელი და მხარდამჭერი — „ჩამორჩენილი“, ყველაფერი უცხოური კი კარგია, მისაბაძია და კულტურისა თუ ზოგადადამიანური ღირებულების ნიმუშია?

**...„არ ვარგა ერთურთის კილვა, უგზოდ სიტყვების რახუნი“.** სწორედ ჩვენზეა ზედგამოჭრილი ეს ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

**რუბრიკას უძღვება**
**დარეჯან ანდრიაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

## კონორ მაკგრეგორს ძალადობა დააბრალეს



მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ წლევანდელ იანვარში კონორ მაკგრეგორი დააკავა პოლიციამ ძალადობის ჩადენის ბრალდებით. კონორს გაესაუბრნენ და ოფიციალური ბრალდების წაუყენებლად უცებ გაათავისუფლეს. გაირკვა, რომ ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში ერთმა ქალმა მიმართა პოლიციას განცხადებით, რომ კონორმა იგი გააუპატიურა დუბლინის ერთ-ერთ სასტუმროში.

ეს ამბავი პრესაში უკვე გაშუქდა, მაგრამ მაშინ სპორტსმენის სახელი არ გაუმჟღავნებიათ იმ მოტივით, რომ მიმდინარეობდა გამოძიება. მარკგრეგორს ბრალი ვერ დაუმტკიცეს. გაურკვეველია, რატომ გამჟღავნდა ეს ამბავი ასე დაგვიანებით.

სპორტსმენის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს არ არის დაკავშირებული განცხადებასთან კარიერის დამთავრების შესახებ, რომელიც მან 26 მარტს გააკეთა.

სპორტსმენმა არ დაასახელა თავისი გადაწყვეტილების მიზეზები. ეს გადაწყვეტილება ფანებისთვის ფრიად მოულოდნელი იყო.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ყველაფერი პედერასტებს — მობილურ ტელეფონში ნეიტრალური ხმის ჩათვლით!



**ოღონდ მათ არ ეწყინოთ, ოღონდ ცივმა ნიავმა არ შეაწუხოს, ოღონდ კაცისა და ქალის განსხვავებულმა ხმებმა ნერვები არ მოუშალოს.**

დანიელი ტრანსგენდერები ხმის უფლებას მიიღებენ. უფრო ზუსტად, ექნებათ უფლება, თავიანთ „გაჯეტებში“ მოისმინონ ისეთი ხმა, რომელიც არ შეურაცხყოფს მათ გრძნობას, ხმა, რომელიც კაცისაა თუ ქალის, ვერავინ გაარკვევს.

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ლინგვისტმა **ანა იორგენსენმა** დანიის სამხარეო სააგენტო Virtue Nordic-ის დამმუშავებლებთან ერთად შექმნა გენდერულ-ნეიტრალური ხმა.

უნიკალური ხმის შესაქმნელად, რომელსაც უწოდეს Q, ავტორებმა 4,5 ათასი რესპონდენტისგან შემდგარ ფოკუს-ჯგუფთან იმუშავეს. მათ შესთავაზეს მოესმინათ ხმების ჩანაწერის რამდენიმე ვარიანტი, შემდეგ კი ეპასუხათ შეკითხვაზე — მამაკაცის ხმა იყო თუ ქალის. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეარჩიეს, ლინგვისტების აზრით, შესაფერი ხმა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის მიიღებენ ინკლუზიური მომავლისთვის მებრძოლები Q-ს თავიანთ მობილურებში ხმოვანი თანაშემწის როლში.

თუმცა რეკლამა უკვე ამუშავდა და პედერასტ-ტრანსგენდერებს აქვთ საშუალება, მოისმინონ ეს ხმა, რომელიც „საშუალო სქესის“ გულისხმად შეიცნობა.

# მშობლებმა გააპროტესტეს ლგბტ-გაკვეთილების შემოღება ბირმინჰემის სკოლაში




**გაკვეთილები, რომლებზეც ბირმინჰემის სკოლის მოსწავლეებს ერთი და იმავე სქესის პირების ურთიერთობაზე მოუთხრობდნენ, დროებით შეჩერებულია მშობლების პროტესტის გამო. სკოლის პერსონალს ხასიათი გაუფუჭდა — ჩვენ პროგრესულ იდეებს ვქადაგებთ, მშობლები კი გვეწინააღმდეგებიანო.**

მამათმავლობა თურმე პროგრესული მოვლენა ყოფილა, პედერასტიის წინააღმდეგ გალაშქრება კი — ობსკურანტიზმი, გაუნათლებლობა და რეგრესული საუკუნეების ტყვეობაში ჩარჩენა!

ისე ინერვიულეს პროგრესულმა პედაგოგებმა, რომ, როგორც სკოლის დირექტორი **ჰეიზელ პული** აცხადებს, წონაც კი დაიკლეს და ძილი გაუფრთხათ. ასეთი ფიზიკური და მორალური სტრესი გამოწვეული იყო იმ სკანდალით, რომელიც აგორდა პროგრამა „არანაირი აუტსაიდერობის“ გამო. ეს პროექტი 2014 წელს შეიმუშავა პარკფილდ კომპიუნიტის სკოლის დირექტორის მოადგილემ **ენდრიუ მოფატმა.** პროგრამა მიზნად ისახავდა ბავშვები გაეთვიცნობიერებინათ თანამედროვე საზოგადოებაში არსებული განსხვავებულობებში და მათთვის მისაღები გაეხადათ ლგბტ-ის თავისებურება.

ბავშვებს მოუთხრობდნენ ლგბტ-უმცირესობათა უფლებების შესახებ, ასწავლიდნენ, რა არის ჰომოფობია. სწორედ ჰომოფობიი ცდილობდნენ გაემართლებინათ მამათმავლებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება. და მეტი დამაჯერებლობისადმი ამ შეფარულ (ზოგჯერ კი აშკარა) მიზანს აზავებდნენ რასების, რელიგიების, სქესობრივი იდენტიფიკაციის, ინვალიდობის და სხვა საკითხებით.

ქალბატონ ჰეიზელის თქმით, მშობელთა აქტიურობის შედეგად შექმნილ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში იგი მთელი თავისი 27-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში პირველად აღმოჩნდა.

იგი თავს იმართლებს იმით, რომ პროგრამა „არანაირი აუტსაიდერობა“ ფარგლებში გაკვეთილებზე გამოიყენებდნენ ისეთ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც მოთხრობილი იყო ოჯახის ისტორია, ამ ოჯახებში იყო ორი დედა და მათი საერთო შვილი, ისინი „ყოველდღიური საქმიანობით იყვნენ დაკავებულები“. ბავშვებს განვუმარტავდით, რომ არსებობს „განსხვავებული ოჯახები“ და ისინი თანასწორუფლებიანია.

„ჩვენ არ ვუყვებოდით პატარა ბავშვებს ჰომოსექსუალი წყვილების შესახებ სექსუალური ურთიერთობის კუთხით, — აძლიერებს არგუმენტაციას ჰეიზერ პული, — ჩვენ მხოლოდ ვასწავლით, რომ არსებობს განსხვავებული ოჯახები, რომლებშიც შეიძლება იყოს ორი მამა ან ორი დედა“. და ასე პრიმიტიულად ცდილობს გვერდი აუაროს მთავარს — რის საფუძველზე და რატომ იქმნება ასეთი ოჯახები. როცა მოსწავლეებს მხოლოდ შედეგს განუმარტავენ (ასეთი განსხვავებული ოჯახები არსებობსო), ბუნებრივად იბადება შეკითხვა — რატომ, რის გამო იქმნება ასეთი განსხვავებულობა? ზნეობრივია თუ არა ამგვარი „ნაირფეროვნება“ და როგორ აფასებს სარწმუნოება (ნებისმიერი) ამას?

ელემენტარულია, რომ ეს შეკითხვები, უპირველეს ყოვლისა, მშობლებს უჩნდებათ და სწორედ ამიტომ შეიკრიბა 250 მშობელი სკოლის შენობასთან თავიანთი პროტესტის გამოსახატავად.

განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან მაჰმადიანთა თემის წარმომადგენლები, რომლებმაც რამდენჯერმე გამართეს საპროტესტო მიტინგები. ისინი ამტკიცებენ, რომ თემა არ შეეფარდება ბავშვების ასაკს და მუსლიმურ ფასეულობებთან შეუთავსებელია.

აღნიშნული გაკვეთილები დროებით შეწყვიტეს მშობლებთან მასწავლებლების კონსულტაციების ჩასატარებლად.

ბირმინჰემის სკოლაში შექმნილი ვითარების შესასწავლად საქმეში ჩაერთო განათლების სტანდარტების კონტროლის ბრიტანეთის სამმართველო, რომელიც სრულად დაკმაყოფილდა სკოლის პედაგოგების ზედაპირული და თავის გასამართლებელი არგუმენტებით და დაასკვნა, რომ აღნიშნულ პროგრამაში არ გაკეთებულა გადაჭარბებული აქცენტები ლგბტ საკითხებზე და რომ ეს გაკვეთილები მოსწავლეთა ასაკს სრულად შეეფარდებოდა.

სკოლის დირექტორმა დევიდ უილიამსმა გაიხარა — კომისიის ანგარიში შესანიშნავი საჩუქარია მოსწავლეებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაცო. მთავარმა ინსპექტორმა **პიტერ ჰამფრისმა** მოხსენებაში ჩაწერა, რომ „მშობელთა ფრიად მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან აქტიური ნაწილი ეწინააღმდეგება და მიუღებლად მიიჩნევს სკოლის პრაქტიკასა და შეხედულებას ამ საკითხში“. „მშობელთა ეს ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის თანამშრომლები საჭირო ყურადღებას არ იჩენენ მათი პოზიციის მიმართ. ეს ჯგუფი თვლის, რომ ლგბტ საკითხების შესწავლას გაუმართლებლად დიდი დრო ეთმობა, ხოლო სწავლება არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს. მაგრამ ინსპექტორებმა ამის დამადასტურებელი ვერაფერი ნახეს“, — განაცხადა ჰამფრისმა.

მაგრამ ასეთმა დასკვნამ აქტივისტები ვერ დააკმაყოფილა. **მაქსუდ ჰასანმა,** რომლის ორი შვილი ამ სკოლაში სწავლობს, კომისიის ანგარიშს მანკიერი პრაქტიკის გამართლების ამაო მცდელობა უწოდა.

„თუ ყველაფერი კარგად არის, მაშინ, რატომ გადაიყვანეს ამ სკოლიდან 600 ბავშვი იმის გამო, რასაც აქ ასწავლიან? — განაცხადა მან, — მაშ, რატომ გაჩნდა პეტიცია, რომელსაც 500-ზე მეტმა ადამიანმა ხელი მოაწერა? რატომაა, რომ უკვე ხუთი თუ ექვსი კვირაა, რაც მშობლები პროტესტს გამოთქვამენ?“

მშობელთა თქმით, მთავარი პრობლემა ამგვარ საკითხებს ამ ასაკის ბავშვებს რომ ასწავლიან.






თავის მხრივ, ზემოთ ნახსენებმა მაკონტროლებელმა სამმართველომ სკოლის ხელმძღვანელობას, რომელიც თავის გამორჩეული წარმატებებით ტრაბახობს, დაამყაროს მშობლებთან ისეთი ურთიერთობა, რომ ისინი უკეთ ჩაწვდნენ სწავლების პროცესს. დასავლეთ მიდლენდის პოლიცია იუწყება, რომ მისი თანამშრომლები დაესწრებიან შეხვედრებს, რომელთა გამართვას გეგმავს სკოლის ხელმძღვანელობა მშვიდობიანობის დარღვევის აღსაკვეთად.



**გიორგი გოლუბენკო ცნობილი მწერალია, იუმორისტი, სცენარისტი და დრამატურგი. ოდესის საპატიო მოქალაქეა. მკითხველთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მისმა წიგნმა „ოდესური დეკამერონი“, ერთი ნოველის თარგმანს ამ წიგნიდან ვთავაზობთ ჩვენს განათლებულ მკითხველს. წაიკითხეთ, გაგამხიარულებთ.**

სახალისოდ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გიორგი გოლუბენკო

# ოდესური დეკამერონი

**ოდესა. დიდი შადრევანი. ადრე შემოდგომა, როცა „იზაბელასა“ და „ლიდიას“ მტევნები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ამშვენებდა ოდესის ძველი აგარაკების ფანჩატურებს, მაჭრად დაიწურა და ამ ფანჩატურების მაგიდებს მიუსხდნენ ნამდვილი ოდესელები. ცოტანიღა დარჩნენ, ოდესის ძველ აგარაკებზე ოდნავ მეტნი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არიან. და სწორედ მაშინ, როცა ისინი გადაყლურწავენ ღვთიურ სასმელს და ერთმანეთისთვის მორიგი ამბის მოსაყოლად განეწყობიან, ზუსტად მაშინ უნდა აღმოჩნდე მათ გვერდით.**

— იუროჩკა, შე მენტის სიფათიანო, შენა, — შეევედრებიან თანამეინახენი ოდესის სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს რისხვას, პოლკოვნიკ სემისტაკაშინს, — გაგვახარე! მოგვიყევი, თუნდაც კიდევ ერთხელ, როგორ ჩამოგაქვეითეს რიგითად!

— არ ღირს, — იპრანჭება იურა, — მე ხომ უკვე მოგიყევით... მით უფრო, რომ ეს იყო ჩვენი გონებაჩლუნგი გენერლის საპირველაპრილო ხუმრობა. სხვა რამეს მოგიყვებით, აჯობებს...

ცოტა ხანს დააყოვნებს და დაიწყებს ასე:

— ჩვენი შთამომავლები მეცოდებიან. მოატყუეს და ცხოვრების ორიენტირებიც კი წაართვეს. რატომღაც შთააგონეს, რომ ჩვენი ქალაქის ისტორიაში ყველაზე დიდი ქურდი იყო მიშკა იაპონჩიკი, პოეტებისა და კომპოზიტორების მიერ ხოტბაშესხმული. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის! ყველაზე თავხედური თავდასხმა ოდესაში მას არ განუხორციელებია. ეს გააკეთა კოლია რეპანიმ თავის ბრიგადასთან ერთად 1991 წელს. ივნისის იმ დილით თანამებრძოლებთან ერთად ქალაქში მისეირნობდა მაგარი ჯიპით, რომელიც ნიკოლაევიდან ვიღაც შემოფრენილისგან ჰქონდა ნაყიდი... ორ რუბლად და ოცდაათ კაპიკად. და უცებ, ზედ ქალაქის ცენტრში უბრძანა შოფერს, დაემუხრუჭებინა.

— ეს რა ქოხმახი დაუყუდებიათ აქ, — დაინტერესდა კოლია, — სინაგოგას გვერდით რომ უდგას, მე კი სახეში შემომცქერის?! შეხედე, რა მაგარია... უწინ რაღაც არ შემინიშნავს...

— ამ ქოხმახს, უკვე ნახევარი წელიწადია, ვმწყემსავ, — უპასუხა შოფერმა ლევა მარციპანმა, — აშკარაა, რომ ვიღაც მაგრები იშენებენ. კერძოდ ვინ — უცნობია. დღეს კი, ხედავ, ხარაჩოები მოუხსნიათ, ღობეც მოურღვევიათ, სახლდებიან.

— ტკბილები არიან, — განსაზღვრა კოლიამ, — აბა, წავიდეთ, გავიცნოთ საქმიანი კაცები.

შეერივნენ მუშებს, რომლებსაც ავეჯი შეჰქონდათ და მეორე სართულზე, პირველსავე კაბინეტში შევიდნენ. იქ პატარა მაგიდას მიჯდომოდა მორიდებულად ჩაცმული ახალგაზრდა და ეუფლებოდა იმ დროისთვის არნახულ უცხოურ მოწყობილობას სახელწოდებით „ტელეფონი-ფაქსი“.

— აი, ჩვენც გეახლეთ! — მხიარულად განაცხადა კოლია რეპანიმ და თავისუფლად მოკალათდა მაგიდაზე, უშუალოდ იმ ხელსაწყო-მოწყობილობის გვერდით, — რაო, საქმიანებო, გაიხსენით, მაშასადამე... დაიწყებთ აქ კომბოსტოს ფურცლების (ე.ი. ფულის) ხარშვას და შემდეგ საზღვარს იქით, ოფშორებში გაზიდვას... საქმე, რა თქმა უნდა, კარგია. ხალხი მადლობას გეტყვით... მაგრამ ვინ უნდა „დაგკრიშოთ“?

— ჩვენ უკვე... ერთი კვირის წინათ გადაგვხურეს, — გაიკვირვა ახალგაზრდამ, — კანალიზაციაც კი გაიყვანეს... შელამაზებაღა აკლია...

— რაო? — ჩაეკითხა რეპანი.

— რადა, მოლდაველებმა სახურავიც დაგვადგეს და კანალიზაციაც გაგვიყვანეს. ახლა შეალამაზებენ. შეღებავენ... შეათეთრებენ...

— შენ რა, საქმის კაცო, სუფთა ბითური ხარ? — ანერვიულდა კოლია რეპანი, — შენ რა, მართლა არ იცი, რას ნიშნავს „კრიშა“? ის, რომელზეც შენ ბაზრობ, წვიმისგან თუ დაგიფარავთ. შეიძლება, არც დაგიფაროთ, რადგან მოლდაველების გადახურულია. მე შენ სხვა „კრიშაზე“ გეჩიჩინები! რომელიც თქვენ ყველა გაიძვერისგან დაგიცავთ — შემოფრენილებისგან და თავგასულებისგან! და ეს „კრიშა“ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ ვიყოთ. მე ვარ კოლია რეპანი, — ამაყად წარუდგა იგი, — ოთხჯერ გავიქეცი ბუტირკიდან. მენტები დღემდე მეძებენ. ის — ლევა მარციპანია! რვაჯერ თავს დაესხა ინკასატორებს, აქედან შვიდი მისი სრული გამარჯვებით დამთავრდა და მხოლოდ ერთი, უკანასკნელი, — ფრედ...

— ეს როგორ? — გაუკვირდა ოფისის თანამშრომელს.

— ნახევარი ფული — მას, ნახევარი — გაქურდულ ინკასატორებს... ნაკლებზე არ დათანხმდნენ... დასასრულ, ჩვენი დამკვრელი ძალა: ძმები მედვედჩუკები — ვასილი და სტეპანიდა. ნუ გაეჭვებს, რომ ქალია. „გაჭენებულ ცხენს გააჩერებს...“ არ გისწავლია სკოლაში?! ზუსტად მასზეა დაწერილი. ავიღოთ მაგალითად იპოდრომის გაქურდვის საქმე... მილიონ დოლარად შეფასებული არაბული ბედაური დოღის დროს ერთი ხელით დაამუხრუჭა — მას მერე ალარავის უნახავს! მოკლედ, გადაუხდი ჩვენს ბრიგადას ხუთ ათას დოლარს ყოველთვიურად და არც ერთი ბანდიტი არ გაგეკარებათ! თავად დაიწყებთ ძებნას — ვერ იპოვით.



„როცა ისინი გადაყლურწავენ ღვთიურ სასმელს და ერთმანეთისთვის მორიგი ამბის მოსაყოლად განეწყობიან, ზუსტად მაშინ უნდა აღმოჩნდე მათ გვერდით“

**ფონტანკის აგარაკი ჯუნგლების წყალსატევივითაა. აქ მოდიან მხეცები, მაჭარს სვამენ და არავინ არავის ხელს არ ახლებს. ერთმანეთის ჭამას შემდეგ ვიწყებთ, როცა აქედან შინ მივდივართ, ვიწყებთ შრომას და კვლავ ადამიანებად გარდავიქმნებით**

— საერთოდ ჩვენს კანტორას საპირისპირო ამოცანები აქვს, — შენიშნა ახალგაზრდამ.

— ბევრს იბაზრებ, ხუთს კი არა, ათ ათასს გადაიხდი! — მიაწვა ტემპერამენტიანი მარციპანი.

— აბა, დააყე! — დააშოშმინა მარციპანი რეპანიმ, — რას ნიშნავს, რომ თქვენ საპირისპირო ამოცანები გაქვთ? რაღაც ვერ გავიგე... რა კანტორა გაქვთ ასეთი?

— ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საქალაქო განყოფილება... შენობა გვაქვს ახალი და შესასვლელთან ფირნიშის გაკვრა ვერ მოვასწარით...

— დანარჩენი გასაგებია! — ალაპარაკდა ყველა, ვინც პოლკოვნიკ სემისტაკაშინის საუბარს უსმენდა, — შემოიჭრნენ ოპერმუშაკები, ბანდიტები დააპატიმრეს. ასეა?

— მთლად ასე არ იყო, — მორცხვად დახარა თვალები მთხრობელმა, — ხომ გითხარით, იყო 1991 წელი... ჩვენი განყოფილება ფეხზე წამოდგომას იწყებდა. ასე რომ, კოლია რეპანისა და მის ბრიგადას გარკვეულ ხანს ფულს ვუხდიდით... მაგრამ შემდეგ, როგორც ამბობენ, ფრთები შევისხით და ახლა ჩვენ „ვკრიშავთ“, ვისაც გვსურს.

— კოლიას რაღა დაემართა? — დაინტერესდა სახლის პატრონი და ჭიქები მაჭრით შეავსო.

— კოლიაზე საერთაშორისო ძებნა გამოვაცხადეთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა, — მე პირადად ვხელმძღვანელობდი მის დაჭერას. იგი კი, თითქოს ცამ ჩაყლაპა ან მიწამ უყო პირი, არსად ჩანს ნამუსგარეცხილი.

ისეთი ვინ არის ეს თქვენი რეპანი? — იკითხა მაგიდას მიმსხდართა შორის ერთ-ერთმა, — არაფერი მსმენია ოდესაში მაგნაირზე.

— გეყო, რა, — ხელი ჩაიქნია მთხრობელმა, — რეპანის შესახებ არაფერი გაუგია! წარმოუდგენელია. მთელი ქალაქი იცნობდა. ხუჭუჭთმიანია, ნაიარავებით სახეზე. რაო, არასოდეს გინახავს? ა, ბატონო, აგერ მოდის, — მოულოდნელად დაამთავრა პოლკოვნიკმა და აგარაკის ღობის იქით გაახედა მსმენელები, — ხედავთ? ცოლითა და შვილით. პლიაჟზე მიდიან უთუოდ, გასარუჯად. გეუბნებით: მოუხელთებელია! ჩვენ ინტერპოლიც კი ჩავრთეთ. უშედეგოდ... ე-ე-ე! ნიკოლაი კოსტოვიჩ! — დაუძახა პოლკოვნიკმა კაცს, რომელიც ღობის გასწვრივ მიდიოდა, — ნუ გაანაწყენებ კომპანიას! როგორც ამბობენ, „მობრძანდით ორკესტრში“, დააჭაშნიკეთ ღვინო!

კოლია ცოლთან და ბიჭთან ერთად ეზოში შევიდა.

— იმედია, აქ არ აპირებთ მის დაპატიმრებას? — მიმართა პოლკოვნიკს აგარაკის პატრონმა.

— თქვენ გგონიათ, რომ ველური ვარ? — აღშფოთდა პოლკოვნიკი, — ეგებ, ოდესის ჩვეულებების არაფერი მესმის?! ფონტანკის აგარაკი ჯუნგლების წყალსატევივითაა. აქ მოდიან მხეცები, მაჭარს სვამენ და არავინ არავის ხელს არ ახლებს. ერთმანეთის ჭამას შემდეგ ვიწყებთ, როცა აქედან შინ მივდივართ, ვიწყებთ შრომას და კვლავ ადამიანებად გარდავიქმნებით. გესმის, კოლია გენაცვალე, — მიმართავს პოლკოვნიკი წარმოსადეგ მამაკაცს, რომლის სახესაც ნაჭრილობები გადასერავდა და რომელიც მაგიდას მიუახლოვდა, — სიმპათიური ვაჟი გყავთ თქვენ და ფიმას... დიდი ხნის წინათ მინდოდა მეკითხა, რატომაა თქვენი ჯიშისას რომ არ ჰგავს? თქვენ და ფიმა — ორივენი შავთმიანები ხართ, ცხვირები კეხიანები გაქვთ. ის კი ქერათმიანი და ცისფერთვალებაა, ცხვირი — კარტოფილივით... გამოხუხული ფინელია, ჩემმა მზემ...

— ო, — მოულოდნელად გაუბრწყინდა სახე კოლიას და თავის ცოლს მიმართა — მე რას გეუბნებოდი? რა თქმა უნდა, სუფთა ფინელია! ის კი, იცი, რას მეუბნება: რას ბჟუტურობ, ნიკოლაი? რა უგავს ფინელს? ახლოდან დააკვირდი... ზედგამოჭრილი შვედია“.

— შვედია და ეგ არი! — დაუდასტურა ფრიდამ, — ნუ მეკამათები, ნიკოლაშა!

— მე კი შენ გეუბნები, ფიმოჩკა, ფინელია!

კამპანია გაოცებული უსმენდა უცნაურ კამათს მეუღლეებისას, რომელთაც აშკარად უყვარდათ ერთმანეთი.

— თქვენს ოჯახში საიდან აღმოჩნდა? — ვერ მოითმინა, ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ.

— ამის თქმა ძნელია, — დაფიქრებით თქვა კოლიამ, — ქალაქი საპორტოა... შენ კი, შვედოფინელო ჩვენო, — მიმართა თავის ნაშიერს რეპანიმ, — წადი და ქვიშაში ითამაშე, მე აქ ადამიანებს ამბავს მოვუყვები... ესე იგი, რა იყო და რა მოხდა? — განაგრძო, ცოლთან ერთად მიუჯდა მაგიდას და თან ვარდისფერი, ქაფქაფა „იზაბელათი“ შეავსო ბოკალები, — მახსოვს, ჩვენი ბიჭუნა სამშობიარო სახლიდან რომ გამოგვყავდა, მე და ჩემს ცოლს ბავშვივით გვიხაროდა. ჰერკულესი იყო! ცოცხალი წონა — ოთხი კილოგრამი! ნახევარი წლისამ გაიარა! შვიდი თვისამ სიფათში ისეთი მთხლიშა, რომ ოთხი კბილი გამიხდა ჩასასმელი! ხარობდა გული! მაგრამ წლი-ნახევრის რომ გახდა, ვხედავთ, მართლაც, როგორც პოლკოვნიკმა თქვა, ჩვენს პატარას გარეგნობა ჩვენი ოჯახისგან განსხვავებული, იმქვეყნიური უყალიბდებოდა. ჩემს ფიმოჩკაში, რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ. დავვეჭვდი სამშობიარო სახლზე! მთავარ ექიმს ყელში ვეცი: — ეგებ, ვეუბნები, შენ აქ რაღაც აგერია? — როგორ გეკადრებათ, — ხრიალებს მთავარი ექიმი, — ნიკოლაი კოსტოვიჩ, მიკვირს, ასეთი აზრი როგორ გაგიჩნდათ! ექიმი კედელს მივაყუდე. გამოტყდი, ვეუბნები, მშობიარობის დამხმარე უმაქნისო! ალაპარაკდა! მეუბნება: — როგორც კი თქვენი მეუღლე ჩვენთან მოიყვანეს, ატყდა ზარის რეკვა — ყოველ წუთს. თავიდან თქვენმა ამხანაგმა ბანდიტებმა, ბოდიშს გიხდით, შემდეგ მილიციიდან დარეკეს, შემდეგ პროკურატურიდან, შემდეგ... თქმისაც კი მეშინია, რომელიღაც მაღალი ინსტანციიდან... და ყველა გვაშინებდა, გვემუქრებოდა სერიოზული უსიამოვნებებით: — თქვენო, — ამბობდნენ, — აზრზე ხართ თუ არა, რომ თქვენთან თვით კოლია რეპანის მეუღლე აპირებს, მემკვიდრე მოუვლინოს. ასე რომ, ფრთხილად იყავით! ყველაფერი უმაღლესი კლასით რომ გაკეთდეს! მოკლედ, იმ ღამეს შვიდი ბიჭი დაიბადა... კოლეგებმა მოვითათბირეთ და მოგეცით ყველაზე საუკეთესო... რა უნდა მექნა? — კოლიამ თვალი მოავლო პატიოსან კომპანიას, რომელიც ამ ამბავმა ცოტა გამოაშტერა, — ხომ არ მოვკლავდი ამ შეშინებულ იდიოტს... მით უფრო, რომ შევეჩვიეთ ამ ბიჭს. შეგვიყვარდა, როგორც საკუთარი შვილი.

მოკლედ, მაგარი ბიჭი გამოგვივიდა, — განაგრძო კოლიამ, — მერე რა ჭკვიანია! ექვსნახევარი წლისა მესამე კლასში გადავიდა! განსაკუთრებით უცხო ენები ეხერხება. ერთი ეგაა, რომ რუსულში ეჭედება. შვილიკო! აბა, მოდი აქ და სადღეგრძელო უთხარი ადამიანებს.

— გისურვებთ, რათა ყველა კარგა გამოიძინოთ! — წარმოთქვა ბიჭუნამ და ასწია ბოკალი, რომელიც „იზაბელათი“ იყო სავსე.

— მას უნდოდა ეთქვა, გისურვებთ კარგად დაისვენოთო, — გადათარგმნა კოლიამ.

მეინახეებმა სუფრის თავზე ბოკალები ენთუზიაზმით მიაჭახუნეს.

თარგმნა
**არმაზ სანებლიძემ**

მეცნიერების სამყაროში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიმდინარე წლის 10 აპრილს მეცნიერებმა პირველად გამოაქვეყნეს შავი ხვრელის — შორეულ გალაქტიკა MESSIER87-ში ზემასიური კოლაფსარის — ფოტოგრაფია. „ეს არის არსებულთა შორის ყველაზე მასიური შავი ხვრელი, აბსოლუტური მონსტრი, სამყაროს ჩემპიონი ზემძიმე წონაში“, — განაცხადა ნეიმეგენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის პროფესორმა ჰეინო ფალკემ ამ სიახლისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.**

# 5 გლობალური საიდუმლო, რომლებზეც მეცნიერებს ჯერჯერობით პასუხი არ აქვთ

**ადამიანები ყოველწლიურად ამტკიცებენ ახალ თეორიებს და ქმნიან ისეთ ტექნოლოგიებს, რომლებსაც რამდენიმე წლის წინათ ფანტასტიკად მივიჩნევდით, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებაში არის პროცესები, რომელთა აღმოჩენა-გარკვევა უფრო მეტ კითხვებს გააჩენს.**



## რა არის შავი ხვრელის ცენტრში?

მიმდინარე წლის 10 აპრილს მეცნიერებმა პირველად გამოაქვეყნეს შავი ხვრელის — შორეულ გალაქტიკა Messier 87-ში ზემასიური კოლაფსარის — ფოტოგრაფია. **„ეს არის არსებულთა შორის ყველაზე მასიური შავი ხვრელი, აბსოლუტური მონსტრი, სამყაროს ჩემპიონი ზემძიმე წონაში“,** — განაცხადა ნეიმეგენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის პროფესორმა **ჰეინო ფალკემ** ამ სიახლისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

შავი ხვრელი — ეს არის სივრცისა და დროის ნაწილი, რომლის გრავიტაციული მიზიდულობა ისეთი ძლიერია, რომ მას თავს ვერ დააღწევს თვით სინათლის სიჩქარით მოძრავი ობიექტები, მათ შორის, კვანტები.

შავი ხვრელები შესწავლის საყვარელი ობიექტებია ასტრონომებისთვის. ზემასიურ შავ ხვრელზე დაკვირვების შედეგად მეცნიერებმა ბევრ კითხვაზე მიიღეს პასუხი, მაგრამ მათ დღემდე არ აქვთ წარმოდგენა, რა არის შავი ხვრელის ცენტრში. ზოგიერთი ასტროფიზიკოსის აზრით, იქ შეიძლება იყოს „სინგულარობა“ — წერტილი უსასრულო სიმკვრივისა, რომელშიც მასა კონცენტრირებულია უსასრულოდ მცირე სივრცეში. ეს შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ შავი ხვრელები შთანთქავენ მატერიას და თვით გალაქტიკებსაც კი.



## რა არის ბნელი ენერგია და ბნელი მატერია?

სამყაროში ბევრია საიდუმლო, რომლებიც ადამიანისთვის ჯერჯერობით აუხსნელია, რაც უამრავ კითხვას აჩენს. რამდენი წლისაა სამყარო? აქვს თუ არა კოსმოსურ სივრცეს დასაწყისი და დასასრული? კიდევ ერთი კითხვა, უკვე წლებია, აწვალებს ასტროფიზიკოსებს: **რატომ განაგრძობს სამყარო გაფართოებას, კოსმოსური გრავიტაციის ძალა წინ ხომ უნდა აღუდგეს ამას?** აქედან გამომდინარე, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ არსებობს რაღაც უხილავი „აგენტი“, რომელიც გაცილებით ძლიერია მიზიდულობის ძალაზე. ამ მოვლენას უწოდეს ბნელი ენერგია. საზოგადოდ, ტერმინი ბნელი ენერგია — ეს არის რაღაც კოსმოსური მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს თვით სამყაროს განუყოფელ ნაწილს, რაც უფრო ფართოვდება სივრცე, მით მეტი ბნელი ენერგია წარმოიქმნება და პირიქით.

თუ სამყაროში არსებობს უცნობი ენერგია, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ არსებობს ასეთივე მატერიაც. მეცნიერთა შეფასებით, სამყაროს 84% არ ასხივებს და არ შთანთქავს სინათლეს. შესაბამისად, ეს სივრცე რაღაცით უნდა შეივსოს. ამ მოვლენას დაარქვეს ბნელი მატერია. ჯერჯერობით არ არსებობს ხელსაწყო, რომელიც შეძლებდა ბნელი მატერიის იდენტიფიცირებას. ცხადია, რომ ეს მოვლენა არსებობს, მაგრამ რა არის ეს კონკრეტულად და სად ვეძებოთ, ჯერჯერობით გამოცანად რჩება.





## არსებობს თუ არა პარალელური სამყაროები?

ფარდობითობის თეორიის თანახმად, სამყაროს აქვს 3 სივრცითი განზომილება და ერთი — დროითი. ამ თეორიის ფარგლებში სამყაროში ოთხივე განზომილება ორგანულად არის ურთიერთდაკავშირებული და მდორედ გადადის ერთმანეთში. მაგრამ, თუ სივრცობრივ-დროითი კონტინუუმი (ფიზიკური მოდელი, რომელიც ავსებს სივრცეს თანაბარი დროითი განზომილებებით) სინამდვილეში არის არა „ციკლური“, არამედ „ბრტყელი“, ეს ნიშნავს, რომ სამყაროს ჩამოყალიბებაში დრო არანაირ როლს არ თამაშობს და ყველა მოვლენა უსასრულოა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი სამყარო არის მხოლოდ ნაწილი მულტისამყაროსი, რომელშიც არსებობს პარალელური სამყაროები.



## შეიძლება თუ არა რამე მოძრაობდეს სინათლის სიჩქარეზე სწრაფად?

მას შემდეგ, რაც აინშტაინმა აღმოაჩინა თავისი ლეგენდარული ფარდობითობის თეორია, საკითხი სამყაროში მაქსიმალური შესაძლო სიჩქარის შესახებ, თითქოს სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო. თეორიის თანახმად, ობიექტი სინათლის სიჩქარით რომ მოძრაობდეს, უნდა ჰქონდეს მაქსიმალური ენერგია, რომელიც აქვს კოსმოსურ სხივებს. სხვა მხრივ, თვით კოსმოსური სხივებიც აუცილებლად არ მოძრაობენ სინათლის სიჩქარით. სიჩქარის შეზღუდვა მაქსიმალურ სიდიდემდე, აგრეთვე, შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ჩვენ აქამდე ვერ გავედით კონტაქტზე უცხო ცივილიზაციებთან. თუ სხვა გალაქტიკებში სიჩქარე არ არის შეზღუდული დროით? სინათლის სიჩქარეზე დიდი სიჩქარე რომ არსებობდეს, ამას შეუძლია დაანგრიოს კაზუალობა (თეორია იმის შესახებ, რომ სამყაროში გაბატონებულია შემთხვევითობა, რომელიც განზოგადებას არ ექვემდებარება) — დამოკიდებულება მოვლენის მიზეზებსა და შედეგს შორის, და დროში მოგზაურობა შესაძლებელი იქნებოდა.



## არსებობს თუ არა ერთიანი თეორია

XX საუკუნეში აღმოაჩინეს 2 მასშტაბური თეორია, რომლებმაც შეცვალა წარმოდგენა ბევრ ფიზიკურ მოვლენაზე. მათგან ერთი — კვანტური მექანიკის თეორია — დაწვრილებით აღწერს უმცირესი განუყოფელი ნაწილაკების ურთიერთქმედებას; მეორე — აინშტაინის ფარდობითობის თეორია — ფიზიკურ დონეზე ხსნის ისეთ მასშტაბურ მოვლენას, როგორიც არის გალაქტიკების ჩამოყალიბება. ორივე თეორია ჯერჯერობით სარწმუნოა, მაგრამ არის ერთი პრობლემა — ისინი ერთმანეთთან თავსებადი არ არის. რატომ? მეცნიერები ამას აქამდე ვერ მიხვდნენ და ცდილობენ, იპოვონ ერთიანი, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ყველაფრის თეორია. ჯერჯერობით ერთადერთ გარღვევად ამ მიმართულებით შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. სიმების თეორია, რომელმაც შეიძლება ახსნას ურთიერთკავშირი ფარდობითობის თეორიასა და კვანტური მექანიკის თეორიას შორის, მაგრამ ურთიერთკავშირი ვერ დამტკიცდა ექსპერიმენტებით, ამიტომ ერთიანი თეორიის შექმნის საკითხი კვლავ რჩება დღის წესრიგში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



**XX საუკუნეში აღმოჩენილი იქნა 2 მასშტაბური თეორია, რომლებმაც შეცვალა წარმოდგენა ბევრ ფიზიკურ მოვლენაზე. მათგან ერთი — კვანტური მექანიკის თეორია — დაწვრილებით აღწერს უმცირესი განუყოფელი ნაწილაკების ურთიერთქმედებას; მეორე — აინშტაინის ფარდობითობის თეორია — ფიზიკურ დონეზე ხსნის ისეთ მასშტაბურ მოვლენას, როგორიც არის გალაქტიკების ჩამოყალიბება. ორივე თეორია ჯერჯერობით სარწმუნოა, მაგრამ არის ერთი პრობლემა — ისინი ერთმანეთთან თავსებადი არ არის**

**მატჩის შემდეგ კოულმა მანჩესტერელთა გასახდელში შეიხედა და მეგობარ ბექჰემს გაესაუბრა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ალექს ფერგიუსონს, რომელმაც გუნდის წინაშე უსაყვედურა ბექჰემს და აღნიშნა, რომ კოულის ფონზე ბექჰემი გოგონასავით გამოიყურებოდა, არ დააყოვნა ბექჰემის პასუხმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ფერგიუსონი გოგონას ჰგავდა არსენ ვენგერის („არსენალის“ იმჟამინდელი მწვრთნელი) ფონზე. ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც შოტლანდიელი მწვრთნელის მოთმინების ფიალა აავსო, მან ხელი სტაცა ბუცს და ბექჰემს ესროლა. ბუცმა ბექჰემს წარბი დაუზიანა.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონფლიქტები ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის

**ამა წლის თებერვლის ბოლოს გაიმართა ინგლისის საფეხბურთო ლიგის ფინალური მატჩი, რომელშიც ლონდონის „ჩელსიმ“ პენალტების სერიაში დაუთმო ტიტული „მანჩესტერ სიტის“. იმ მატჩში იყო არაორდინარული ეპიზოდი, რომელმაც გულშემატკივართა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. „ჩელსის“ გოლკიპერმა კეპა არისაბალაგამ, გუნდის მწვრთნელ, მაურიციო სარის მოთხოვნის მიუხედავად, უარი განაცხადა მოედნიდან გასვლასა და კარში ადგილის დათმობაზე სათადარიგო მეკარე ვილი კაბალიეროსთვის. კეპას მატჩის მსვლელობისას ორჯერ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება ექიმებმა და „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, პენალტების სერიის წინ შეეცვალა ის, მაგრამ კეპამ მოედანი არ დატოვა და ამით ძალიან შეარყია მაურიციო სარის ავტორიტეტი... გთავაზობთ კონფლიქტური სიტუაციების ჩამონათვალს, რომლებიც წარმოიქმნა ცნობილ ფეხბურთელებსა და მათ მწვრთნელებს შორის.**

## ბალოტელის ჩხუბიდან ბექჰემისთვის წარბის გახეთქვამდე


მარიო ბალოტელი და რობერტო მანჩინი


ნიკოლა ანელკა და რაიმონ დომენიკი

### ევრა, ანელკა და დომენიკი

2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისთვის კრახით დასრულდა. იმ მუნდიალზე „სამფეროვნებმა“ ბოლო ადგილი დაიკავეს ჯგუფში და სკანდალით გაემგზავრნენ სამშობლოში სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკიდან.

საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრებების მატჩის შესვენებაზე მწვავე კონფლიქტი მოხდა მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის. მწვრთნელმა **რაიმონ დომენიკმა** გასახდელში უკმაყოფილება გამოთქვა **ნიკოლა ანელკას** მიმართ, რომელიც დაცვაში თამაშს თავს არიდებდა. მოთამაშემ მწვრთნელს უხეშად უპასუხა: „ეშმაკსაც წაუღიხარ, ბინძურო ძუკნის შვილო!“ დომენიკმა არ მოითმინა მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება და ანელკა ნაკრებიდან გააგდო. მორიგი სკანდალი მეორე დღეს მოხდა. ყველაფერი დაიწყო ვარჯიშზე **ევრასა** და ფიზიკური მომზადების მწვრთნელს შორის დაპირისპირებით, რომელთა გაშველებაც მთავარმა მწვრთნელმა სცადა. ამის შემდეგ ყველა ფეხბურთელმა მიატოვა ვარჯიში. კონფლიქტში ჩარევა მოუწია საფრანგეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზის.** შედეგად, ანელკამ დაასრულა კარიერა ნაკრებში, ევრამ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, დომენიკი კი პოსტიდან გადადგა.

### პოლ პოგბა და ჟოზე მოურინიო

პოლ პოგბასა და ჟოზე მოურინიოს კონფლიქტი სათავეს იღებს მიმდინარე სეზონში მანჩესტერში ადგილობრივი „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ვულვერჰემპტონის“ შეხვედრიდან. მასპინძლებმა ვერ შეძლეს „მგლების“ დამარცხება, მატჩის შემდეგ კი ფრანგმა ჰავბეკმა პოგბამ დაიჩივლა, რომ მანჩესტერელების შეტევითი სტრატეგია კარგი არ იყო. ამ სიტყვებმა განარისხა მოურინიო, რომელმაც მომდევნო მატჩში „დერბი ქაუნთის“ წინააღმდეგ (ინგლისის თასის გათამაშებაში) პოგბა საერთოდ არ შეიყვანა განაცხადში და ვიცე-კაპიტნობაც ჩამოართვა. მეორე დღეს მსოფლიო მოიარა ვარჯიშზე მოურინიოსა და პოგბას საუბარმა. ჩანაწერში ჩანს, რომ პოგბა მირბის სამწვრთნელო შტაბის წევრებთან მისასალმებლად, შემდეგ კი მოურინიო ეუბნება ფრაზას, რომელმაც ფეხბურთელი აღაშფოთა.

2018 წლის დეკემბერში „ლივერპულთან“ განცდილი მარცხის (1:3) შემდეგ მოურინიო გადააყენეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან.

### მარიო ბალოტელი და რობერტო მანჩინი

მწვრთნელ რობერტო მანჩინისა და ფეხბურთელ მარიო ბალოტელს შორის ცნობილი ჩხუბი 2019 წელს მოხდა. „მანჩესტერ სიტის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე მარიომ უხეშად ითამაშა სკოტ სინკლერის წინააღმდეგ, ამის გამო „ქალაქელთა“ გუნდის გაბრაზებული თავკაცი ბალოტელის მივარდა და მაისურში ხელი სტაცა. არავინ იცის, რით დასრულდებოდა ეს ინციდენტი, მთავარი მწვრთნელის ასისტენტებს რომ არ გაეშვილებინათ მოჩხუბრები. ბალოტელი გასახდელისკენ გაემართა და 10 წუთის შემდეგ დატოვა საწვრთნელი ბაზა. ეს ინციდენტი ბალოტელის კარიერის დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა „მანჩესტერ სიტიში“.

ის მალე გაყიდეს მილანში.

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ხოსეპ გვარდიოლა

2009 წელს „ბარსელონამ“ მილანის „ინტერისგან“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყიდა. კატალონიელებმა სუპერვარსკვლავში 70 მლნ გადაიხადეს პლუს **ეტო'ო.** შვედი ვარსკვლავისა და „ბარსას“ მწვრთნელის ურთიერთობა თავიდანვე არ აეწყო. ზლატანს არ მოეწონა მწვრთნელის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მას ფლანგზე უნდა ეთამაშა და ცენტრში ადგილი **ლეო მესისთვის** დაეთმო. იბრაჰიმოვიჩისა და გვარდიოლას შორის დაძაბულ ურთიერთობაზე პრესა რეგულარულად წერდა. ერთი წლის შემდეგ ზლატანმა დატოვა „ბარსელონა“ და „მილანში“ გადაბარგდა. ავტობიოგრაფიულ წიგნში, რომელიც 2015-ში გამოიცა, ზლატანმა დაწვრილებით აღწერა გვარდიოლასთან კონფლიქტი და მას უწოდა მწვრთნელი, რომელსაც „კვერცხები არ აქვს“.


დევიდ ბექჰემი და ალექს ფერგიუსონი


იკერ კასილასი და ჟოზე მოურინიო


პოლ პოგბა და ჟოზე მოურინიო


ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ხოსეპ გვარდიოლა

### დევიდ ბექჰემი და ალექს ფერგიუსონი

2003 წელს ინგლისის თასზე გამართულ მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედი“ „არსენალთან“ დამარცხდა. თამაშის ბოლოს, **ეშლი კოულის** უხეში თამაშის შემდეგ, დევიდ ბექჰემმა მწვრთნელს შეცვლა სთხოვა, მატჩის შემდეგ კოულმა მანჩესტერელთა გასახდელში შეიხედა და მეგობარ ბექჰემს გაესაუბრა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ალექს ფერგიუსონს, რომელმაც გუნდის წინაშე უსაყვედურა ბექჰემს და აღნიშნა, რომ კოულის ფონზე ბექჰემი გოგონასავით გამოიყურებოდა, არ დააყოვნა ბექჰემის პასუხმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ფერგიუსონი გოგონას ჰგავდა **არსენ ვენგერის** („არსენალის“ იმჟამინდელი მწვრთნელი) ფონზე. ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც შოტლანდიელი მწვრთნელის მოთმინების ფიალა აავსო, მან ხელი სტაცა ბუცს და ბექჰემს ესროლა. ბუცმა ბექჰემს წარბი დაუზიანა. მომდევნო წელს ბექჰემი მადრიდის „რეალიში“ გადავიდა და ამ გუნდის მაისურით ესპანეთის ჩემპიონობა (2006/2007) მოიპოვა.

### იკერ კასილასი და ჟოზე მოურინიო

მოურინიო მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელად 2010 წელს დანიშნეს. პორტუგალიელმა სპეციალისტმა თავიდანვე ვერ ააწყო ურთიერთობა „რეალის“ ლეგენდა იკერ კასილასთან. შედეგად კასილასი მაყურებლად იქცა სანტიაგო ბერნაბეუზე. მისი ადგილი კი ანტონიო ადანმა და დიეგო ლოპესმა დაიკავეს.

გოლკიპერსა და მწვრთნელს შორის ურთიერთობის გამწვავებას სხვა ფაქტორებიც უწყობდა ხელს. კასილასი თავს უფლებას აძლევდა, თავისი აზრი გამოეთქვა მწვრთნელის გადაწყვეტილებებზე, ამას გარდა, მოურინიოს ძალიან არ მოსწონდა, რომ „რეალის“ გოლკიპერს კარგი ურთიერთობა ჰქონდა „ბარსელონას“ ფეხბურთელებთან — **კარლეს პუიოლსა** და **ჩავი ერნანდესთან.** როგორც ჩანს, ჟოზეს კატალონიელებთან ომი არა მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე სურდა, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ასე იყო თუ ისე, „რეალის“ სიმბოლო სათადარიგოთა სკამზე დასვეს. 2013 წლის დასაწყისში კი იკერმა ხელი მოიტეხა და 3 თვით დაემშვიდობა ფეხბურთს. 2013 წელს „განსაკუთრებულმა“ (ასე უწოდებს თავის თავს მოურინიო) დატოვა „რეალი“. გუნდს სათავეში ჩაუდგა **კარლო ანჩელოტი,** რომელმაც გადაწყვიტა, რომ კასილასი სათადარიგო მეკარე უნდა ყოფილიყო.

2015 წელს კასილასი პორტუგალიის „პორტოში“ გადავიდა. ლეგენდარულმა მეკარემ თავისი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერა მადრიდის „რეალის“ ისტორიაში — 17 წლის განმავლობაში 18 სხვადასხვა ჯილდო მოიპოვა.

ბევრს ახსოვს, ალბათ, კასილასის ბოლო პრესკონფერენცია, იკერმა ცრემლი ვერ შეიკავა, როდესაც გააცნობიერა, რომ მშობლიურ გუნდს აღარ სჭირდებოდა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



**„თქვენ თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა იფიქროთ, არამედ იფიქრეთ თავმდაბლურად, რწმენის საზომით, ღმერთმა რომ გინაწილათ თითოეულს“ (მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 12,3), — ამ პრინციპით იცხოვრა, ასეთად დარჩა ჩვენს ხსოვნაში ირაკლი თოდუა, ჩვენი ჟურნალისტური კოლექტივის მეთაური, მეგობარი და კოლეგა.**

# ქედს ვიხრით შენს წინაშე



არასოდეს უგრძნობინებია ჩვენთვის, რომ რამეთი არის ჩვენგან გამორჩეული, აღმატებული და სწორედ ასეთი დამოკიდებულებით განუხრელად ძლიერდებოდა მისი ავტორიტეტი, როგორც ხელმძღვანელის.

ამიტომაც გვიყვარდა იგი და პატივს ვცემდით უაღრესად, ჩვენთან ერთად — მკითხველიც. და ამას ამტკიცებს ის წერილები, რომლებსაც „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია აღდგომის კვირაძალს იღებს მკითხველისგან მისი გარდაცვალების წლისთავზე.

**„მარადიული ხსოვნა და პატივგება ბატონ ირაკლი თოდუას. 29 აპრილს სრულდება ერთი წელიწადი, რაც ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა იგი — უზადო პიროვნება, სამაგალითო ხელმძღვანელი და გამორჩეული პუბლიცისტი. მისი ნიჭისა და უნარის, მისი დაუღალავი შრომისა და ძალისხმევის წყალობით „საქართველო და მსოფლიომ“ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის ავტორიტეტულ გამოცემებს შორის და პოპულარობა მოიპოვა მკითხველ საზოგადოებაში. კვლავ და კვლავ მადლობა მას!“** — გვწერს ქუთაისიდან ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი გივი გურეშიძე.

ასეთივე მადლიერებითა და პატივისცემით არის გამსჭვალული უამრავი წერილი გულდაწყვეტილი ჩვენი მკითხველების.

ირაკლი თოდუამ თავის ამქვეყნიურ ძეგლად დატოვა „საქართველო და მსოფლიო“ და შესანიშნავი ქართული ოჯახი, რომლის სიყვარულს შეალია სიცოცხლე.

**„არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სძლიე ბოროტს კეთილით“ (რომაელთა მიმართ, 12,21), — ასეთად დარჩა იგი ჩვენს ხსოვნაში სამარადჟამოდ.**

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია





თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22


# ნიუ-იორკში წმინდა პატრიკის სახელობის ტაძრის დაწვის მცდელობა აღკვეთეს

**პოლიციელებმა ნიუ-იორკში დააკავეს მამაკაცი, რომელიც მანჰეტენზე მდებარე წმინდა პატრიკის ტაძარში შეღწევას ცდილობდა. მას თან ჰქონდა ბენზინით სავსე 2 კანისტრა, აგრეთვე, 2 ბოთლი ცეცხლგამჩენი სითხე და 2 სანთებელა.**

მამაკაცი დააკავეს 17 აპრილს, საღამოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან დაახლოებით 19 საათსა და 55 წუთზე შეაღწია ტაძარში, ის პოლიციელებმა იმ მომენტში დააკავეს, როცა ბენზინს ასხამდა ტაძრის კარს.



**აღსანიშნავია, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დაწვამდე ორი კვირით ადრე იყო სან-სიულპისის ტაძრის დაწვის მცდელობა, 3 კვირით ადრე კი — სენ-დენიში ფრანგი მეფეების აკლდამისთვის ცეცხლის გაჩენის. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დაწვიდან 2 დღის შემდეგ ათენში აკროპოლს მეხი დაეცა, დაშავდა 4 ადამიანი. 17 აპრილს ვიტებსკის ოლქში (ბელარუსი) დაიწვა პეტრესა და პავლეს სახელობის კათოლიკური ეკლესია.**

# უკრაინაში სწრაფი ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს

**კიევის საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 2016 წელს პრივატბანკის ნაციონალიზაცია უკანონო იყო და ის უნდა დაუბრუნდეს მფლობელს — იგორ კოლომოისკის. ნაციონალიზაციის შემდეგ უკრაინის სახელმწიფომ გაკოტრების პირას მისულ ბანკში 117 მლრდ გრივნა, ანუ 4,4 მლრდ დოლარი ჩადო. ახლა კი ეს თანხა მფლობელს უბრუნდება.**

წინა კვირაში უკრაინის სასამართლოებმა:

* გაათავისუფლეს ნადეჟდა სავჩენკო და ვლადიმირ რუბანი;
* შეწყვიტეს სისხლისსამართლებრივი დევნა ჟურნალისტ ანალოტი შარიის მიმართ;
* მოხსნეს ყადაღა იანუკოვიჩის ფულს;
* გააუქმეს პრივატბანკის ნაციონალიზაცია.



ცვლილებების პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს და ისეთი ხასიათი მიიღო, შეიძლება იანუკოვიჩის დამხობაც კი გააუქმონ.

# მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა...

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის ერთგული მკითხველი, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნაღდი ქართველი ვაჟკაცი

ჯეირან კიკრიაშვილი



პანაშვიდი: 28-29 აპრილს 18 სთ-ზე გორის რ-ნის სოფ. ხელთუბნის წმ. სამების ეკლესიაში.

გამოსვენება: თბილისში, 30 აპრილს, 15 სთ-ზე საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.


## ს ი ა ხ ლ ე !

## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა




- პროსტატი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინსულტი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

## სიმაღლეში მომატება!

## გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დაიწყეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894